ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელეონორა ბუგაძა

გაბრიელ ბარსია მარკესის XX საუკუნის 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკის ზოგიერთი მიმართულება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

10.01.10. — ჟურნალისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი —
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ნოდარ ტაბიძე

თბილისი
2006

სარჩევი

შესავალი — 3

§ 1. გაბრიელ გარსია მარკესი -- ჟურნალისტი — 3

§ 2. ლიტერატურის მიმოხილვა — 5

§ 3. „ლათინური ამერიკის მარტოობა"

ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი — 15

თავი I. გაბრიელ გარსია მარკესის

შემოქმედებითი laboratoria

§1. „დაუჯერებელი" ლათინური ამერიკა — 20.

§2.ხელობის თავისებურებანი — 26

§3. ბელეტრისტიკისა და პუბლიცისტიკის ერთიანობა — 30.

§4. მარკესი ჟურნალისტიკის შესახებ — 39

§5. მარკესი სხვა მწერალთა შესახებ — 47

§6. შემოქმედებითი სამზარეულო — 51

I თავის დასკვნა

გაბრიელ გარსია მარკესი „რომანი რომანს მიღმა" — 55

თავი II. ისტორია და პიროვნება

გაბრიელ გარსია მარკესის პუბლიცისტიკაში

§1. ისტორიული ფესვების ძიება — 68

§2. დიქტატორი და დიქტატორობა

გაბრიელ გარსია მარკესის პუბლიცისტიკაში — 78

§3. პუბლიცისტური პორტრეტები — 96

§4. ისტორიის უკუღმართობანი — 115

II თავის დასკვნა. გაბრიელ გარსია მარკესი.

პოტენციური პაპი — 119.

დასკვნა — 130.

გამოყენებული ლიტერატურა — 135.

§. გაბრიელ გარსია მარკესი – ჟურნალისტი

გაბრიელ გარსია მარკესი – „დიდი კოლუმბიელი“, ნობელის პრემიის ლაურეატი, XX საუკუნის ერთ-ერთი უბრწყინვალესი და უსაყვარლესი მწერალი. მისი პროზა თარგმნილია მრავალ ენაზე და მას ერთნაირი გატაცებით კითხულობს სხვადასხვა ასაკის, განათლების, ინტელექტის ადამიანი. გარსია მარკესის ხსენებაზე უმალ წარმოგვიდგება მარტოობის ასწლიანი ეპოპეა გადმოცემული ბუენდიების უჩვეულო თაეგადასავლებში. ქართველმა მკითხველმაც თავდაპირველად სწორედ „მარტოობის ასი წლით“ გაიცნო იგი.

არანაკლებ პოპულარულია მარკესის მოთხრობები, რომელთაგან ბევრი თარგმნილია ქართულ ენაზე. მაგრამ მარკესი არა მხოლოდ ბელეტრისტი, არამედ უძლიერესი პუბლიცისტიცაა. სამწუხაროდ, მისი წერილები, ჩანახატები, ესეები და ა. შ. ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. არადა გარსია მარკესის ჟურნალისტური მოღვაწეობა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. გარსია მარკესი ხომ სწორედ პუბლიცისტიკით იწყებს „წერით კარიერას“. ეს იყო 1947 წელს, თანამშრომლობა ბოგოტის გაზეთ „ესპექტადორში“.

1948 წელს მარკესი მიემგზავრება კარტახენაში და ორი წლის თავზე ხდება „ჰერალდის“ რეპორტიორი, უძღვება რუბრიკას „ეპიგრაფი“. 1954 წელს იგი ბრუნდება ბოგოტაში „ესპექტადორის“ რეპორტიორად და ყურადღებას იქცევს გაბედული პუბლიკაციებით. სტატიათა ციკლმა, რომლითაც გარსია მარკესი ამხელს სამხედრო გემებზე კონტრაბანდულ საქმიანობას, დიდი სკანდალი გამოიწვია. გაზეთი დაიხურა, პუბლიცისტს კი ევროპაში მოუწია წასვლა „ესპექტადორის“ უშტატო კორესპონდენტად, თანაც სახსრების გარეშე. უცხოეთში მან ორი წელი დაჰყო. შემდეგ იგი ბრუნდება

ლათინურ ამერიკაში და მუშაობას იწყებს სააგენტოში „პრენსა ლატინა“. 1961 წელს მარკესი მეხიკოში მკვიდრდება და ამის შემდეგ მარკესი – ბელეტრისტი და მარკესი – პუბლიცისტი ურთიერთგადაჯაჭვული და განუყრელია.

გაბრიელ გარსია მარკესს, უკვე საქვყნოდ ცნობილ და აღიარებულ პროზაიკოსს, არა თუ დღემდე არ გაუწყვეტია კავშირი მასმედიასთან, როგორც ჟურნალისტს, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში პუბლიცისტიკა პრევალირებს კიდეც მის შემოქმედებაში. და მეტიც: თავად მაესტროს აღიარებით მთელი მისი შემოქმედება (იგულისხმება პროზა) სხვა არაფერია, თუ არა ჟურნალისტური ჟანრების ნაირსახეობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის მიზანია გაგვაცნოს მარკესი პუბლიცისტი, აგრეთვე შევეცდებით გავერკვეთ, ვინ არის მარკესი: უფრო ბელეტრისტი თუ პუბლიცისტი; ამასთანავე, განვსაზღვროთ მარკესის პუბლიცისტიკის ძირითადი მიმართულებანი. განსახილველ პერიოდად შერჩეულია XX საუკუნის 80-90-იანი წლები. არც ეს არის შემთხვევითი: 1982 წელს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა გაბრიელ გარსია მარკესს რომანისათვის „მარტოობის ასი წელი.“ ნობელის პრემია არ არის მხოლოდ ზღვარი, მხოლოდ აღიარება შემოქმედის ტალანტისა. ეს არის უმაღლესი მწვერვალი, საიდანაც უკვე თავად შეგიძლია გადმოხედო ყოველივეს და შეაფასო კიდეც, მათ შორის საკუთარი განვლილი გზა. მაესტრო გაბრიელის ამ პერიოდის შემოქმედება უკვე უმაღლეს მწვერვალზე მყოფი ადამიანის ნააზრევია, ადამიანისა, რომელიც თავდაჯერებული და დაბრძენებულია ასაკის, გამოცდილებისა და აღიარების გამო.

გაბრიელ გარსია მარკესის უმდიდრესი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, უპირველეს ყოვლისა, ხასიათდება თემატური

მრავალფეროვნებით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკის, ეკონომიკის, ხელოვნების, ლიტერატურის, რელიგიის, მართლმსაჯულებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. ამ მრავალფეროვნების ფონზე კი აშკარად იკვეთება ორი ძირითადი მიმართულება (თუ ვიმსჯელებთ მიძღვნილ სტატიათა რაოდენობით): უაღრესად მრავალწახნაგა თემა ისტორიისა და პიროვნებისა, მათი ურთიერთგადაჯაჭვულობისა და ურთიერთგანპირობებისა, და, არანაკლებ საინტერესო თემა ლიტერატურისა და პოეტიკისა, ანუ თემა შემოქმედებითი ლაბორატორიისა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაყოფა პირობითია, რადგან მარკესის ყოველი სტატია, ყოველი წერილი თუ ესსე, ისეთივე მრავალწახნაგა და ყოვლისმომცველია, როგორც ის სამყარო, რომელსაც თავად ავტორი წარმოადგენს – ლათინური ამერიკა – სამყარო, რომლის გაშიფრვა-შეცნობა ძალზე ჭირს, თუმცა ამ საქმეს ბევრმა სახელოვანმა თუ რიგითმა კრიტიკოსმა მიუძღვნა ნაშრომი. ეს სამყარო თითქოსდა მარტივი, მაგრამ რთულია, თითქოს გასაგები, მაგრამ ამოუცნობია. ეს სამყარო უჩვეულოა, იგი „შეუთავსებლის შემთავსებელი“ და „უკიდეგანო დაუჯერებლობაა“ (მარკესის ტერმინები). ჭირს ამ სამყაროს აღქმა-გათავისება, თუ არ ხარ მისი ღვიძლი შვილი, თანაც უზომოდ შეყვარებული, ისევე, როგორიც დიდი მაესტრო გაბრიელ გარსია მარკესია.

§2 ლიტერატურის მიმოხილვა

გაბრიელ გარსია მარკესის პროზაზე ბევრი თქმულა და კიდევ უფრო ბევრი დაწერილა, ხოლო კრიტიკული ლიტერატურა მის პუბლიცისტიკაზე ძალზედ მწირია. ამ სფეროს ღრმა ანალიზი და შესწავლა მომავლის საქმედ რჩება.

მარკესის პუბლიცისტიკას ხშირად, და სრულიად არასწორად, მის მრავალრიცხოვან ინტერვიუებთან აიგივებენ, რომელთაც ის იძლევა

„მარტოობის ასი წლის“ გამოსვლიდან მოყოლებული დღემდე. ამ ინტერვიუების რაოდენობა უსასრულოა, არის ქართული თარგმანებიც. მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები ძალღონეს არ იშურებენ ამ ინტერვიუების მოსაპოვებლად და რას აღარ ეკითხებიან მწერალს და როგორღა არ ხლართავენ შეკითხვას სასურველი პასუხის მისაღებად, მარკესის პასუხები არაერთგვაროვანია, ანუ იშვიათად სერიოზული, უფრო ხშირად კი ირონიული, ალბათ, ჟურნალისტისა და სიტუაციის შესაფერისი. მარკესის მიერ მიცემული ინტერვიუების შესწავლა – ანალიზი – კლასიფიკაცია, უდაოდ, საინტერესოა და მეტად საგულისხმო შედეგებს გამოიღებდა. ესეც, მომავლის საქმეა.

მოცემულ თემაზე მუშაობისას ჩვენ გავეცანით საკმაოდ დიდ მასალას, ძირითადად რუსულ და ესპანურ ენებზე. მთელ რიგ წიგნებსა თუ სტატიებში მწერლის შემოქმედება განიხილება სხვა ლათინოამერიკელ მწერლებთან ერთობლიობაში. მარკესის შემოქმედების ანალიზი ხდება სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა მხატვრულ-ესთეტიკური მიმდინარეობებიდან გამომდინარე: იმპრესიონისტული, სტრუქტურალისტური, ფსიქოანალიტიკურიც კი, ეულგარულ-სოციოლოგიური და მრავალი სხვა. ანალიტიკური მასალა არის ნიჭიერიც და უნიჭოც, საინტერესოც და მდარეც, მაგრამ იშვიათად თუ წააწყდებით სადმე მარკესის პუბლიცისტური წერილების სერიოზულ ანალიზს. მარკესის მკვლევარები არ იხილავენ მის პუბლიცისტიკას როგორც ცალკე კვლევის საგანს და მას გაკვრით თუ ახსენებენ, როგორც ბიოგრაფიულ ეპიზოდს, ან ხედავენ მასში დამხმარე მასალას მწერლის ბელეტრისტიკის შესასწავლად. ასე მაგალითად, რუსი ლიტერატურათმცოდნის ვ. ზემსკოვის მონოგრაფია „ გაბრიელ გარსია მარკესი“ 1986[1] წელს გამოვიდა და თვალსაჩინო ადგილიც დაიკავა მსოფლიო მარკესიანაში.

მონოგრაფია ვ. ზემსკოვის სადოქტორო დისერტაციული ნაშრომის ბაზაზეა დაწერილი და იგი ზოგადად მწერლის

შემოქმედებას ეძღვნება. ძირითადი დებულება, რომელიც წითელ ხაზად გასდევს მთელს ნაშრომს და ზემსკოვიასაოვის წარმოადგენს ამოსავალ წერტილს მარკესის შემოქმედების სწორად გასააზრებლად არის შემდეგი: XX საუკუნის მეორე ნახევარში ლათინური ამერიკა, რომელიც რატომღაც მსოფლიო ცივილიზაციის პერიფერიად იყო მიჩნეული, კულტურულ ცენტრად იქცა, ანუ შეიცვალა ისტორიული თანაგანლაგება, ამიტომ ამ კონტინენტის თითოეული კულტურული თუ ისტორიული მოვლენა საყოველთაო სულიერი ცხოვრების კონტექსტში უნდა იქნას განხილული. უკვე ამ დებულებიდან გამომდინარე მარკესს სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია, რადგან უმთავრესად სწორედ მისი მეშვეობით გაიცნო მსოფლიომ ლათინური ამერიკა.

მეორე ძირითადი დებულება, რომელსაც ეყრდნობა ვ. ზემსკოვი, არის: ლათინოამერიკელთა ნაწარმოებები რადიკალურად განსხვავდება დასავლელ მწერალთა ქმნილებებისაგან. დასავლეთი და ლათინური ამერიკა განსხვავებული მცნებებია. მათ სხვადასხვა ისტორია აქვთ, რამაც განაპირობა მათი დღევანდელობა, ლათინური ამერიკა სხვა სამყაროა, ცალკე კულტურულ-სულიერი ერთეულია და იგი მუდამ კამათობდა დასავლეთთან, ანუ კამათობდა ევროპოცენტრიზმთან. რა თქმა უნდა, ლათინურმა ამერიკამ შეითვისა დასავლეთის ჰუმანისტური იდეები (და ეს დაწვრილებით არის გაანალიზებული მონოგრაფიაში), მაგრამ შესთავაზა კაცობრიობას საკითხის საკუთარი გადაწყვეტა. ლათინოამერიკელმა მწერლებმა შექმნეს დროის, ისტორიის, ადამიანის ერთიანი მხატვრულ-ფილოსოფიური კონცეფცია. საგულისხმოა თავად მარკესის გამონათქვამი: „ჩვენ ყველანი ვწერთ ერთ დიდ რომანს ლათინური ამერიკის ადამიანზე“ (1,185). მარკესი ასახავს არა მარტო იმას, რაც ხდება ლათინურ ამერიკაში, არამედ იმასაც როგორ ხედავს და აღიქვამს ამას ხალხი. ამ აღქმაში სამყარო მუდმივ მოძრაობაშია ორ

პოლიუსს: ტრაგიკულსა და კომიკურს შორის, რაც მარკესის მხატვრული თავისებურებების განმსაზღვრელია.

და, მესამე მნიშვნელოვანი დებულება, რომელსაც ეყრდნობა ზემსკოვი, არის „არა ჩვეულებრივი რეალობის“ იდეა, რომელიც მარკესის შემოქმედებაში სრულყოფილად განხორციელდა. კრიტიკოსი ამბობს: „ამ კონცეფციის ძირითადი რგოლი არის განუყოფელი კავშირი ხალხურ ყოფიერებასთან, რომელიც არის ყოველგვარი ძიების დასაწყისიც და ბოლოც. მხოლოდ ამ კუთხით ხდება ნათელი ის სიღრმისეული არსი, რომელსაც მწერალი – წარმოუდგენელი ისტორიების შემქნელი – დებს იმ გამაოგნებელ განცხადებაში, რომ ყველაფერი, მის მიერ დაწერილი, უშუალოდაა აღებული ლათინური ამერიკის რეალობიდან, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც“ (2,65). ამ იდეის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვიმსჯელებთ სტატიის „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“ განხილვისას.

ამ ზოგად დებულებებზე დაყრდნობით ვ. ზემსკოვი გვთავაზობს მარკესის ბელეტრისტიკის ძალზედ საინტერესო და მრავალმხრივ ანალიზს. ჩვენ ამ ზოგად დებულებებს სავსებით ვიზიარებთ, მითუმეტეს, რომ უკვე გვიანდელ პუბლიცისტიკაში გარსია მარკესი თავად ხსნის და აანალიზებს ამ მოვლენებს, და შევეცდებით ვაჩვენოთ მათი განხორციელება პუბლიცისტიკაში, რადგან პუბლიცისტიკა მარკესის შემოქმედების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო ვ. ზემსკოვი განიხილავს მას (პუბლიცისტიკას, თანაც ადრეულს), როგორც მარკესის მხატვრული შემოქმედების მოსამზადებელ ეტაპს, რასაც ნამდვილად ვერ დავეთანხმებით, და წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით იმის დამტკიცებას, რომ მარკესის შემოქმედებაში პუბლიცისტიკისა და ბელეტრისტიკის დაყოფა პირველ და მეორეხარისხოვან სფეროებად არ არის სწორი. და საერთოდ, როდესაც კითხულობ ვ. ზემსკოვის ზოგად დებულებებს გასაგები ხდება, რომ კრიტიკოსი თავად

მარკესის მსჯელობას ეურდნობა, რომელსაც იგი გვიანდელ პუბლიცისტიკაში ავითარებს. მაგრამ ვ. ზემსკოვისათვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა განიხილოს გარსია მარკესის პუბლიცისტური მემკვიდრეობა ღრმად და საფუძვლიანად. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზემსკოვი აღიარებს, რომ მოგვიანებით მარკესის პუბლიცისტიკა და მისი სტილი დაღს დაასვამს მთელს კოლუმბიურ ჟურნალისტიკას. ალბათ, ამ ორი მიზეზის გამო (1. ჟურნალისტიკა, როგორც მოსამზადებელი ეტაპი ბელეტრისტიკისათვის და 2. გავლენა კოლუმბიურ ჟურნალისტიკაზე) ვ. ზემსკოვმა თავის მონოგრაფიაში ადგილი დაუთმო მარკესის ადრეული პუბლიცისტიკის მიმოხილვას. რადგანაც ჩვენ მარკესის პუბლიცისტიკის მხოლოდ ერთ გარკვეულ მონაკვეთზე ვიმსჯელებთ, ამიტომ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად მოკლედ გადმოგცეთ ვ. ზემსკოვის მიმოხილვა.

პერიოდი, როდესაც მარკესი გამოდის ჟურნალისტურ ასპარეზზე „სეპტიმოსის" ფსევდონიმით ემთხვევა ქვეყანაში გამეფებული ვიოლენსიის[1] (ესპ. violencia – ძალადობა) ხანას. თავად მარკესის ვიოლენსიას „ბოროტ ცნობიერებას უწოდებს" და სამყაროში ადამიანთა ურთიერთობის არანორმალური მდგომარეობის შედეგად მიიჩნევს. „არაკეთილი ცნობიერება" – ეს არის ცნობიერება დიქტატურას მიჩვეული ხალხისა. დროს აქ თითქოს არ აქვს კავშირი აწმყოსთან, ამიტომაც ეჩვენებათ, რომ ფრენსის დრეიკის, XVI საუკუნის ცნობილი პირატის გემი დრეიფზე დგას თანამედროვე წყალქვეშა ნავებთან და პუბლიცისტი სვამს ლოგიკურ კითხვას: „თუ როგორ შეიძლება მოითხოვო ლათინოამერიკელებისაგან, რომ ისინი კეთილი ცნობიერების ხალხი იყოს?" ეს თემა მძლავრობს ნარკვევში „რაღაც სასწაულის მსგავსი", სადაც აღწერილია შიშისაგან და სისხლისღვრისაგან დათრგუნული პროვინციული დაბა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოში მაინც ისმის აკორდეონის ხმა და იმედი იღვიძებს დატანჯულ ხალხში. ეს თემა მარკესის ადრეულ

პუბლიკაციებში ექსტრავაგანტულ, მეტაფორულ ფორმებს იღებს და თავიდანვე ყალიბდება როგორც სახალხო კოლექტიური ცნობიერება. იგი მოგვიანებით განვითარდება და სრულყოფილ ფორმასა და გააზრებას უკვე ბელეტრისტიკაში მიაღწევს.

ვიოლენსიის თემაზე მარკესს არც თუ ისე ბევრი წერილი აქვს გამოქვეყნებული. ვ. ზემსკოვი ამას ორი მიზეზით ხსნის: 1. ქალაქი ბრანკილია, სადაც იმჟამად ცხოვრობდა მარკესი,სხვა ზღვისპირა ქალაქების მსგავსად, აქტიური საბრძოლო მოქმედებების ზონის მიღმა აღმოჩნდა და 2. ცენზურა, რომელიც ვიოლენსიასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ინფორმაციას კრძალავდა. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ თუ მარკესის ადრეულ პუბლიცისტიკაში ეს თემა არ იყო წამყვანი, და, საერთოდ, აქ წამყვანი თემის გამოკვეთა შეუძლებელია, რადგან ეს ჯერ კიდევ ძიების პერიოდია, მოგვიანებით ვიოლენსია – დიქტატურა – არაკეთილი ცნობიერება – მარკესის სკურპულიოზური და საფუძვლიანი კვლევის საგანი გახდება. მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ ამ თემის ანალიზს.

მარკესის ადრეული პუბლიკაციებიდან ვ. ზემსკოვი გამოყოფს 1948 წელს გაზეთ „უნივერსალში“ გამოქვეყნებულ ნარკვევს, რომელშიც მოთხრობილია რედაქციაში პოეტ სესარ გარსია ვალდესის სტუმრობის შესახებ. სესარ გარსია ვალდესი გამოგონილი პერსონაჟია, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდა მარკესმა გამოხატა იმდროინდელი თავისი შეხედულება ლიტერატურულ პროცესებზე. ამ პერსონაჟის მეშვეობით იგი ლაპარაკობს ზედაპირულობის, იაფფასიანი ფოლკლორიზმის დაძლევის აუცილებლობაზე და უნივერსალური თემების წარმოჩენის გასვლის საჭიროებაზე, ლათინური ამერიკის ბედის გააზრებაზე. ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდობაში გაჩენილი განცდა უნივერსალურთან შეჭიდებისა და ლათინური ამერიკის ბედის გააზრებისა სამყაროში, არც მოგვიანებით ტოვებს მარკესს და მისი, უკვე როგორც

მომწიფებული პუბლიცისტის ძირითადი იდეურ-მამოძრავებელი ძალაა, რაზეც იქნება აგრეთვე საუბარი მოცემულ ნაშრომში.

შემდეგ ვ. ზემსკოვი ყურადღებას ამახვილებს 1954-1955 წლებზე, როდესაც მარკესი თანამშრომლობდა ბოგოტის გაზეთ „ელ ესპექტატორთან“. აქ მარკესი აქვეყნებს მოწინავე სტატიებსა და რეცენზიებს ფილმებზე, აგრეთვე მთელს სერიას რეპორტაჟებისა, რომლებიც ასახავდნენ კოლუმბიის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს. მარკესის ჟურნალისტური ტალანტი განსაკუთრებით ნარკვევის ჟანრსა და რეპორტიორულ საქმიანობაში გამოვლინდა. მაგალითად, რეპორტაჟების სერია „ჩაკო, რომელსაც არ იცნობს კოლუმბია“ (1954 წლის სექტემბერ-ოქტომბერი), რომელშიც აღბეჭდილია კოლუმბიური პროვინციის შთამბეჭდავი სახე და რომელიც შეიცავს მომდევნო მოთხრობებისა და „მარტოობის ასი წლის“ მნიშვნელოვან დეტალებსა და პერსონაჟებს.

ამავე პერიოდს განეკუთვნება მთელი რიგი რეპორტაჟებისა ვიოლენსიის თემაზე. მაგალითად, „ 3 ათასი კოლუმბიელი ბავშვის დრამა“ – 1955 წლის მაისი. აგრეთვე ნარკვევების სერია „სიმართლე ჩემს თავგადასვლებზე“, სადაც მხილებულია კონტრაბანდის ფაქტები სამხედრო გემებზე (მოგვიანებით გამოვა სახელწოდებით „გემზე კატასტროფაგამოვლილის მონათხრობი“).

ვ. ზემსკოვი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ნარკვევებს ლა-სიერპეს ადათებზე. ლა სიერპე – ეს „ლეგენდარული ქვეყანაა“, სადაც მეფობს ცრუმორწმენები, მაგია, ჯადოქრობა და სადაც ცხოვრობს მარკესიტა – იქაურობის მდიდარი და ძლევამოსილი პატრონი, რომელმაც 200 წელზე მეტ ხანს იცოცხლა და რომლის სიკვდილიც ბუნების კატაკლიზმებით აღინიშნა. ეს პერსონაჟი მოგვიანებით გადაინაცვლებს რომანებში „დიდი დედის დაკრძალვა“, „მარტოობის ასი წელი“, „პატრიარქის შემოდგომა“ და თანაც ეხმიანება რომულო გალიეგოსის (XX საუკუნის ცნობილი ვენესუელელი მწერალი)

„დონია ბარბარას“, რაც ამ ორი პერსონაჟის (დონია ბარბარა და მარკესიტა) საერთო სახალხო ფესვებზე მიუთითებს. ლათინოამერიკელ მწერალთა საერთო სახალხო ფესვებს კრიტიკოსი ვ. ზემსკოვი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს თავის მონოგრაფიაში.

ნარკვევში ლა-სიერპეს შესახებ ხალხური ცხოვრება ერთდროულად იუმორითა და სერიოზულობითაა აღწერილი. უკვე ამ ადრეულ ეტაპზე ელინდება მარკესისეული ძირითადი პარადოქსი შეუთავსებლის შეთავსებულობაზე. თხრობის ასეთი ტონი უფრო დამაჯერებს ხდის იმას, რასაც მარკესი აღწერს.

ვ. ზემსკოვის აზრით, ადრეულ ეტაპზე მარკესი ცხოვრების პოეტურ-ემოციონალური აღქმისკენ მიდრეკილი ჟურნალისტია, ხშირად იუმორისტულად განწყობილი, საკმაოდ თამამი კალმის მფლობელი, რომელიც წერს ნებისმიერ თემაზე: უმნიშვნელო ადგილობრივ მოვლენებზე, საერთაშორისო თემებზე, სპორტულ შეჯიბრებებზე და ატომურ ბომბზეც კი. იგი ხშირად გვთავაზობს იუმორისტულ სერიალებს, პაროდიებს დეტექტიურ და გოთურ ლიტერატურაზე, კაფკაზე და სხვადასხვა ლიტერატურულ სტილზე. წერს სახალისო ნარკვევებს ლიტერატორთა წრეებში მომხდარ ამბებზე და ა.შ. გარსია მარკესის ამ პერიოდის ნარკვევები გამოირჩევიან თხრობის იუმორისტული ტონით, კონკრეტულობითა და პერსონაჟთა ცხოვრებისეულობით. ახალგაზრდა მარკესისათვის ჟურნალისტიკა ცხოვრებასთან კონტაქტის თავისუფალი სფეროა.

ვ. ზემსკოვის მიმოხილვა გარსია მარკესის ადრეული პუბლიცისტიკისა უდაოდ საინტერესოა შემეცნებითი თვალსაზრისით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პუბლიკაციები ვ. ზემსკოვისათვის არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ ლიტერატურულ ქმნილებებს. ეს წერილები და პერსონაჟები მისთვის მხოლოდ დამხმარე, მოსამზადებელი მასალაა ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის. თუმცა ანალოგიები, სიტუაციები, პერსონაჟები

მართლაც, იწრთობოდნენ ამ ნარკვევებში რაოა მოგვიანებით უკვე დახვეწილი სახით წარმდგარიყვნენ მოთხრობებსა თუ რომანებში. მაგრამ ამ ადრეულ პუბლიკაციებში ხომ მარკესი – პუბლიცისტიც იწრთობოდა, იწრთობოდა მისი სტილი, ზუსტი, ლაკონიური და ასკეტური. ზუსტმა სიტყვამ ობიექტური თხრობა და თხრობის სიმჭიდროვე განაპირობა. ეს კი საგაზეთო რეპორტაჟის დიდი სკოლის დამსახურებაა, რომელიც მარკესმა გამოიარა.

ლათინური ამერიკის ლიტერატურისა და კულტურის ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორებიც არიან ვერა კუტეიშჩიკოვა და ლევ ოსპოვატი, თავის მონოგრაფიაში „ახალი ლათინოამერიკული რომანი“ (3) სამწუხაროდ, მხოლოდ გაკვრით, როგორც ბიოგრაფიულ ფაქტს, მოიხსენიებენ გარსია მარკესის ჟურნალისტობას, და მხოლოდ მისი სტილის ანალიზისას აღნიშნავენ რეპორტაჟის როლს. კუბელმა მწერალმა და კრიტიკოსმა ვირხილიო ლოპეს ლემუსმა მთელი თავი მიუძღვნა მარკესის ადრეულ პუბლიცისტიკას მონოგრაფიაში „გარსია მარკესის ამოუწურავი ტალანტი“ (4).

ლოპეს ლემუსის მსჯელობა საკმაოდ ახლოს დგას ვ. ზემსკოვის შეხედულებებთან. მისთვისაც მარკესის პუბლიცისტური წერილები (ამ შემთხვევაშიც საუბარია ადრეულ პუბლიცისტიკაზე) არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ფასეულობას და მარკესის პროზის დანამატად აღიქმებიან. აი, რას ამბობს კრიტიკოსი: „მის რეპორტაჟებს მხატვრული პროზის ყველა ღირსება გააჩნია, როდესაც კითხულობ მის არცთუ მრავალრიცხოვან ნარკვევებს, სტატიებსა თუ ინტერვიუებს, ძნელია არ შენიშნო, რომ ავტორი თხრობის ოსტატია“. თხრობის ოსტატობას ლოპეს ლემუსი თემის არჩევასა და ინტერპრეტაციაში ხედავს. ის განიხილავს კრებულს „როდესაც მე ვიყავი ბედნიერი და უცნობი“, რომელშიც შესულია 12 სტატია, გამოქვეყნებული კარაკასის ჟურნალში „მომენტო“ 1957-1959 წლებში. ამ წერილებში საუბარია რეალურ მოვლენებზე, ისტორიულ ფაქტებზე და წერილმან შემთხვევებზე, მათ შორის „შავ“ ქრონიკაზე:

მკვლელობები, ჩხუბი, ტრაგედიები. ამ პუბლიკაციების კითხვისას წარმოიქმნება ისეთი კავშირი ავტორსა და მკითხველს შორის, რომელიც დამახასიათებელია „სუფთა“ ლიტერატურული და არა საინფორმაციო სტატიებისათვის. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად საპირისპიროა. „დასწრების ეფექტი“ – „სუფთა“ ჟურნალისტური და არა ლიტერატურული ხერხია, რომელიც რეპორტაჟის აუცილებელი კომპონენტია. ლოპეს ლემუსის აზრით ასეთ შთაბეჭდილებას ორი რამ განაპირობებს: 1. ავტორის სუბიექტური ხედვა, ანუ რეპორტაჟ-მოთხრობებში საკუთარი „მე“-ს არსებობა, რომელიც ყოველთვის დოკუმენტურ სარწმუნოობას ანიჭებს მონათხრობს და ვლინდება სათაურშიეე, მაგალითად: „მე ჩემი თვალით ვნახე შვიდი დაღუპული სიცილიელი“. ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმებით, თავად გარსია მარკესის შეხედულებებიდან გამომდინარე:

„სტატიაში „მსოფლიოში საუკეთესო ხელობა“ სწორედ ჟურნალისტის პიროვნებაზე ამახვილებს მარკესი ყურადღებას და საუბრობს საკუთარი „მე-“ს აუცილებლობაზე, როგორც ჟურნალისტის პროფესიონალიზმის განმსაზღვრელ ფაქტორზე. მეორე ნიშანი, რომელზეც ლოპეს ლემუსი ამახვილებს ყურადღებას, არის გარსია მარკესის განსაკუთრებული იუმორი: სერიოზული მასალაც კი ირონიულად/ არის მოწოდებული, რომელსაც მოულოდნელი ფინალი აქვს. აქედან გამომდინარე, ლოპეს ლემუსი ასკვნის, რომ გარსია მარკესის ჟურნალისტური პროზა ერწყმის ლიტერატურას იმდენად, რომ მისი სტატიების კრებული ნამდვილ ამბავთა წიგნად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, ვირხილიო ლოპეს ლემუსი, ისევე როგორც ვ. ზემსკოვი, მარკესის ჟურნალისტურ ნაშრომებს განიხილავს როგორც ზოგადად მისი შემოქმედების ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ მარკესის პროზის დახასიათებისას ხშირად ხმარობს ჟუნალისტურ და კინო ტერმინებსაც კი.

§ 3. „ლათინური ამერიკის მარტოობა“. (5)

ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი

მაშ ასე, 1982 წლის ნოემბერი. ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიენიჭა კოლუმბიელ გაბრიელ გარსია მარკესს რომანისათვის „მარტოობის ასი წელი“, რომელმაც სამყარო 1967 წელს იხილა და უმალ დაიპყრო იგი. გზა მწვერვალისაკენ, საყოველთაო აღიარებისაკენ არ იყო ადვილი. მეტიც, იგი იყო რთული, წინააღმდეგობრივი, სირთულეებითა და დაბრკოლებებით აღსავსე. ეს იყო გზა ძიებისა, შემოქმედებითი წვისა და თვითდამკვიდრებისა. ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალზე წარმოთქმული სიტყვა მარკესმა შემდეგნაირად დაასათაურა: „ლათინური ამერიკის მარტოობა“. ნობელიანტი რომანის სათაურისა და წარმოთქმული სიტყვის სათაურის მსგავსება ბევრ რამეზე მეტყველებს და პირველ რიგში დიდი მაესტროს ქრონიკულ, მეტიც, გენეტიკურ სატკივარზე მიგვითითებს. ეს სატკივარი ლათინური ამერიკაა უკვე თავად სათაურში, დახვეწილი ლაკონიურობით წარმოჩინდება მთელი კონტინენტის ფილოსოფია და, შესაბამისად ის, რის კვლევასაც და დანარჩენი მსოფლიოსთვის ჩვენებას მარკესმა სიცოცხლე მიუძღვნა, რაზეც ის წერდა და წერს პროზასა თუ პუბლიცისტურ წერილებში. ეს კვლევა, ძიება, თვითდამკვიდრება უსასრულო პროცესია. ლათინურ ამერიკას ჯერ ბოლომდე არ უთქვამს თავისი სათქმელი: განსხვავებული წარმომავლობა, განსხვავებული მსოფლმხედველობა და კულტურა, განსხვავებული მენტალიტეტი და სრულიად განსხვავებული ხალხი – აი, რა უნდა დაინახოს დანარჩენმა მსოფლიომ ლათინურ ამერიკაში და არა მარტო დაინახოს, არამედ მიიღოს კიდეც კაცობრიობის საერთო საცხოვრებელ'ში და გაითავისოს კიდეც იგი. და მხოლოდ მაშინ დასრულდება „ლათინური ამერიკის მარტოობა“. იდეაში შემაჯამებელ სიტყვას პროგრამული ხასიათი უფრო აქვს, რადგან იგი

მომავალზეა ორიენტირებული: ეს არის მიმართვა კაცობრიობისადმი, მიმართვა და ახსნაც იმისა, თუ რა არის ლათინური ამერიკა სინამდვილეში. ამ სიტყვაში მართლაც და განსაცვიფრებელი ლაკონიურობითა და სიზუსტით არის ასახული მარკესის მთელი შემოქმედების, როგორც ბელეტრისტიკის, ასევე პუბლიცისტიკის არსი, როგორც შინაარსობრივი, ასევე პოეტიკური თვალსაზრისით: შინაარსი განსაზღვრავს პოეტიკას. მართლაც რომ, მხოლოდ ძალზედ გამოცდილ ოსტატს შეეძლო მოკლე გამოსვლაში ჩაეტია ის, რასაც ათწლეულები შეალია და რაც კვლავ განაგრძობს განვითარებას.

მაშ ასე: „ლათინური ამერიკის მარტოობა“ – სიტყვა, სადაც ძალზე კონკრეტულად და ლაკონიურად, მაგრამ იმავდროულად მხატვრულად არის ჩამოყალიბებული მარკესის შემოქმედების საკვანძო საკითხები, პრობლემატიკა, ძირითადი თემები და მიმართულებანი.

წინამდებარე ნაშრომიც, შეეცადეთ გამოგვეყო ის საკვანძო თემები და საკითხები, რასაც თავად მარკესი მიიჩნევს მნიშვნელოვნად.

უპირველეს ყოვლისა, ეროვნულობა, ნაციონალური თვითშეგნება და თვითდამკვიდრება – ამოსავალი წერტილი, საიდანაც იწყება ყოველი პიროვნება, რამეთუ ეს ის ფესვებია, რომლითაც საზრდოობს კაცობრიობა ზოგადად. საყოველთაო გლობალიზაცია – გათანაბრების ფონზე უაღრესად ღირებული, ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია დიდი მოაზროვნისა და ჰუმანისტის ნააზრევი ამ საკითხთან დაკავშირებით: ყოველი ადამიანი, ყოველი პიროვნება, რიგითი მოქალაქე თუ ცნობილი მოღვაწე, თავისი ეროვნული, ნაციონალური ფესვებიდან საზრდოობს, უპირველეს ყოვლისა. მხოლოდ ეროვნული თვითშეგნებით გაჯერებულს შეუძლია შეიძინოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. ასეთია მარკესის

უკლებლივ ყველა პერსონაჟი და ამიტომაც არიან ისინი ასერიგად ახლობელი და გასაგები ყველასათვის, ვინც მათ იცნობს.

გაბრიელ გარსია მარკესი, უპირველეს ყოვლისა, კოლუმბიელია, და მხოლოდ შემდგომ შვილი ლათინური ამერიკისა, უნიკალური სულიერი და კულტურული არეალისა. ლათინური ამერიკის ქვეყნებს აერთიანებს წარმომავლობა, ენა, სარწმუნოება, საერთო ისტორია. ვიწრო ნაციონალური თითოეული ქვეყნისა ორგანულად გადადის უფრო ზოგადში: საერთო სამშობლო, მთელი კონტინენტი, სამხრეთი, ანუ ლათინური ამერიკაა.

წითელ ხაზად გასდევს გარსია მარკესის შემოქმედებას კონტინენტის ერთიანობის იდეა და სიმბოლო ამ ერთიანობისა – განმათავისუფლებელი – სიმონ ბოლივარი – ერთ-ერთი ყველაზე რომანტიული და ნათელი სახე კაცობრიობის ისტორიაში. სიმონ ბოლივარი და განთავისუფლება – ეს ლათინური ამერიკის ისტორიის ფილოსოფიის ქვაკუთხედია. და, შესაბამისად, თავისუფლება და ერთიანობა არის უმნიშვნელოვანესი თემატური კონსტანტა მარკესის შემოქმედებაში.

ლათინური ამერიკა არ არის მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე. ის სრულიად გამორჩეული სულიერი არეალია, განსაცვიფრებელი და დაუჯერებელი დანარჩენი სამყაროსათვის. ეს რეალობა ბევრად უფრო ფანტასტიკურია, ვიდრე ნებისმიერი ფანტასია. ამ განსაცვიფრებელმა რეალობამ წარმოშვა თავად მარკესი, რადგან (მისივე თქმით) იგი არაფერს იგონებს, მხოლოდ აღწერს და აფიქსირებს. ეს რეალობა უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის: ლოგიკის ძებნა შედეგს ვერ გამოიღებს. ამ თეზამ ბრწყინვალე ხორცშესხმა ჰპოვა მარკესის პერსონაჟებში. ამავე დებულებას განმარტავს მარკესი თეორიულ-პოეტიკურ სტატიაში „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება, ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“ (6). იმავე თეზას ეხმიანება დაჯილდოების ცერემონიალზე წარმოთქმული სიტყვა „ლათინური

ამერიკის მარტოობა“. ეს მარტოობაც ხომ განსაცვიფრებლის შედეგია: „ ... ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო ის, რომ არ გაგვაჩნდა არაფერი, რაც დასაჯერებელს გახდიდა ჩვენს ცხოვრებას. „ესაა, მეგობრებო, ჩვენი მარტოობის მთავარი მიზეზი“[10]– ამბობს მარკესი ხსენებულ სიტყვაში. ასე რომ, ლათინური ამერიკის წარმოშობის, ისტორიისა და სულის მკვლევარი გაბრიელ გარსია მარკესი თავისი სამყაროს მარტოობის ჟამთააღმწერელი გახდა. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად ხშირად იყენებს იგი ამ სიტყვას. ისიც მეტყველი ფაქტია, რომ ნობელის პრემია მას „მარტოობის ასი წლისათვის“ მიუნიჭა, წარმოთქმულ სიტყვას კი „ლათინური ამერიკის მარტოობა“ ჰქვია. მარკესის პერსონაჟები, ყველაზე გამორჩეული და ბრწყინვალენიც კი, (პუბლიცისტური პერსონაჟების ჩათვლით) მარტოსულები არიან. ბუენდიების დაწყევლილი ჯიში განადგურდა და აღიგავა პირისაგან მიწისა, მაგრამ აი, რისი სჯერა დიდ მაესტროს: “... ჩვენ, ზღაპრების გამომგონებლებმა, ყველაფრის დაჯერება რომ შეგვიძლია, უნდა დავიჯეროთ, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიანი, ჯერ კიდევ შეიძლება შეიქმნას საპირისპირო უტოპია. ახალი, ყოვლის დამმარცხებელი უტოპია სიცოცხლისა, სადაც ვერავინ შეძლებს გადაუწყვიტოს სხვებს, თუ როგორ უნდა წავიდნენ საიქიოს. სადაც სიყვარული გაიმარჯვებს და ბედნიერება შესაძლებელი იქნება. სადაც ასი წლის მარტოობამისჯილ ერებს ბოლოს და ბოლოს სამუდამოდ მიეცემათ სხვაგვარად ცხოვრების შესაძლებლობა“(5,10). – ეს ოპტიმისტური განწყობა, რწმენა სიცოცხლის სიძლიერისა და მომავლის გარდუვალობისა, განსაკუთრებით მკაფიოდ პუბლიცისტიკაში იკვეთება.

მეორე ძირითადი პრობლემა, რაზეც მარკესი ამახვილებს ყურადღებას სიტყვაში „ლათინური ამერიკის მარტოობა“, არის დიქტატორისა და დიქტატურიზმის პრობლემა – ანუ – განუსაზღვრელი ძალაუფლება და ზღვარგადასული ძალადობა – ეს არის ის სენი, რომელიც ლათინური ამერიკის ისტორიის დასაბამშივე

ჩაიდო ესპანელი კონკისტადორების მიერ და იგი დღესაც მძვინვარებს, მოდერნიზებული და გათანამედროვებული.

დიქტატურიზმის თემა მარკესის შემოქმედებაში შერწყმულია უფრო ზოგად, პიროვნებისა და ისტორიის ურთიერთმიმართების თემასთან. თუმცა ყოველივე ეს ფარდობითია, რადგან, საერთოდ, ნებისმიერი დაყოფა-კლასიფიკაცია, იქნება ეს იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრული, პირობითია. შეუძლებელია დაბეჯითებით თქვა, რომ მოცემული სტატია მხოლოდ და მხოლოდ ერთ თემას თუ პრობლემას ეხება. ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეული თემის წინ წამოწევაზე სხვებთან მიმართებაში. მარკესის ყოველი სტატია „ლაკონიურად ყოვლისმომცველია“, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, ბევრი ორგანოსგან შემდგარი. თუ მოცემულ მომენტში რამე გტკივა, ის უმალ აისახება სტატიაში, წერილსა თუ მკითხველისადმი პასუხში.

დიქტატურიზმის თემას მარკესმა უბრწყინვალესი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაშრომები მიუძღვნა, ავითარებდა რა მას კონკრეტული პიროვნების პორტრეტიდან (უგო ჩავესი) არქეტიპ პატრიარქამდე (რომანი „პატრიარქის შემოდგომა“).

ეს არის ის ძირითადი მომენტები, რომლებზეც მარკესი ყურადღებას ამახვილებს სიტყვაში „ლათინური ამერიკის მარტოობა“ და ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებზეც მისი შემოქმედებაა აგებული, შემოქმედება, რომელიც კვლავაც და კვლავაც გვაოცებს და აღგვაფრთოვანებს თავისი უჩვეულობით, გამორჩეულობით, სიდიადით.

მარკესის 80-90-იანი წლების პუბლიცისტურ წერილებშიც სწორედ ამ თემატურ მიმართულებებს ენიჭება უპირატესობა, რის ჩვენებასაც შევეცდებით ნაშრომში საკვანძო სტატიების ანალიზის მეშვეობით.

თავი I.

გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედებითი ლაბორატორია

§1. „დაუჯერებელი“ ლათინური ამერიკა.

გაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედება. მისი პერსონაჟები, სიტუაციები, ისტორიები, მართლაც რომ უჩვეულოა, „დაუჯერებელია“. ეს არ არის შემთხვევითობა ან ფანტაზიის ნაყოფი. ამას ძალიან ღრმა, შეიძლება ითქვას, გენეტიკურ-ფილოსოფიური ფესვები გააჩნია:

1492 წლის 12 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბი დარჩენილი სამი კარაველათი „პინტათი“, „ნინიათი“ და „სანტა მარტათი“ ამერიკის სანაპიროებს მიადგა. დავესესხებით ლეოპოლდო სეას, ფილოსოფოსსა და ისტორიკოსს (რომლის შეხედულებანი და მოსაზრებანი ბევრ შემთხვევაში ძალზე საკამათოა): „სწორედ ეს აღმოჩენა გახდა უდიდესი ეპოპეის ამოსავალი წერტილი – ევროპელი ადამიანის მთელს პლანეტაზე ექსპანსიის ეპოპეისა. იგი იქცა ამოსავალ წერტილად სულ ახალ და გასაოცარ აღმოჩენათა და მასთან თანმდევი გასაოცარი კოლონიზაციისა, რომელიც ხორციელდებოდა შორს ევროპული ზღვებისაგან და იმ სამყაროს ბუნებრივ საზღვრებისაგან, რომლებიც ამერიკის აღმოჩენის შემდეგ იწოდებოდნენ დასავლეთად... ევროპელი ადამიანი შეხვდა სხვა ისტორიებს. ... ამის შემდეგ ისტორია აღარ იყო უბრალოდ ქრონიკა ან ამბავი, მან თავისი თავის გაცნობიერება დაიწყო“.(7,50)

სწორედ ამ აღმოჩენიდან და კოლონიზაციიდან მოყოლებული ევროპელი ახდენს თავისი ცხოვრების სტილის, ისტორიის, ენის, სარწმუნოების პროეცირებას სრულად განსხვავებულ სამყაროზე. გადმოაქვს სრულიად განსხვავებულ სამყაროზე. ამ ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს უერთიერთქმედების შედეგიც „განსაცვიფრებელი“ და „დაუჯერებელი“ აღმოჩნდა ჩვენ მივიღეთ მარკესის სამყარო– ლათინური ამერიკა. და ამ სამყაროს გზამკვლევიც ჩვენთვის გაბრიელ გარსია მარკესია. ამ სამყაროს დასაბამში ჩვენ გადაგვიყვანს უბრწყინვალესი სტატია „ფანტაზია და

მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე"(6), რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „ფოსეს" (სან-ფრანცისკო კალიფორნია, 1998, მარტი №2 მხატვრობა და ლიტერატურა) და რომელსაც მართლაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მარკესის 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკაში. ეს სტატია მნიშვნელოვანია იმით, რომ იძლევა პასუხს ბევრ კითხვაზე და ხსნის ბევრ თავსატეხს, რომლებმაც ლათინურმა ამერიკამ, საერთოდ, და კონკრეტულად მარკესმა, გაუჩინა მკითხველთა და კრიტიკოსთა უზარმაზარ არმიას. გარდა ამისა, ეს სტატია არის ერთგვარი კვინტესენცია დიდი მოაზროვნის მსოფლმხედველობისა, ფილოსოფიისა, ლათინო-ამერიკულობისა. ზემოთ ხსენებული თემატური კონსტანტები მასში დახვეწილად, ლაკონიურად, გასაგებად და მარკესისეულად უჩვეულოდ არის გადმოცემული. სტატია იწყება თემორისტულად და მიმართულია ლექსიკონების, მათი შემდგენლების წინააღმდეგ: „ჩემი ერთ-ერთი ინტელექტუალური დეფექტი არის ის, რომ ვერასოდეს შევძელი გამეგო, თუ რისი თქმა უნდათ ლექსიკონებს... ერთხელ, როდესაც საგანგებო ინტერესის გამო გადავფურცლე ისინი, რათა დამედგინა სხვაობა ფანტაზიასა და წარმოსახვას შორის, არ გამიმართლა. განსაზღვრებები არა მხოლოდ ნაკლებად გასაგები აღმოჩნდა, არამედ პირიქით" (4). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონების თემას მარკესი საკმაოდ ხშირად უბრუნდება. ერთ-ერთი მათგანისათვის კი ბრწყინვალე წინასიტყვაობაც კი დაწერა, სადაც მოთხრობილია მისი პირველი შეხვედრა განმარტებით ლექსიკონთან და ის, თუ რა შედეგი მოიტანა ამან, რა დასკვნები გააკეთა თავად მარკესმა: „ხუთიოდ წლის ვიქნებოდი, როდესაც ბაბუამ ცირკის ცხოველების სანახავად წამიყვანა ცირკი გავლით იყო არაკატაკაში" – მომენტალურად გვახსენდება „მარტოობის ასი წლის" პირველი ფრაზა: „მრავალი წლის შემდეგ, დამსჯელი რაზმის წინ მდგარი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გაიხსენებდა იმ დღეს, როდესაც მამამ იგი ყინულის სანახავად წაიყვანა"(8,33) ეს ალუზია,

ა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი, და არც მხატვრული ხერხების ნაკლებობაა: საქმე ისაა, რომ მარკესი არასოდეს არაფერს არ იგონებს. ყოველი მისი სიტყვა ნამდვილია, რეალობის ამსახველი, მისი პერსონაჟების გრძნობები, მოგონებები, სულიერი მდგომარეობა და განებავთ ცალკეული ფრაზები და რეპლიკებიც კი, ყოველივე ოდესღაც სინამდვილეში გადატანილი, განცდილი და განაგონიას ანარეკლია. და მეტიც, ისინი უფრო ნამდვილია, ვიდრე თავად რეალობა, ხოლო იმ ფაქტს, რომ „მარტოობის ასი წლის“ სამყარო ბებიასთან და ბაბუასთან გატარებული ბავშვობის წლებიდან გამოჰყვა, როგორც ფანტასმაგორიული სინამდვილე, ამას თავად მწერალი სიამაყითაც ხშირად ჰყვება.

იმ დღეს კი, როდესაც ბაბუამ შვილიშვილი ცხოველების სანახაოდ წაიყვანა, პატარა გაბრიელი ლექსიკონსაც ეზიარა პირველად. საქმე ერთკუზიანი აქლემის დასახელებას ეხებოდა. შეკითხვაზე, თუ რამდენი სიტყვაა ლექსიკონში, მარკესმა ბაბუისაგან ასეთი პასუხი მიიღო: „ყველა“. – კლასიკურად მარკესისეული პასუხი, და კლასიკურად ლათინოამერიკული პასუხი: ანუ ყოველდღიური რუტინის რანგში აყვანილი მაქსიმალიზმი. და სწორედ ეს მაქსიმალიზმია მარკესის ყველა გმირის ძირითადი მახასიათებელი, ისინიც ხომ ტიპიურს ასახავენ.

„იმ ღამეს, როდესაც ვეზიარე ლექსიკონს, ჩემში სიტყვებისადმი ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა...“ – ამბობს მაესტრო და კიდევ უფრო აკონკრეტებს: „მე მასში ვხედავდი არა სახელმძღვანელოს, სქელს და ბრძენს, არამედ მთელი ცხოვრების სათამაშოს“... ძალზე ოსტატურად „თამაშობს“ მაესტრო გაბრიელი სიტყვებით, იმდენად ოსტატურად, რომ მთელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული „კითხულობს ამ თამაშს“. მიეუბრუნდეთ ლექსიკონს: მაშინ „თამაშის“ ხასიათზე მარკესი სიტყვა „ყვითელმა“ დააყენა: ლექსიკონი განმარტავდა: „ეს არის ლიმონის ფერი“. გაოგნებული დარჩა მაშინ მარკესი: „ამერიკაში ლიმონი მწვანე ფერისაა“. მხოლოდ ბევრი წლის შემდეგ, როდესაც იგი ევროპაში

მოხვდა, ნახა იქ ყვითელი ფერის ლიმონი. მრავალი წლის გაუგებრობას წერტილი დაესვა. მაგრამ ირონია ლექსიკონების მიმართ არ გამქრალა: – „სათამაშო“.

ეს თითქოს და გასართობი ისტორია არის ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ რამდენად განსხვავებული ცივილიზაციის, მსოფლმხედველობის, სამყაროს აღქმის მატარებელია გაბრიელ გარსია მარკესი. სწორედ ამის ახსნას ცდილობს იგი ხსენებულ სტატიაში „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“.

რაც შეეხება „ფანტაზიასა“ და „წარმოსახვას“, მარკესი თავად გვთავაზობს ორიგინალურ ინტერპრეტაციას: „ფანტაზია არის ის, რასაც არაფერი აქვს საერთო იმ სამყაროს რეალობასთან, რომელშიც ვცხოვრობთ: ეს არის წმინდა გამონაგონი, მონაჩმახი“..., „წარმოსახვა არის განსაკუთრებული შესაძლებლობა, რომელიც გააჩნია ხელოვანს, რათა შექმნას ახალი სინამდვილე იმ რეალობის ბაზაზე, რომელშიც ცხოვრობენ“. (6)

უთუოდ საგულისხმო განსაზღვრებაა: ლაკონიურად და გასაგებად არის გადმოცემული არსი პრობლემისა, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს გარსია მარკესის პოეტიკისა და შემოქმედების ქვაკუთხედად. ამ ორი განმარტებით სადად და ნათლად პასუხობს იგი მთელს არმიას კრიტიკოსებისას, რომლებიც დაუღალავად და, რაც სამწუხაროა, უშედეგოდ იკვლევენ „მაგიური რეალიზმის“ ფენომენსა და არსს. „მაგიური“ ეს რეალიზმი სინამდვილეში მხოლოდ ევროპელისთვისაა, რადგანაც იგი „გაუგონარი“ და „დაუჯერებელია“ მისი ცნობიერებისთვის. ლათინოამერიკელთათვის კი იგი ყოველდღიურობაა, ჩვეული რუტინაა, სწორედ ეს „გაუგონარი“ და „დაუჯერებელი“ ხდის ამ სამყაროს იდუმალსა და მიმზიდველს.

სტატია ფაქტებზე სისტემატიზებულია დაუჯერებელი ისტორიული მაგალითებით და ფაქტებით. მაჩვენებელი[23] ხაზავს საერთოდ აშენებას

„უცნაურობებსა“ და „დაუჯერებლობას“. დღიდან ამ საოცარი კონტინენტის აღმოჩენისა, დაწყებული თავად ქრისტეფორე კოლუმბიდან... და შემდგომ კონკისტადორებით, მისიონერებით, მოგზაურებითა თუ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებით დამთავრებული, ყვებოდნენ და წერდნენ სრულიად წარმოუდგენელ ამბებს და ცდილობდნენ დანარჩენი მსოფლიო დაეჯერებინათ „დაუჯერებელში“.

„დაუჯერებელი“ – ლათინური ამერიკის რეალობაა, სინამდვილეში კი იგი ბევრად უფრო რეალური, მდიდარი და საინტერესოა, ვიდრე ნებისმიერი ფანტაზია, წარმოსახვა თუ შემოქმედება. სწორედ ამას უხსნის გარსია მარკესი მკითხველისათვის, განსაკუთრებით კი ევროპელ მკითხველს, რომელიც გამოირჩევა რაციონალიზმით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ურთულესი პრობლემის წინაშე დგას ლიტერატურა: „სიტყვების უკმარისობა“. განა პარადოქსი არ არის, რომ ამასს ამბობს ადამიანი, რომელმაც სწორედ სიტყვაკაზმულობაში დაიმსახურა უმაღლესი აღიარება და ჯილდო – ნობელის პრემია? მაგრამ ეს „უკმარისობაც“ ლათინური ამერიკისა და კარიბების უკიდეგანო რეალობის, ანუ, როგორც თავად მარკესი განმარტავს „ზღვარგასული რეალობის“ შედეგია.

მარკესისათვის ლათინური ამერიკა და კარიბები სამყაროს გზაჯვარედინია, სადაც „კონტინენტის აღმოჩენამდე არსებული წარმოდგენები და რელიგიები ორიგინალურად შეერწყა კულტურათა მრავალ ნაირსახეობას; ამან განაპირობა მომდევნო წლებში მაგიური სინკრეტიზმი, რომლის მხატვრული ინტერესი და ბარაქიანობა ამოუწურავია“. სწორედ ეს არის სათავე უდიდესი და უჩვეულო კულტურული არეალის არსისა, რომლის ღვიძლი შვილიც გახლავთ გაბრიელ გარსია მარკესი. ეს თვალნათლივ ჩანს ყოველ მის ნაწარმოებში, სტროფში, სიტყვაში. როგორც იგი თავად აღნიშნავს

„არ არის არც ერთი სტროფი, არც ერთ ჩემს წიგნში, რომელსაც საფუძვლად არ ედოს რეალური ფაქტი“. (6)

ლათინოამერიკელებს არ სჭირდებათ ახალი რეალობის შექმნა, რათა დააინტერესონ და განაცვიფრონ მკითხველი, რადგან „რეალობა უკეთესი მწერალია, ვიდრე ჩვენ“. „ჩვენი ბედი და, ალბათ, ჩვენი დიდებაც ის იქნება, თუ მოკრძალებულად შევეცდებით მივბაძოთ მას“. (6) გაბრიელ გარსია მარკესმა ეს ნამდვილად შესძლო.

სტატია „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“ არა მხოლოდ ლიტერატურის, პოეტიკის თვალსაზრისითაა საინტერესო. იგი თვალნათლივ წარმოაჩენს გაბრიელ გარსია მარკესის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს: მთელი ლათინური ამერიკის ერთიანობის იდეას და აქედან გამომდინარე ერთიანი კონტინენტის მოქალაქეობის იდეას. თავისუფლების იდეა, აღმოჩენის დასაბამშივე რომ ჩაიდო, საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა და საბოლოოდ ზოგადლათინოამერიკულის სახით სიმონ ბოლივარის პიროვნებაში წარმოჩინდა. ამ დიდი მოღვაწის ოცნება იყო ეხილა ლათინური ამერიკა ერთიან, ძლიერ სახელმწიფოდ, როგორც მატარებელი ერთიანი სულიერებისა. მარკესისთვისაც ლათინური ამერიკა ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმია. არსად, არც ერთ ნაწარმოებში იგი არ აკონკრეტებს მოქმედების ადგილს (თუ არ ჩავთვლით გამოგონილ მაკონდს და მდინარე მაგდალენას, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის), იგი ღვიძლი შვილია იმ ერთიანი და განუყოფელი კულტურული და სულიერი არეალისა, რომელსაც „ლათინური ამერიკა და კარიბები“ ჰქვია.

განხილულ სტატიას ჩვენ კვლავაც არაერთხელ დავუბრუნდებით.

§2. ხელობის თავისებურებანი.

მარკესისეული პოეტიკა ვახსენეთ. მაესტრო გაბრიელი შეეხო ისეთ პრობლემებს, როგორიცაა, „სიტყვების ნაკლებობა“ და მწერლის როლი რეალობის ასახვაში. და მართლაც, რა არის მწერლისა თუ პუბლიცისტის საქმიანობა? ამაზე პასუხს გაგვცემს სტატია „გვესაჭიროება მწერალი“,(9) რომელიც გამოქვეყნდა „ელ პაის“-ში 1982 წლის 6 ოქტომბერს. ამ სტატიას, უდავოდ, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მწერლის „შემოქმედებით ლაბორატორიაში“ შესასვლელად.

პოეტიკისა და კონკრეტულად საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის გაშიფვრასა და განმარტებას გარსია მარკესმა საკმაოდ ბევრი წერილი მიუძღვნა, მაგალითად: „ქრონიკის ქრონიკა“ („Cronica de otra cronica“)(10). „რომანში შემთხვევით მოხვედრილი პერსონაჟი“ („El personaje equivoco“)(11). „სხვისი ბაღის ხილი“ („Las frutas del cercado ajeno“)(12). „მოთხრობა მოთხრობის შემდეგ“ („El cuento despues del cuento“) (13) ეს წერილები, ძირითადად, გამოქვეყნდა რუბრიკაში „გაბო პასუხობს“, სადაც საუბრობს სხვადასხვა პერსონაჟებზე, ნაწარმოებებზე, იხსენებს მათი შექმნის ისტორიას. ეს წერილები, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ისინი უფრო კამერულ ხასიათს ატარებენ. ჩვენ მარკესის „შემოქმედებითი ლაბორატორიის“ განსახილველად უფრო გლობალური და ზოგადი ხასიათის წერილები შევარჩიეთ.

პოეტიკის საკითხებზე მარკესი ხშირად საუბრობს ინტერვიუებშიც: „მიყვარს კინო ხელოვნება“(14). „მოხუცი და სიყვარული“(15). „რომანი ბედნიერ სიყვარულზე“(16). „ხასიათი ყველაზე მთავარია, (17) „Adios, amigo“ და სხვა. როგორც შესავალში აღვნიშნეთ,

ინტერვიუები ცალკე შესწავლის საგანია და სცილდება მოცემული ნაშრომის ფარგლებს.

მაშ ასე, წერილი „გვესაჭიროება მწერალი“.

მარკესის შემოქმედებას ნაზიარებ მკითხველს არც პარადოქსული სათაური გაუკვირდება და არც წერილის ნაკლებ პარადოქსული პირველი ფრაზა: „მე ხშირად მეკითხებიან თუ რა მჭირდება ყველაზე მეტად ცხოვრებაში და ყოველთვის გულწრფელად ვპასუხობ: „მწერალი“. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა შევაჩეროთ სწორედ ამ ორ მომენტზე: სათაური, რომელიც თითქმის ყოველთვის პარადოქსული ან ურთიერთგამომრიცხავი დებულებების შემცველია და პირველი ფრაზა, რომელშიც ავტორი ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე კრავს კვანძს და, უმეტესწილად, კიდევაც ხსნის მას. ეს მარკესის ნაცადი და აპრობირებული ხერხია (ამაში შემდგომი სტატიების განხილვისას დავრწმუნდებით), რომელსაც ჯერ არ უმტყუნია. ასეა ამ შემთხვევაშიც. მსგავსი შესავლის შემდეგ შეუძლებელია არ წაიკითხო სტატია განსაკუთრებული ინტერესის გარეშე, რამეთუ „მწერალი“ ესაჭიროება ადამიანს, რომელიც უკვე აღიარებულია საუკუნის მწერლად და სულ ცოტა ხანში „ნობელითაც“ დაჯილდოვდება.

საქმე კი შემდეგშია: „თუ ოდესმე აღმოვჩნდები გარდაუვალი ვალდებულების წინაშე, დავწერო ნახევარგვერდიანი მოთხრობა ერთ ღამეში, მე მივუბრუნდები ჩემს უთვალავ ძველ ჩანაწერებს და დარწმუნებული ვარ, რომ დავალება დროზე იქნება შესრულებული. ალბათ, ეს ცუდი მოთხრობა იქნებოდა, მაგრამ ვალდებულება შესრულებული იქნება, რაც, საერთო ჯამში არის ის, რისი თქმაც მინდოდა ამ კოშმარით. მაგრამ ვერაფრით ვერ დავწერდი მისალოც ტელეგრამას ან სამძიმრის წერილს მთელი კვირაც რომ გავმსკდარიყავი. ამ, და სხვა, სოციალური ცხოვრების არასასურველი

ვალდებულებებისათვის მწერალთა უმრავლესობა, რომელსაც ვიცნობ, სხვა მწერალთა კეთილგანწყობილ სამსახურს მიმართავს". (9)

ამ ფაქტის საილუსტრაციოდ მარკესს ერთი თითქმის ანეკდოტური შემთხვევა მოჰყავს: „მწერლის", უფრო ზუსტად კი „დამწერის" საჭიროება მარკესმა ყველაზე მეტად და მძაფრად მეხიკოში, ლუის ალკორისას სახლში, ერთ-ერთ სცენარზე სამუშაოდ მისულმა იგრძნო. საქმე კი შემდეგში მდგომარეობდა: მეგობარმა ქალმა, რომელიც სახლის სამუშაოებს ასრულებდა სთხოვა ალკორისას დაეწერა მისთვის წერილი სოციალური დაზღვევის დირექტორის სახელზე. ალკორისა, არა მხოლოდ ჩინებული მწერალი და ლუის ბუნიუელის ერთ-ერთი პირველი და ჭკვიანი სცენარისტი, არამედ ბანკის მოლარის გამოცდილების მქონეც, დახვდა სტუმარს სიბრაზისაგან გაგიჟებული და დახეული ქაღალდების გროვაში ჩაფლული: ყოველ დაგლეჯილ ფურცელზე მიმართვის მხოლოდ პირველი ფრაზა ეწერა. მარკესი შეეცადა დახმარებოდა მას. მაგრამ სამი საათის მუშაობის შემდეგ ისინი კვლავ შავი ვარიანტების ხევაში იყვნენ: ჯინით შეზარხოშებული და ესპანური ძეხვით დანაყრებული ორი მაესტრო პირველი ფრაზის ფორმულირებას ვერ გასცდა.

მარკესი ვერასოდეს დაივიწყებს მზარეული ქალბატონის თანაგრძნობით სავსე გამომეტყველებას, როდესაც მან თავისი წერილი ამდენი ხნის მერეც ვერ მიიღო და მოისმინა, რომ ორმა გამოჩენილმა მწერალმა ის ვერ დაწერა. „მაგრამ ეს ხომ ძალიან ადვილია" – იყო მოკრძალებული პასუხი და მან დაიწყო წერილის შინაარსის ისე ბუნებრივად და ლაღად მოყოლა, რომ გაოგნებული ლუის ალკორისა ძლივს ასწრებდა მისი სიტყვების დაბეჭდვას. ორი მაესტროს გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა:

„იმ დღეს– ისევე როგორც დღეს – მე დავფიქრდი იმაზე, რომ შესაძლოა, ის ქალი, რომელიც ყოველგვარი დიდების გარეშე

სწორედ ასეთი ფაქტების საფუძველზე ასკვნის დიდი მაესტრო გაბრიელი საპროგრამო სტატიაში „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“, რომ „ცხოვრება უკეთესი მწერალია, ვიდრე ჩვენ“, და, ალბათ, იმავე მიზეზის გამო, იგი არასოდეს არაფერს არ იგონებს, ყველაზე ფანტასტიკურ, „გაუგონარ“, და „დაუჯერებელ“ მოვლენებსაც კი. იგი მხოლოდ დამფიქსირებელია ამ გამაოგნებელი ცხოვრებისა და მეტი არაფერი, მაგრამ მოვლენის დაფიქსირება ხომ ჟურნალისტიკის პრეროგატივაა, და მაშ ვინაა საბოლოო ჯამში გაბრიელ გარსია მარკესი: ჟურნალისტი თუ მწერალი? ლათინური ამერიკის რეალობა იმდენად დაუჯერებელი და გამაოგნებელია, რომ ჟურნალისტურად ფაქტების დაფიქსირებაც კი უდიდეს შემოქმედებით ნიჭსა და უნარს მოითხოვს.

ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა კითხვაზე, ვინ არის გაბრიელ გარსია მარკესი: უფრო ბელეტრისტი თუ უფრო პუბლიცისტი – შეუძლებელია: იგი ორივეა, დიდი ბელეტრისტიც და დიდი პუბლიცისტიც. მეტიც, იგი თავად ამ ორ სფეროს არ აცალკევებს: მისთვის წარმოუდგენელია დაწერო კარგი პუბლიცისტური წერილი, თუ არა ხარ ნაზიარევი მწერლის ხელობას. ხოლო მისი პროზა აშკარად და დაუფარავად იმეორებს პუბლიცისტიკის ჟანრებს, თავად სათაურშივე: „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, „შეტყობინება გემზე კატასტროფაგამოვლილზე“ და სხვა. ჩვენ ზემოთ შევეხეთ სათაურების თავისებურებებს მარკესის შემოქმედებაში და ამ თემას კვლავაც მივუბრუნდებით. ხოლო პროზაულ ნაწარმოებთა სათაურებიც, ამ მხრივ ორმაგი დატვირთვის მატარებელია:

1. შინაარსი –ინტრიგა – გაცხადება და

2. პუბლიცისტური ჟანრების ლიტერატურული მოდიფიკაცია.

§ 3. ბელეტრისტიკისა და პუბლიცისტიკის ერთიანობა

ბელეტრისტიკა – პუბლიცისტიკის განუყრელობაზე და ურთიერთგანპირობებულობაზე უაღრესად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ავტორი სტატიის მომდევნო ნაწილში, რომელშიც საუბარია წერილების ყოველკვირეულ ციკლზე, ანუ ყოველკვირეულ ნარკვევებისათვის, თუმცა უაღრესად საგულისხმო მომენტია, რომ მარკესი ამ ნარკვევებისათვის ხმარობს სიტყვას, „notas“, რაც შენიშვნას, შეტყობინებას ნიშნავს. დასათაურება წმინდა ჟურნალისტურია, ნარკვევები იწერება ყოველკვირეულად: ეს არის პერიოდული ხასიათის ლიტერატურული წერილები, ანუ არსით ჟურნალისტური. ამ ახსნა-განმარტების შემდეგ მარკესი დასძენს, რომ ამ წერილებს ოქტომბერში „საზოგადოებრიობის ორი წელი უნდა შეუსრულდეთ“. „საზოგადოებრიობის ორი წელი“ – ჟურნალისტური წერილები და „მარტოობის ასი წელი“ – რომანი . ამ საგულისხმო რემინისცენციაზე ბევრი მოსაზრების გამოთქმა შეიძლებოდა, რომ არა თავად მარკესის განმარტება: „მე მათ ვწერ ყოველ პარასკევს, დილის ცხრა საათიდან დღის 3 საათამდე იმავე ნებისყოფით, იმავე გაცნობიერებულად, იგივე სიხარულითა და ხშირად ისეთივე შთაგონებით, რომელიც მექნებოდა შედევრის დაწერისას“(9) – ანუ, შემოქმედებითი ხარჯვა ავტორისა „საზოგადოებრიობის ორი წლის“ და „მარტოობის ასი წლის“ წერისას ერთი და იგივეა. ავტორი ერთ სიბრტყეზე აყენებს ყოველკვირეულ, პერიოდულ წერილს და მხატვრულ შედევრს. ეს დასკვნა მრავალწლიანი გამოცდილების

გაანალიზების შედეგია. სრულფასოვანი ჟურნალისტური წერილი მაღალი რანგის ლიტერატურაა. (ამ თემაზე უფრო დაწვრილებით მარკესი წერს სტატიაში „მსოფლიოში საუკეთესო ხელობა“, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ).

წერილში ეს აზრი ვითარდება და ღრმავდება. ამ ყოველკვირეული წერილებით მარკესი, მისივე აზრით, ერთი მხრივ, გადის უმკაცრეს გამოცდას მომთხოვნი და მკაცრი მკითხველის წინაშე, და, მეორე მხრივ, იგი, როგორც მწერალი, მუდამ ფორმაშია. მეტიც: იგი უნდა იყოს შესაბამის სიმაღლეზე, რამეთუ მას გაცილებით მეტი მოეკითხება, ვიდრე ნებისმიერ სხვა მწერალსა და პუბლიცისტს. ამ რეალობის გაცნობიერება და საჯაროდ აღიარება არცთუ ისე იოლს ხდის დასახულ ამოცანას. მაგრამ ნამდვილი შემოქმედისათვის წერა, ანუ შემოქმედება, ორგანული მოთხოვნილებაა: „ერთადერთი ბედნიერებაა, რომელიც თავისივე თავს ასაზრდოებს“ და შემდგომ კი გენეტიკურ ჩვევაში გადაიზრდება: „ბოლოჯერ ექვსიოდე თვის წინ, გაღვიძებისას აღმოვაჩინე, რომ ჩემს გულში უკვე მომწიფებულიყო სასიყვარულო რომანი, რომლის დაწერაც ასე მსურდა წლების განმავლობაში. ალტერნატივა არ გამაჩნდა: ან საერთოდ არ უნდა დამეწერა იგი, ან უნდა ჩავფლულიყავი მასში სასწრაფოდ, და თანაც მთლიანად. და მიუხედავად ამისა, სიმართლის ჟამს არ მეყო გამბედაობა უარი მეთქვა ჩემს ყოველკვირეულ სამალავზე, და პირველად ცხოვრებაში ვაკეთებ იმას, რაც ყოველთვის შეუძლებლად მეჩვენებოდა: ვწერ რომანს ყოველდღე, ასო-ასო, ისეთივე მოთმინებით და, ღმერთმა ქნას, ისეთივე გამართლებით, როგორც კენკავენ საკვებს ეზოში ჩემი ქათმები. და ყოლეყდღე სულ უფრო და უფრო ახლოს მესმის უახლესი პარასკევის დიდი ცხოველის შიშნარევი ნაბიჯები“...(9) – ყოველკვირეული პარასკევი, შეტყობინებების, ცნობების, ჟურნალისტობის წლების მანძილზე ნალოლიავებ რომანსაც კი

ეცილება. ამ „უახლოესი პარასკევისაგან“ თავის დაღწევა უკვე შეუძლებელია.

„შეტყობინება“ – მარკესის შემოქმედების კიდევ ერთი ქვაკუთხედია და, ალბათ, არა მარტო მისი: ყოველმა შემოქმედმა ხომ რაღაც უნდა გვითხრას, შეგვატყობინოს, გაგვაგებინოს. მაგრამ ამბის გადმოცემა ხომ ჟურნალისტიკის პრეროგატივაა. მაშ სად არის აქ ზღვარი? ზღვარი კი ძალზე ძნელად საპოვნელია, თითქმის შეუძლებელია, რასაც თავად მარკესის შემოქმედება ადასტურებს. ამიტომაც ათანაბრებს მარკესი ჟურნალისტიკასა და მწერლობას, აჰყავს იგი ხელოვნების უმაღლეს რანგში. მთავარია, როგორ მიუდგები და ემსახურები მას. ზემოთ უკვე იყო საუბარი პროზისა და პუბლიცისტიკის ურთიერთგანპირობებულობაზე მარკესის შემოქმედებაში, როდესაც ვცდილობდით გაგვერკვია, ვინ უფროა მარკესი: პროზაიკოსი თუ პუბლიცისტი! ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება სტატია „გასართობი სოფიზმები“ (18). სტატია განეკუთვნება ციკლს „გაბო პასუხობს“, რომელშიაც მკითხველთა შეკითხვების საფუძველზე გარსია მარკესი გამოთქვამს თავის შეხედულებებს სხვადასხვა საკითხზე: ეხება საკუთარი თუ მსოფლიო ლიტერატურის პოეტიკასა და ესთეტიკას, გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟების მიმართ და ა. შ.

სტატია „გასართობი სოფიზმები“ ეძღვნება პუბლიცისტური ჟანრების „მხატვრულ“ განხილვას და საკუთარი ბელეტრისტიკის მიმართებას ამ ჟანრებისადმი. მართებულად მივიჩნიეთ წარმოგიდგინოთ, ამ სტატიის სრული თარგმანი, რაც გაცილებით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი კომენტარი.

ინტერნეტის მეშვეობით გაგზავნილი შეკითხვა.

რომ შევაჯამოთ, თქვენი კონკრეტული კითხვა არის, ელოდონ თუ არა მკითხველები ჩემგან წიგნს, რომელიც იქნებოდა ინტერვიუ, ისევე როგორც გამოვაქვეყნე ქრონიკა, მოთხრობა, ცნობა. ჩემი კონკრეტული პასუხი არის არა. მაგრამ წერილის პათოსი მაფიქრებინებს, რომ თქვენ სხვა შეკითხვებიც გაქვთ და არ ვიცი, რატომ არ დამისვით ისინი. მაშ კარგი: გიპასუხებთ. წესრიგისათვის თავიდანვე ვიტყვი, რომ დაწერილი მაქვს ცხრა რომანი, 38 მოთხრობა, ორი ათასზე მეტი საგაზეთო წერილი და ღმერთმა უწყის, რამდენი რეპორტაჟი, ქრონიკა და კინოსცენარი. ყველაფერს ამას ვაკეთებდი ყოველდღურად, საკუთარი ხელებით, მარტოობის სამოცზე მეტი წლის განმავლობაში თხრობის სუფთა, უბრალო და უანგარო სიამოვნების გამო. რეზიუმე: მოწოდებითაც და შესაძლებლობებითაც წმინდა წყლის მთხრობელი ვარ, ისევე როგორც სოფლის მთხრობელები, რომლებსაც არ შეუძლიათ იცხოვრონ, თუ რამეს არ ყვებიან, მნიშვნელობა არა აქვს რეალურს თუ გამოგონილს. ჩვენთვის რეალობა არ არის მხოლოდ ის, რაც მოხდა, არამედ, უფრო ის, რაც რსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვიღაცამ მოყვა. მაგრამ რაც უფრო მეტს ვწერდი, ნაკლებად შემეძლო გამერჩია ჟურნალისტური ჟანრები.

მე მათ ზეპირად ვასახელებდი – და არა მხოლოდ საკომუნიკაციო ჟანრებს, რომლებიც საჭიროზე მეტია – შეგნებულად გამოვტოვე ინტერვიუ როგორც ჟანრი, რადგან მას ყოველთვის განცალკევებულად განვიხილავდი როგორც ბებიების იმ საყვავილეებს, რომლებიც მთელი ქონება ღირს და სახლის მშვენებას წარმოადგენს, მაგრამ ვერაფრით პოულობ მათთვის ადგილს. მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღიარო, რომ ინტერვიუ, არა როგორც ჟანრი, არამედ როგორც მეთოდი, ის კეთილი ფერიაა, რომლისგანაც ყველანი იკვებებიან. მაგრამ მე არ მეჩვენება ჩაკეტილ ჟანრად, ისევე როგორც არ მიმაჩნია სცენარი შემდგარ ფილმად.

მეორე, რაც მე ინტერვიუსთან მიმართებაში მაწუხებს, არის მისი რეპუტაცია მსუბუქი ყოფაქცევის ქალისა. ნებისმიერი ადამიანი ფიქრობს, რომ შეუძლია ინტერვიუს გაკეთება. შედეგად ჟანრი საჯარო სასაკლაოდ იქცა; ორიოდ შეკითხვითა და ჩამწერით შეიარაღებულ ახალგაზრდებს აგზავნიან, რათა ისწავლონ ჟურნალისტობა მომხიბვლელობისა და სითამამის ხარჯზე.

რესპოდენტი ყოველთვის ეცდება გამოიყენოს შესაძლებლობა თქვას, რაც სურს – და რაც ყველაზე უარესია, – ინტერვიუერის პასუხისმგებლობის ხარჯზე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ძალზე გამჭრიახი უნდა იყოს, რათა მიხვდეს, თუ როდის უთხრეს მას სიმართლე. ეს კი კატა-თაგვობანას თამაშია. დღეს, პირველ ეტაპზე ხელდასმული პირდაპირი, თუ სუფრაზე ირიბი ინტერვიუები ყოველთვის გამოიყენება სასწავლებლად. ანდა შეიარაღებული ახალბედების კედელზე მისაყენებლად, რომელთა ყველაზე უარესი ჟურნალისტური დამსახურება ის არის, რომ არაფრის არ ეშინიათ და ომში მაგნიტოფონური ტყვიამფრქვევით მიდიან და არც კი კითხულობენ, რა მანძილზე ან „ვინამდე“ აღწევენ ტყვიები.

ჩემი პირადი პრობლემა, როგორც ჟურნალისტისა, იყო იგივე, რაც მწერლისა: გამერკვია საბოლოოდ რომელი ჟანრი უფრო მომწონდა. საბოლოოდ რეპორტაჟი ავირჩიე, რადგან ჟურნალისტიკაში იგი ყველაზე ბუნებრივად და სასარგებლოდ მეჩვენება, რომელსაც შეუძლია იყოს არა ზუსტად ისეთი, როგორიცაა ცხოვრება, არამედ უფრო მეტი: უკეთესი ვიდრე ცხოვრება. ის შეიძლება იყოს ისეთივე, როგორც მოთხრობა ან რომანი, ერთადერთი განსხვავებით – წმინდა და დაუვიწყარი – რომანისა და მოთხრობებისათვის დასაშვებია უსაზღვრო ფანტაზია, მაგრამ რეპორტაჟი უნდა იყოს მართალი ბოლო მძიმემდე, რომც არავის სჯეროდეს და არც იცოდეს.

„მოთხრობა გემზე კატასტროფაგადავლილი“ ქრონიკასთან უფრო ახლოა, რადგანაც წარმოადგენს ორგანიზებულად დაწერილ

პირად გამოცდილებას, გადმოცემულს პირველ პირში ერთადერთი გადარჩენილის მიერ.

სრულიად შეუძლებელია ერთი შეხედვით გაარჩიო რეპორტაჟი, ქრონიკა, მოთხრობა და რომანი. დაეკითხეთ ლექსიკონებს და დარწმუნდებით, რომ ყველაზე ნაკლებად მათ იციან ეს. ეს მეთოდის პრობლემაა: ყველა მოცემულ ჟანრს მტკიცებულება და კვლევის საკუთარი წყაროები გააჩნია წიგნებსა და დოკუმენტებში, კითხვარებსა და ანკეტებში, ყოველდღიური ცხოვრების ბობოქარ შემოქმედებაში და განსაკუთრებით იმ ინტერვიუებში, რომლებიც გაკეთებულია არა იმიტომ, რომ გამოქვეყნდეს ჟანრის პირობითი ფორმებით, არამედ როგორც შემოქმედებითი და სიცოცხლის წყარო, როგორც ამ, ისევე სხვა ჟანრებში. ზემოთქმულის შემდეგ კი უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერვიუ უმთავრესი ჟანრია, რამეთუ მასშია ის წყარო, რომლითაც იკვებება სხვა დანარჩენი ჟანრები.

ალბათ, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჟურნალიატურ ჟანრთა დეფინიცია მიახლოებითი არაზუსტია. მაგრამ ყველა ჟანრის უპირველესი მიზანი არის ის, რომ მკითხველმა სიღრმისეულად, უმცირესი დეტალებით გაიგოს, თუ რა მოხდა. კომუნიკაციის ფუნქციას ყველა ჟანრი ერთმანეთში ინაწილებს. ხოლო მიმწოდებელთა არსობრივი პრობლემა არის არა ის, რომ ჩვენი შეტყობინება სიმართლე იყოს, არამედ ის, რომ ჩვენ დაგვიჯერონ. თქვენ შეეხეთ ჩემ მიერ დამუშავებულ სამ ჟანრს სათაურების დასახელების გარეშე. ეს სათაურები არ არის ძნელი გამოსაცნობი. მოდით, გადავხედოთ მათ თუნდაც იმიტომ, რომ დავინახოთ ის პატარა ტექნიკური და სემანტიკური ნიუანსი, რის გამოც თავგზა გვებნევა.

დავიწყოთ იმის დაზუსტებით, რომ „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ უფრო რეპორტაჟია ვიდრე ქრონიკა. ეს არის ჩემი ბავშვობის მეგობრის საჯარო მკვლელობის დრამატული

რეკონსტრუქცია. იგი მოკლეს მისი ძველი შეყვარებულის ძმებმა, რადგან საქორწინო ღამეს ქალი ქმარმა ოჯახს დაუბრუნა, რადგან იგი ქალიშვილი არ აღმოჩნდა. სასამართლო დასკვნაში ნათლად ჩანს, რომ ქალმა თავის სირცხვილში ჩემი მეგობარი დაადანაშაულა: მისმა ძმებმა იგი დღისით-მზისით, შუაგულ მოედანზე დანებით მოკლეს. წლიდან წლამდე 30 წელი ეიცდიდი, რათა დამეწერა დრამა, რომლის მომსწრეც არ ვყოფილვარ, რადგან დედაჩემი მეევდრებოდა, რომ ეს არ გამეკეთებინა ორი გადამტერებული ოჯახის პატივისცემის გამო. როდესაც, ბოლოს და ბოლოს მან მე ამის უფლება დამრთო, იმდენად მქონდა მეხსიერებაში ეს თემა გადაღეჭილი, რომ მისი გადახალისებაც კი არ დაჭირდა. რომანი ისე დაეწერე, რომ არც ერთ უთვალავ მოწმესთან შეხვედრა არ დამჭირვებია. ეს არ არის მკაცრი ქრონიკა – როგორც არასწორად ვამბობ სათაურში– არამედ საჯარო ინტერესებისაგან დაცული ისტორიული ეპიზოდი, ადგილის, პერსონაჟთა და მთავარ მოქმედ პირთა შეცვლილი სახელებით, ანონიმურობის დაცვით, მაგრამ აბსოლიტური ერთგულებით გარემოებათა და ფაქტების მიმართ. ასე რომ, არ იქნებოდა მართებული გაგვეხილა ის როგორც ფორმალური რეპორტაჟი, არამედ როგორც ჟანრის სრულფასოვანი მოდელი.

„ამბავი მოტაცებაზე“ ეს არის მართლაც სრულფასოვანი რეკონსტრუქცია აღმაშფოთებელი ამბისა, რომელიც კოლუმბიაში აქტიური და დინამიური 262 დღის განმავლობაში იყო: ათი პიროვნების მოტაცება ერთადერთი მიზნით: ხელი შეეშელათ კონსტიტუციური ასამბლეისათვის და გადაეცათ დამნაშავე კოლუმბიელები შეერთებული შტატებისათვის. სრულფასოვანი სტრუქტურული კლასიფიკაციით ეს უნდა ყოფილიყო წმინდა წყლის რეპორტაჟი, რადგანაც ყველა მონაცემი არის მართალი და დადასტურებული. მაგრამ სათაურსაც უნდა გაეწიოს ანგარიში: ეს არის მხოლოდ ვრცელი და სრული შეტყობინება ჩანასახიდან საბოლოო შედეგამდე.

„მოთხრობა გემზე კატასტროფაგადატანილზე“ უფრო ახლოა ქრონიკასთან, რადგანაც ეს არის პირადი გამოცდილების ორგანიზებული წარმოსახვა პირველ პირში ერთადერთი გადარჩენილის მიერ. სინამდვილეში ეს არის გრძელი, სკურპულიოზური, სრული ინტერვიუ, რომელიც მე გავაკეთე არა იმისათვის, რომ უბრალოდ გამომექვეყნებინა, არამედ იმისათვის, რომ ის სულ სხვაგვარად გადახარშულიყო: რეპორტაჟად (თავდაპირველი პროფესია ყველა სტრიქონში იჩენს თავს – ე.კ.) არანაირი ძალისხმევა არ დამჭირვებია, თითქოს ყვავილოვან მდელოზე გამესეირნოს და თანაც საუკეთესოს ამორჩევის შესაძლებლობა მქონოდა და ამას მთავარი გმირის ჭკუის, სიმამაცისა და ერთიანობის სადიდებლად ვამბობ, რომელიც დამსახურებულად გახდა ქვეყნის ყველაზე საყვარელი ცოცხლად გადარჩენილი.

ჩვენ არ ვიყენებდით ჩამწერებს იმიტომ, რომ იმ დროის საუკეთესო ჩამწერები ისეთი დიდები და მძიმენი იყვნენ, როგორც საკერავი მანქანები, ფირი კი ანგელოზის თმებივით იბურდებოდა. დღემდე ვიცით, რომ ძალიან სასარგებლოა მათი გახსენება, მაგრამ არ უნდა იყოს უგულებელყოფილი რესპოდენტის სახე, რომელსაც უფრო მეტის თქმა შეუძლია, ვიდრე მის ხმას, ხანდახან საპირისპიროსიც კი. მე ვაკეთებსი ჩანაწერებს სასკოლო რვეულში, რის გამოც არ დამიკარგია არც ერთი სიტყვა და არც ერთი შტრიხი ინტერვიუდან, და შემეძლო გამეღრმავებინა ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ რის გამოც, უცაბედად წავაწყდი კატასტროფის მიზეზს, რომელიც მანამდე არ თქმულა: საბრალო ხომალდის გადატვირთვა მოხდა გემბანზე ზედმეტად ჩატენილი საოჯახო აპარატურით, გადატვირთვა. და იყო ეს თუ არა, ოცი საათის დაკითხვით მირებული გამთანგველი ინტერვიუ სიმართლის დასადგენად? მიუხედავად ამისა, მე ამას უკეთესად ვიცნობდი, ვიდრე მკითხველი ცოცხლად მოყოლილი ამბიდან, რომელიც მუდამ გადაღებულია: შესანიშნავი მოთხრობიდან.

და ბოლოს, მჯერა რომ ჟურნალისტიკა იმსახურებს არა მხოლოდ ახალ გრამატიკას, არამედ ახალ პედაგოგიკას და ახალ პროფესიულ ეთიკას, და იმას, რომ იყოს აღიარებული როგორიც არის ოფიციალური აღიარების გარეშე: ასაკოვანი ლიტერატურული ჟანრი, როგორც პოეზია, დრამატურგია და სხვა. ვნახოთ, ამდენ გასართობ სოფიზმიბეს შორის ჩვენ, კოლუმბიელი ჟურნალისტები, ასეთი ზუსტი განმარტებით შევძლებთ კი შევეჭიდოთ უკიდეგანო რეპორტაჟს, რომელსაც ჩვენგან ელიან: როგორ მოხდა, რომ პოეტთა იდილიური კოლუმბია გადაგვექცა მსოფლიოს ყველაზე საშიშ ქვეყნად“.

*** *** ***

შემთხვევით არ მოგვიყვანია ჩვენ ამ ნააზრევის სრული თარგმანი: ადვილი მისახვედრია, რომ იგი არა უბრალოდ უმნიშვნელოვანესი, არამედ პროგრამულია. იგი მარკესის შემოქმედების ორი მხარის, ბელეტრისტიკისა და პუბლიცისტიკის ერთ ორგანიზმად გააზრებაში გვეხმარება. დაკვირვებულმა მკითხველმა ადვილად ამოიცნო პუბლიცისტური ჟანრები პროზაულ ნაწარმოებებში, და ეს არც იყო ძნელი, რადგან უკვე სათაურები „ქრონიკა...“ „ამბავი“, „შეტყობინება“, მიუთითებენ იმას, თუ სად იღებს სათავეს მარკესი ბლეტრისტი. „ფაქტი და მოვლენა“ – ჟურნალისტიკის პური არსობისა, ასაზრდოებს მარკესის პროზას. მხატვრული განზოგადება მხოლოდ ფაქტებისა და რეალური პერსონაჟების მეშვეობით ხდება იმგვარად, რომ თეორიული წიაღისვლები არ უბნევენ ტვინს მკითხველს. ყოველივე მხოლოდ არსებული რეალობას ემყარება. სტატიაში ნათლად ჩანს, რომ ჟურნალისტიკა და ბელეტრისტიკა მარკესის შემოქმედებაში განაპირობებენ ერთმანეთს. სტატიაში მაესტრო გაბრიელი თავად ხსნის, თუ როგორ აირეკლა ესა თუ ის პუბლიცისტური ჟანრი მხატვრულ ნაწარმოებებში. მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიმეორებთ, რომ ზღვარი ჟანრებს შორის პირობითია.

ჩვენი მხრივ, თავს უფლებას მივცემთ დავასკვნათ, რომ ჟურნალისტიკით დაიწყო მარკესმა და მისგან თავის დაღწევას იგი არც კი ცდილობს. თავად განსაჯეთ: „ორი ათასზე მეტი წერილი“ – ეს აღიარება კომენტარს არ საჭიროებს.

§ 4. მარკესი ჟურნალისტიკის შესახებ

ჟურნალისტიკაცა და მწერლობაც განსაკუთრებულ შემოქმედებით ნიჭსა და უნარს მოითხოვს. მაგრამ,. იმავდროულად ეს ხელობაცაა, რომელსაც უნდა დაეუფლო ჯერ როგორც შეგირდი, ხოლო შემდგომ კი დაუზოგავი შრომით უნდა დახვეწო იგი, გახადო რაფინირებული. ყოველივე მიღწეულს კი შენარჩუნება სჭირდება, ისევ და ისევ ყოველდღიური დაუღალავი შრომის ხარჯზე. „საზოგადოებრიობის ორი წელი“ ამის ნათელი დასტურია. იგი ხომ დღემდე გრძელდება და ალბათ, მალე „საზოგადოებრიობის მრავალი წელი“ გახდება.

სიტყვაკაზმული მწერლობა და პუბლიცისტიკა – ხელოვნებაც და ხელობაც, რომელიც ვითარდება არა თავისთავად, შემოქმედის ნიჭის გამოვლენის ბრწყინვალე საშუალებაა. განვითარება, რომელიც ძალისხმევას საჭიროებს, შეგირდობიდან იწყება, ყოველ შეგირდს კი

ოსტატი ესაჭიროება. არ არსებობს დიდი შემოქმედება, თუ მას საფუძვლად ხელობა არ უდევს. პირველ ყოველისა, ხელობას უნდა დაეუფლო, ხოლო თუ ვინ როგორ წარმართავს ამ პროცესს და გახდება თუ არა ხელობა ხელოვნება, ეს უკვე ცალკე საკითხია. მაშ, ასე, ახლა სტატიაზე „მსოფლიოში საუკეთესო ხელობა“ (19).

სტატიის დაწერა განაპირობა კოლუმბიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში გადამჭრელად ნათქვამმა განსაზღვრებამ: „ჟურნალისტები არ არიან შემოქმედნი“(19) მარკესისეული სტილისტიკა დაცულია: სტატია იწყება საკვანძო ფრაზით, რომლის უარყოფაზეც არის აგებული მსჯელობა. აქვე ვიტყვით, რომ თავად სტატიის თემაც და დიდი მაესტროს მსჯელობა-შეფასება აქტუალურია არა მარტო სასწავლო პროცესისათვის ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე, არამედ ყურადსაღებია საერთოდ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, მითუმეტეს რომ ის, რასაც სახელმძღვანელოთა აურაცხელი რაოდენობა ვერ იტევს, მარკესმა სულ სამიოდ გვერდში ჩაატია. და ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ ჟურნალისტიკა არ არის ხელოვნება? იქვე, სტატიის მეორე ფრაზაში მარკესი აფიქსირებს თავის პოზიციას: „წერითი ჟურნალისტიკა არის ლიტერატურული ჟანრი“.

მაესტრო თავის ჟურნალისტურ ახალგაზრდობას იხსენებს. იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა პროფესიული სკოლები და ახალგაზრდა ჟურნალისტები რედაქციათა ციებ-ცხელებაში იწრთობოდნენ. „ოცდაოთხსაათიანი ამბულატორიული კათედრები“ უწოდა ამ სიტუაციებს მარკესმა, სადაც კამათის, აზრთა გახიარება-შეჯერების, დულილის პროცესი არასოდეს არ წყდეობდა და სადაც თვითონაც ისწავლა ხელობა და გამოწრთო. ამ ორომტრიალში იყვნენ ისეთებიც, რომელსაც მობეზრებული ჰქონდათ ერთსა და იმავეზე ლაპარაკი „...ისინი, ვისაც თავი ჟურნალისტები ეგონათ, მაგრამ სინამდვილეში არ იყვნენ“(19) იქ, სადაც წყდება სწავლა, წყდება განვითარება, წყდება თითოეული ფრაზის დახვეწა-დამუშავება,

წყდება ლიტერატურაც და პუბლიცისტიკაც. მაესტროს განაჩენი მკაცრი, მაგრამ სამართლიანია.

მარკესი იმდროინდელი გაზეთის სტრუქტურასაც იხსენებს, რომელიც შემდეგი განყოფილებებისაგან შედგებოდა: შეტყობინება, ქრონიკა, რეპორტაჟი და რედაქციის შენიშვნები. ერთ-ერთმა დაკვირვებულმა მკითხველმა შენიშნა კიდეც, რომ ეს დაყოფა ჟანრების სახით აისახა მარკესის ბელეტრისტიკაში და შეკითხვაც კი გაუგზავნა მას განმარტების მისაღებად. ამ უაღრესად საინტერესო შეკითხვას მარკესმა უპასუხა სტატიაში „გასართობი სოფიზმები“, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ. ერთის თქმა კი უკვე ახლავე შეიძლება დანამდვილებით: „მარტოობის ასი წლის“ ფესვები ერთდროულად ბებიასთან და ბაბუასთან გატარებულ შორეულ წლებსა და რედაქციების გაბოლილ ოთახებში უნდა ვეძებოთ. ეჭვგარეშეა, რომ დახვეწილი, უაღრესად ლაკონიური სტილი და ფაქტებისა და ციფრების ხაზგასმული სიზუსტე ჟურნალისტიკიდან იღებს სათავეს. ჟურნალისტიკის ვერტიკალზე კი მარკესს არც ერთი საფეხური არ გამოუტოვებია. აი, რას იხსენებს იგი სტატიაში „მსოფლიოში საუკეთესო ხელობა“: გამოგიტყდებით: 19 წლისამ, სამართლის ფაკულტეტის მაჩანჩალა სტუდენტმა დავიწყე ჩემი ჟურნალისტური კარიერა როგორც სარედაქციო სვეტის რედაქტორმა და ნელ-ნელა, დიდი შრომის ფასად მივუყვებოდი კარიერის საფეხურებს სხვადასხვა განყოფილებებში, სანამ არ მივაღწიე უზადო რეპორტიორის უმაღლეს საფეხურს“ (19).

ჟურნალისტის სიძლიერე მხოლოდ წერის ხელობის ათვისება და დახვეწა როდია. მარკესი იხსენებს: „კითხვა – დამატებითი სამუშაო იყო“ (19) – ანუ ჟურნალისტის ხელობა კულტურასა და განათლებას მოითხოვს. კულტურისა და განათლების მეშვეობით იკვლევდნენ გზას იმდროინდელი ჟურნალისტები, მათ შორის მარკესიც. იგი იხსენებს: „ალბერტო ლიერას კამარგო, რომელიც ყოველთვის ჟურნალისტი იყო და ორჯერ კოლუმბიის პრეზიდენტი,

ბაკალავრიც კი არ გახლდათ“ (19), ანუ ჟურნალისტის ხელობაც და ხელოვნებაც ეჭუმნებოდა პრაქტიკას, თვითგანათლებასა და თვითსრულყოფას. მარკესის ტონი გვაფიქრებინებს, რომ იგი დღესაც ამ პრინციპების გამტარებელია.

ჟურნალისტიკის განვითარების შემდგომი, უკვე „აკადემიური“ ეტაპი და სწავლების მეთოდიკა უკვე ირონიანარევი ტონითაა აღწერილი: ჟურნალისტიკას ახლა „კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობების მეცნიერებანი“ ჰქვია. მიუხედავად სოლიდური და შთამბეჭდავი დასახელებისა, უთვალავ ჟურნალისტურ სკოლათა კურსდამთავრებულები ვერ აკმაყოფილებენ ორ ძირითად პირობას: შემოქმედებასა და პრაქტიკას. აქ ისევ თავის ძირითად აზრს უბრუნდება მაესტრო: ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, არის შემოქმედება, რომელიც პრაქტიკით იხვეწება. ამიტომაც ანიჭებს იგი უპირატესობას უფროსი თაობის ჟურნალისტებს, რედაქციათა გაბოლილი ოთახების გაწამაწიაში გამობრძმედილებს. რაც შეეხება თანამედროვე, ჟურნალისტურ სკოლებს, ისინი ინფორმაციულ ხასიათს ატარებენ და არ აყალიბებენ შემოქმედს. სწორედ ეს არის მარკესის კრიტიკის საგანი.

თანამედროვე სამყარო რომ ახალ ტექნოლოგიათა სამყაროა, ეს უკვე გაცვეთილი ბანალობაა. ჟურნალისტიკაშიც შეაღწია ამ ახალმა ტექნოლოგიებმა, მაგრამ, მარკესის აზრით, საკუთრივ ხელობის განვითარება ბევრად ჩამორჩება „ინსტრუმენტების“ განვითარებას და სამწუხაროდ, „ჟურნალისტებსაც აებნათ გზა მომავლისაკენ გასროლილ ტექნოლოგიათა ლაბირინთში“ (19). ეს კი იმას ნიშნავს, რომ რედაქციათა და ტელევიზიათა გამალებული აღჭურვა-რეკონსტრუქციისას თავად ჟურნალისტთა პროფესიული და ადამიანური, პიროვნული დონე მეორეხარისხოვან საგნად იქცა. ყოველივე აქედან მეტად დრამატული დასკვნა გამოაქვს მაესტრო გაბრიელს: „რედაქციათა დარბაზები არის ასეპტიური ლაბორატორიები მარტოხელა მეზღვაურთათვის, სადაც, როგორც

ჩანს, უფრო ადვილია უერთიერთობა ვარსკვლავურ მოვლენებთან, ვიდრე მკითხველთა გულებთან. დეჰუმანიზაცია უსწრაფესად ვითარდება“(19).

დეჰუმანიზაცია – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეორე მხარე გახდა მაესტროს დიდი გულისტკივილის და კრიტიკის საგანი. თანამედროვე სამყაროს თავბრუდამხვევი რიტმი აღარ ტოვებს ადგილს ადამიანური ურთიერთობებისათვის. ადრინდელი, მარკესისდროინდელი რედაქტორი (იგულისხმება კრებითი სახე), რომელიც ყველა მისი ჟურნალისტის მამა და ნუგეშისმცემელი იყო, თითქმის რობოტად იქცა, რომელიც თავადაც ვეღარ ეწევა ახალ ტექნოლოგიებს, ანუ იმას, რაც წარმოადგენს თანამედროვე მასმედიის სტილსა და ცხოვრების წესს. აქედან გამომდინარე, დგება საკითხი პუბლიცისტური ჟანრების ფორმისა და შინაარსის შესახებ, ანუ მათ არსზე. მარკესისათვის ჟანრები მკაცრად და მკაფიოდ არის დაყოფილი. იგი იზიარებს მიღებულ კლასიფიკაციას. მაგალითად, აი, რას ამბობს იგი რეპორტაჟზე (იგულისხმება საგაზეთო ინფორმაცია): „... ჩვენთვის რეპორტაჟი ყოველთვის ვარსკვლავური ჟანრი იყო. მაგრამ იმავდროულად, იგი ყველაზე მეტ დროს, კელეგას, ფიქრს და წერის საიდუმლოთა ფლობას მოითხოვს. ეს არის ფაქტის დაწვრილებითი და მართალი რეკონსტრუქცია. ანუ: დასრულებული შეტყობინება, გადმოცემული ისე, როგორც სინამდვილეში იყო, ისათა მკითხველმა იგრძნოს, რომ მოვლენის ადგილას იმყოფება“.

რა თქმა უნდა, ინფორმაციულობა უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ, „... მიუხედავად ამისა, რეზულტატები არცთუ საუკეთესოა, რადგან, როგორც არასდროს ეს ხელობა გახდა საშიში“(19). ხოლო „საშიშში“ მაესტრო გაბრიელი შემდეგს გულისხმობს: „ცრუ თუ ნამდვილ განცხადებებში ბრჭყალების აღვირახსნილი გამოყენება, შანსს აძლევს ნებსით თუ უნებლიე შეცდომებს, ბოროტ მანიპულაციებსა და მომწამველელ დამახინჯებებს, რაც მოცემული ინფორმაციას სასიკვდილო იარაღს უტოლებს. მარადიული ნდობის

მქონე წყაროთა, როგორც წესი, კარგად ინფორმირებულ ადამიანთა თუ მაღალჩინოსანთა ციტირება, რომელთაც ვერავინ ვერასოდეს ვერ ხედავს, არის ყველანაირი დაუსჯელი ზიანის მატარებელი. მაგრამ, დამნაშავეს ზურგს უმაგრებს უფლება არ დაასახელოს წყარო ნებართვის გარეშე, თუ თავად ჟურნალისტი არ არის მისთვის (წყაროსთვის–ე.კ.) მარტივი იარაღი, რათა გააერცელოს ინფორმაცია ისე, როგორც თავად სურს და აწყობს“ (19). ასეთია მაესტროს აზრით, მოჭარბებული ინფორმაციისა და ინფორმატორებისა და „დამკვირვებლების“ მეორე მხარე. ინფორმაცია შეიძლება დეზინფორმაციად იქცეს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხდება კიდეეც და მოსაზრება, რომ თანამედროვე ეპოქა ინფორმაციული ომების ეპოქაა, ცარიელ ადგილას არ წარმოშობილა. ზემოთმოყვანილ ციტატაში დაუფარავად იკითხება მწარე ირონია. სწორედ ასეთია მარკესის დამოკიდებულება თანამედროვე ინფორმაციულობისადმი. მსგავსი ტიპის ჟურნალისტი მარკესისათვის „ცუდი ჟურნალისტია“, ხოლო ჟურნალისტიკაში მიმდინარე პროცესებს იგი „დრამას“ უწოდებს და თავისი აზრისა და შეხედულებების განვითარებას ბრწყინვალე ფრაზით განაგრძობს: „ერისკაც მოგეჩვენოთ ანეკდოტური, მაგრამ ვფიქრობ, რომ მთელ ამ დრამაში არის კიდეე ერთი დამნაშავე: ჩამწერი“(19). მართლაც რომ ირონიის დიდოსტატია მაესტრო გაბრიელი: მან უკვე მიაღწია იმ მწვერვალს, როდესაც ყოველი მისი სიტყვა ბაჯაღლო ოქროს ფასია. მან ეს თავადაც მშვენივრად იცის, მაგრამ თავმდაბლობაც გენიოსთა უპირატესობაა. ამ შემთხვევაშიც ძველ დროს იხსენებს იგი, როდესაც რეპორტიორის საქმე კეთდებოდა , და კეთდებოდა კარგად, სამი ნაცადი და გამოცდილი საშუალებით: ბლოკნოტით, პროფესიული ეთიკითა და სმენით, რათა კარგად გაეგონათ ის, რასაც ეუბნებოდნენ. რა მოიტანა ჩამწერმა? – „ჩამწერს ესმის, მაგრამ ის არ ისმენს; თუთიყუშივით იმეორებს, მაგრამ ვერ აზროვნებს; იგი ერთგულია, მაგრამ არა აქვს გული“(19). ტექნიკური საშუალებების დანერგვამ მეორე პლანზე გადაწია ჟურნალისტის,

როგორც შემოქმედისა და გარკვეული ეთიკის მატარებლის სახე. თავად ჩანაწერების გაშიფრვამაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა რედაქტორებს: „... ერთმანეთში ერევათ ბგერები, კისერს იმტვრევენ სემანტიკაზე, იძირებიან ორთოგრაფიაში და სინტაქსისაგან მიღებული ინფარქტით იხოცებიან“(19). მართლაც რომ, ფანტასმაგორია ტრიალებს რედაქციებში, რაც სამართლიან გულისტკივილს იწვევს. ირონიაც ხომ ამ გულისტკივილის შედეგია. მარკესი, როგორც ძველი ყაიდის „მომსმენი“ და მოაზროვნე ჟურნალისტი თვლის, რომ ურიგო არ იქნებოდა უბის წიგნაკების პრაქტიკისაკენ დაბრუნება. ამ უბის წიგნაკებში ხომ ჟურნალისტის პიროვნება, ინტელექტი და „მოსმენილი“ აისახება. მსგავსი უბის წიგნაკები ხომ მწერლებსაც აქვთ. უბის წიგნაკის არსებობა აკავშირებს მწერალსა და პუბლიცისტს. და ისეთე, როგორც ყოველი ლიტერატურული ქმნილება, უპირველეს ყოვლისა, მწერლის პიროვნებას ასახავს, ზუსტად ასევე პუბლიცისტურმა წერილმა თუ ნებისმიერმა სხვა ჟურნალისტური ჟანრის ნაწარმოებმა თავად ჟურნალისტის პიროვნება უნდა წარმოაჩინოს. ანუ აქ კვლავ ამოსავალ აზრს უბრუნდება მაესტრო: ჟურნალისტიკა ისეთივე ძველი და შემოქმედებითი სფეროა როგორც ლიტერატურა, და მთავარი ფიგურა ჟურნალისტია. თავად მარკესის მოღვაწეობა ამ თეზის ბრწყინვალე დასტურია.

ჟურნალისტიკა უნდა გამოსწორდეს: მან სული და შთაგონება უნდა დაიბრუნოს. სხვაგვარი ჟურნალისტიკა მაესტრო გაბრიელს ვერ წარმოუდგენია. ამისთვის კი, მისი აზრით, უნდა შეიცვალოს სწავლების სტილისტიკა: „საბოლოო მიზანი საწყისი განათლების სისტემისკენ დაბრუნება უნდა იყოს, სადაც პრაქტიკული სახელოსნოები პატარა ჯგუფებად გაერთიანებდიან, ისტორიული გამოცდილების კრიტიკული გათვალისწინებით და საჯარო სამსახურის დანიშნულებით“(19). ჟურნალისტური სული შეგირდებმა რედაქციათა მეგობრულ თავყრილობებზე უნდა შეიგრძნონ. ანუ, პრაქტიკულ გამოცდილებას, მეგობრებთან გარჩევა-კამათის პროცესს,

პიროვნების ჩამოყალიბების ფაქტორს ანიჭებს უპირატესობას მაესტრო.

მსგავსი ექსპერიმენტული სახელოსნოები ჩამოაყალიბა კიდეც მარკესმა თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად მოელი ლათინური ამერიკის მასშტაბით. ამ სახელოსნოთა გაერთიანებას ჰქვია „გაერთიანება ახალი იბეროამერიკული ჟურნალისტიკისათვის“. თითოეული ჯგუფი თემატურია და მას სათავეში უდგას გამოცდილი ვეტერანი ჟურნალისტი. სახელოსნოები პროფესიონალიზმის ამაღლებას ისახავენ მიზნად. იქ არ არის არც გამოცდები და არც ნიშნები იწერება. არ გაიცემა დიპლომები, რადგამ მაესტროს აზრით, „თავად ცხოვრება იტყვის ვინ ვარგა და ვინ არა“ (19).

„თავად ცხოვრება“ – კელავ ეს სიტყვათა შეთანხმება. ყოველიევს „თავად ცხოვრებას“ ანდობს მაესტრო და მისგან იკვებება დღენიადაგ. სწორედ „თავად ცხოვრების“ გაშიფრვას ემსახურება იგი. „თავად ცხოვრების“ გაშიფრვას ემსახურება იგი. „თავად ცხოვრებაში“ უნდა ვეძიოთ ყოველთვის გასაღები და მაშინაც აღარც „მაგიური რეალიზმი“ მოგვეჩვენება მაგიურად.

და მაინც, ჟურნალისტიკა მაგიური სამყაროა. აი, როგორ ხედავს მარკესი თავის დანიშნულებას ამ სფეროში და რას ასწავლის თავის შეგირდებს: „თავად მე არაერთხელ მაცდუნა ბედმა დამერწმუნებინა შეგირდები, რომ მაგისტრალურ რეპორტაჟს, პოეზიის გამჭვირვალე ჩანასახებით, შეუძლია გააკეთილშობილოს პრესა“(19). ორი გარემოებითაა ეს ფრაზა მნიშვნელოვანი: ჟურნალისტიკა არა უბრალოდ ლიტერატურა, არამედ მისი უწმინდესი გამოვლინება – პოეზიაა: ნამდვილმა, პროფესიონალმა ჟურნალისტმა უნდა შეძლოს ყოველდღიური, ხშირად ბანალური მოვლენაც კი პოეზიის რანგში აიყვანოს და მოამზადოს „მაგისტრალური რეპორტაჟი“, რომელიც შეცვლის და გააკეთილშობილებს სამყაროს.

მარკესის მიერ დაარსებული სახელოსნოებიც „ხელოსნის“ სულიერ-ზნეობრივ დახვეწაზეა მიმართული. შეგირდთა ენთუზიაზმი უკვე გამამხნევებელი ფაქტორია, რადგან იგი საფუძველია ნონკონფორმიზმისა და დირექტივათა მსხვრევისა, რაშიც რედაქციებსაც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. „უკვე ის ფაქტი, რომ ოციოდ ჟურნალისტი სხვადასხვა ქვეყნიდან შეიკრიბა, რათა ხუთი დღის განმავლობაში ისაუბრონ ხელობაზე, უკვე მიღწევაა მათთვისაც და ჟურნალისტიკისთვისაც“(19)–თქვის მარკესი გაბრიელი, რადგან თავის ამ მცდელობით იგი არაფერს ახალს არ იგონებს, მხოლოდ ცდილობს ხელახლა შეგვახსენოს ხელობის შესწავლის ძველი მეთოდი. ანუ, მიუხედავად მზარდი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-გაბატონებისა, ხელობის უპირატესობა სულიერებაში, პიროვნებასა და ინტელექტშია. აქედან გამომდინარე, სტატიის დასასრულს მარკესი გვთავაზობს ჟურნალისტიკის არსის მეტად პოეტურ, მაგრამ ამის გამო არანაკლებ მნიშვნელოვან განსაზღვრებას: „ჟურნალისტიკა ეს არის დაუოკებელი ენება, რომლის დაკმაყოფილება და ჰუმანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მისი ხელჩართული შეტაკებით რეალობასთან“(19) – ალბათ, მომავალში ეს ფრაზა სამართლიანად და დამსახურებულად ჩაიწერება ჟურნალისტიკის ისტორიაში ოქროს ასოებით.

რეალობასთან შეტაკების ჟინი, დამარცხება ან გამარჯვება, უკვე ინფორმაციის სახით, და იმავ წამს კვლავ ჟინით ანთება – აი, ასეთი უნდა იყოს ჟურნალისტი მოწოდებით, უცნაურად ხარბი პროფესიის წარმომადგენელი. ზემოთ აღნიშნული რეალობის გათავისებისაკენ მოუწოდებს დიდი მაესტრო თავის შეგირდებს: იმათაც, ვისაც ამ ხელობის დაუფლება სურთ და სტაჟიან ჟურნალისტებსაც.

განსაკუთრებული ადგილი მარკესის „შემოქმედებით ლაბორატორიაში“ უკავია იმ წერილებს, სადაც მაესტრო სხვა მწერალთა შემოქმედებას ეხება. იგი გამოთქვამს აზრს ამა თუ იმ ნაწარმოებზე. მაგრამ ეს არ იქნებოდა საინტერესო წერილები, მათში რომ მხოლოდ კრიტიკოსის პოზიცია ყოფილიყო დაფიქსირებული. ეს წერილები ისეთივე მრავალწახნაგოვანია, როგორც მარკესის ნებისმიერი წინადადება, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება, ან ესა თუ ის ნაწარმოები მარკესისათვის ხდება საფუძველი, ამოსავალი წერტილი უფრო ფართო მსჯელობა-განზოგადებისათვის და საკაცობრიო პრობლემებთან ზიარებისათვის. ამ თემის გასაშუქებლად გამოვყოფდით ორ წერილს: ა. დიუმას „გრაფ მონტე-კრისტოსა“(20) და ე. ჰემინგუეის შესახებ.

ალბათ, სიყმაწვილეში ყოველი ჩვენგანის საყვარელი რომანი იყო ა. დიუმას „გრაფ მონტე-კრისტო“. ბევრს ეს სიყვარული სამარის კარამდე გაჰყვა. და მაინც: ჩვენს შემეცნებაში ეს რომანი თითქმის ზღაპარია. სულ სხვა რამ არის იგი მარკესისათვის, რომელიც „გრაფ მონტე-კრისტოს“ უაღრესად სერიოზულად განიხილავს და გაიაზრებს მისთვის ჩვეული ლათინო-ამერიკული აღქმით. აი, რას ამბობს პუბლიცისტი (20): ფრანგ ა. დიუმას „გრაფი მონტე-კრისტო“ არის მშვენიერი გამოცანა ყველაზე მგზნებარე მკითხველისათვის. როგორ შეძლო ავტორმა მიეღწია იმისათვის, რომ ედმონდ დანტესმა, ერთმა უვიცმა და ღარიბმა მეზღვაურმა, შეძლო გაქცევა შეუვალი ციხიდან და თავისი დროის ყველაზე მდიდარი და განათლებული ადამიანი გახდა“(20). საკვანძო ფრაზა და გასაღები მარკესის მსოფლმხედველობისა: „დაუჯერებელი, რომელიც უნდა დაიჯერო, იმიტომ რომ სწორედ ეს არის რეალობა. ალბათ, ამიტომაც ანიჭებს მაესტრო გაბრიელი უპირატესობას სწორედ ამ ნაწარმოებს. და იბადება აზრი, რომ „დაუჯერებლის“ რეალობა არა მხოლოდ

ლათინური ამერიკის რეალობაა, არამედ ის უნივერსალურია და ვინც ამას შეიცნობს, მან შეიძლება გენიალური ნაწარმოები შექმნას.

„დაუჯერებლის“ რეალობა და უნივერსალიზმი მარკესისათვის არსებითია და ისინი ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც წარმართავენ პუბლიცისტის მსჯელობას.

დასაწყისში დასმულ კითხვას მარკესი ასე ხსნის: „დიუმამ შეცვალა ერთი ადამიანი მეორეთი... ერთადერთი, რაც მას (დანტესს – ე.კ.) დარჩა თავდაპირველი სახიდან, არის კარგი მოცურავის სხეული, ხოლო დანარჩენი არის ბრძენი ფარია მის შიგნით“. იმ დროისათვის, როცა მცველებმა აღმოაჩინეს გაქცევის ფაქტი, „უკვე არსებობდა ამქვეყნად – კაცობრიობის განსაცვიფრებლად და დასამახსოვრებლად – მესამე უძლეველი პერსონაჟი: გრაფი მონტე-კრისტო, მფლობელი უნივერსალური სიბრძნისა, უთვალავი ქონებისა და შურისძიების წყურვილისა, რომელსაც ვერასოდეს დაიოკებდა. მაშინაც კი, როდესაც უმოწყალოდ დასჯიდა თავის მტრებს“(20). სავსებით ცხადია, რომ მარკესისათვის (და, ალბათ, უკვე ბევრი ჩვენგანისათვის) მთავარი გმირი არა ედმონდ დანტესი, არამედ აბატი ფარიაა – განსახიერება „უნივერსალური სიბრძნისა“ – იმ სიბრძნისა, რომლის მატარებელებიც, თავად მარკესთან ერთად, მისი პერსონაჟებიც არიან და პერსონაჟები არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებებისა, რაშიც მოგვიანებით, შემდეგ თავში დავრწმუნდებით.

*** *** ***

ასევე უნივერსალიზმის იდეაზეა აგებული წერილი, რომელიც ჰემინგუეის პიროვნებას, მის პერსონაჟებსა და შემოქმედებას ეხება. წერილის სათაური: „ის კაცი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა“(21). მარკესის უჩვეულო, პარადოქსულ სათაურებს, ალბათ, უკვე შევეჩვიეთ: ჰემინგუეის თვითმკვლელობა ცნობილი ფაქტია, მაშ რატომ არის მარკესისათვის ეს თვითმკვლელობა „ბუნებრივი“? ამის ახსნას მარკესი უბრწყინვალესად და ლოგიკურად ახერხებს.

პუბლიცისტის მსჯელობა, არგუმენტთა დამაჯერებლობა და დასკვნები შლის „პარადოქსს“ და საკმაოდ გასაგებ და მისაღებ რეალობად აქცევს მას. მაშ, მივყვეთ სტატიას „ის კაცი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა“.

ნობელის პრემიის მიღებიდან ერთი თვის თავზე გაბრიელ გარსია მარკესი წერს მოგონებებს მეხიკოში პირველი ჩასვლის შესახებ: 1961 წლის 2 ივლისი. ეს დღე მტკივნეული აღმოჩნდა. პირველი, რაც მას მეგობრებმა ტელეფონით შეატყობინეს, ჰემინგუეის სიკვდილი იყო. მარკესისათვის ეს ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა: ეპოქისა ჰემინგუეის გარეშე. მან უმალ გამოაქვეყნა წერილი ჰემინგუეის ცხოვრების, შემოქმედებისა და სიკვდილის შესახებ. ოფიციალური ვერსიით, რომელიც დიდი შემოქმედის ქვრივმა, მერი უოლშმა გაავრცელა, ეს უბედური შემთხვევა იყო. გარსია მარკესი აღმოჩნდა პირველი, ვინც თვითმკვლელობა ივარაუდა და გაანალიზა კიდეც ეს ფაქტი წმინდა ადამიანური, ტექნიკური თუ შემოქმედებითი ფაქტორებისა და არგუმენტების გათვალისწინებით.

თვითმკვლელობის ლიტერატურულ კონტრარგუმენტებზე მარკესი წერს: „ჰემინგუეი თითქოსდა არ განეკუთვნებოდა ადამიანთა იმ რასას, რომლებიც თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. მის რომანებსა და მოთხრობებში თვითმკვლელობა სიმხდალეა და მისი პერსონაჟები გმირულები მხოლოდ სიმამაცისა და ფიზიკური ამტანობის გამოვლენისას არიან. და, მიუხედავად ამისა, ჰემინგუეის სიკვდილის გამოცანა სრულიად არის დამოკიდებული გარემოებებზე, რადგანაც, ამჯერად საქმე სწორად განვითარდა: მწერალი მოკვდა ისე, როგორც მისი ყველაზე რიგითი პერსონაჟი და, მნიშვნელოვანწილად, მოუკვდა თავის პერსონაჟებს“(21). ეს ძალზე საყურადღებო ფრაზაა: ცხოვრება თავადაა შემოქმედება და ჩვენ, სუყველანი ამ შემოქმედების პერსონაჟები ვართ. მწერალმა კი ყოველივე ეს უშეცდომოდ უნდა ასახოს. მარკესისათვის ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა და იგი სხვასაც ამ ჭეშმარიტების

სისწორეზე აფასებს: ყოველმა შემოქმედმა თავად უნდა განელოს საკუთარი შემოქმედება, მასში უნდა იცხოვროს, ეს უნდა გახდეს მისთვის ამოსავალი წერტილი, მხოლოდ მაშინ იქნება ის დიდი. ჰემინგუეიმ ეს შეძლო. აი, როგორია მარკესისეული შეფასება მისი წინამორბედი ნობელიანტისა: „სინამდვილეში, ჰემინგუეი იყო გაუმაძღარი მოწმე არა იმდენად ადამიანური ბუნებისა, რამდენადაც ინდივიდის ქმედებისა. მისი გმირი წარმოიშობოდა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ნებისმერ სიტუაციასა და ნებისმიერ სოციალურ ფენაში, სადაც საჭირო იქნებოდა გააფთრებული ბრძოლა არა გადარჩენისათვის, არამედ გამარჯვებისათვის. ხოლო შემდგომ კი, ეს გამარჯვება ფიზიკური დაღლილობისა და მორალური გაურკვეველობის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა“(21). მივაქციოთ ყურადღება სიტყვებს: „მისი გმირი წარმოიშობოდა მსოფლიოს ნებისმიერ სოციალურ ფენაში“ – სწორედ ამაში ხედავს მარკესი ჰემინგუეის გმირების მნიშვნელობას, ანუ მათ უნივერსალიზმში. ასევე იყო ა. დიუმას „გრაფი მონტე-კრისტოს“ გმირების შემთხვევაშიც: აბატი ფარია უნივერსალური გმირია და ამრიგად, იგი გენიალური და ღირებულია. ჰემინგუეიმ ამას „ადამიანთა მამოძრავებელი ძალისა და საკუთარი საქმის (მწერლობის – ე.კ.) საიდუმლოთა ცოდნით“ (21) მიაღწია. თავად ცხოვრებამ ასწავლა ჰემინგუეის მწერლობა, ისევე როგორც მარკესს. მარკესის მთელი შემოქმედება ხომ მის მიერვე ნანახი, გაგონილი (თუმცა იგი გაუგონარია) და განცდილია. თავად ცხოვრებაა ამ ორი ბუმბერაზი მწერლის განზომილება და მათი გამაერთიანებელიც. და, რა თქმა უნდა, ისინი „იმსახურებენ მეტს, ვიდრე ადგილს საერთაშორისო დიდებაში“.

§ 6. შემოქმედებითი სამზარეულო.

როდესაც ჩვენ მიმოვიხილავთ მარკესის შემოქმედებით ლაბორატორიას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ წერილს „რომანი რომანს მიღმა“ (22), რომელიც დაიწერა მეხიკოში ერთი საგანგებო მოვლენის გამო. 2001 წლის გაზაფხულზე ბარსელონის აუქციონზე

გაიტანეს გასაყიდად ნახევარ მილიონ დოლარზე მეტად შეფასებული „მარტოობის ასი წლის“ ხელნაწერი. „რომანი რომანს მიღმა“ მოგონებების იერს უფრო ატარებს, ვიდრე პუბლიცისტური წერილისას. მასში მარკესი ჩვეული ირონიით და თბილი იუმორით აღწერს 1966 წელს, როდესაც იქმნებოდა „მარტოობის ასი წელი“ – მოგვიანებით საუკუნის ბიბლიად შერაცხული.

წერილში მარკესი მოგვითხრობს იმ რთულ პირობებზე, რომლებშიც მას უხდებოდა მუშაობა. დაწვრილებით არის აღწერილი გარემო, ადამიანური ურთიერთობები, უთვალავი მეგობარი „გაპერსონაჟებულია“ მათთვის უაღრესად დამახასიათებელი დეტალების მეშვეობით. ყოველი ადამიანი, თითოეული პიროვნება, სახლის მეპატრონეც კი, რომელსაც მარკესის ოჯახი სისტემატურად უგვიანებდა ქირას, ძვირფასი და ღირებულია მწერლისათვის, „რადგანაც ეს ის ხალხია, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა 1966 წლის ციებ-ცხელებაში. სწორედ ისინი ქმნიდნენ, უპირველეს ყოვლისა, „მარტოობის ასი წლის“ ისტორიას“.

წერილს „რომანი რომანს მიღმა“, ერთი შეხედვით, ძალზე მაცდური შინაარსი აქვს: იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი პირდაპირ მწერლის „სამზარეულოში“ გვახედებს. მაგრამ ეს ასე არ არის. სინამდვილეში მარკესი სათუთად ინახავს თავის საიდუმლოებებს, ზოგ შემთხვევაში ანადგურებს კიდეც მათ. აი რას იხსენებს და რას ამბობს მარკესი „მარტოობის ასი წლის“ ხელნაწერის გამო: „როდესაც 1967 წლის ივნისში მივიღეთ დასტამბული წიგნის პირველი ეგზემპლიარი, მე და მერსედესმა (ცოლი–ე.კ.) დავხიეთ დაცხრილული ორიგინალი, რომელიც პერამ (მბეჭდავი – ე.კ.) გამოიყენა ასლების გასაკეთებლად... ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილა, არც გულუბრყვილო და არც მოკრძალებული. ის ეგზემპლიარი ჩვენ დავხიეთ, რათა არავის შეძლებოდა ჩემი საიდუმლო სახელოსნოს ტრიუკების აღმოჩენა...“(22) მაგრამ ეს იყო მაშინ, 1967 წლის ივნისში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაესტრომაც დაიწყო ნელ-ნელა,

ლაბორატორიას გვაცნობს. სტატიათა ეს ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვანი, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამ სტატიების ფასეულობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: თავისი მრავალწახნაგა შემოქმედების გასაღებს თავად ავტორი გვაძლევს, იგი ხსნის საკუთარი პოეტიკისა და მსოფლმხედველობის საიდუმლოებებს, რომლებიც ლათინური ამერიკის ისტორიასა და ყოფაში იღებს სათავეს. ამ ფაქტორის ბოლომდე შესწავლა, გაშიფრვა და გათავისება ჯერ არ დასრულებულა.

თავად ლათინური ამერიკა, როგორც გამორჩეული და უნიკალური სულიერი, ფილოსოფიური და, გნებავთ, მორალურ-ეთიკური ფენომენი განაპირობებს ყოველივეს, რაც ამ არელაში ხდება და თავად მარკესიც ამ სრულიად განსხვავებული სამყაროს შვილია.

განსაკუთრებული ინტერესის საგანია სტატიები, რომლებიც უშუალოდ ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკას ეხება. სტატიების განხილვისას ჩვენ დავრწმუნდით, რომ მაესტრო გაბრიელ გარსია მარკესი, როგორც შემოქმედი, ჟურნალისტიკიდან მოვიდა, სწორედ ჟურნალისტიკაში გაიარა მან შეგირდობა და თანამედროვეობის უდიდეს და გამორჩეულ ბელეტრისტად და პუბლიცისტად ჩამოყალიბდა. თავად მაესტრო, ხელოვნების ამ ორ სფეროს არ აცალკევებს და სიამაყით ამბობს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტია. ჩვენ აგრეთვე შევეხეთ ისეთ წერილებს, რომლებშიც გარსია მარკესი სხვა მწერალთა ნაწარმოებებსა თუ შემოქმედებას აანალიზებს. ჩვენთვის ეს წერილები ღირებულია იმდენად, რამდენადაც ისინი ზუსტად მიესადაგებიან მარკესის მსოფლმხედველობასა და პოეტიკას.

მოცემულ დანართში, გახალისების მიზნით, გვინდა შემოგთავაზოთ სრული თარგმანი სტატია-მოგონებისა „რომანი რომანს მიღმა“, რომელსაც ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ, რადგან

იმის ანალიზი, თუ როგორ იქმნებოდა „მარტოობის ასი წელი“ არცთუ ისე საინტერესოა. თავად მაესტროს მოგონებანი უფრო ღირებულია.

I თავის დანართი

ბაბრიელ გარსია მარკესი

„რომანი რომანს მიღმა“

1966 წლის აგვისტოს დასაწყისში მე და მერსედესი (მარკესის ცოლი) წავედით მეხიკოს სან-ანხელის საფოსტო განყოფილებაში, რათა გაგვეგზავნა ბუენოს-აირესში „მარტოობის ასი წლის“ ხელნაწერი. ეს იყო 590 გვერდიანი პაკეტი, დაბეჭდილი ჩვეულებრივ ქაღალდზე ინტერვალით 2. ადრესატი, გამომცემლობა „სუდამერიკანას“ ლიტერატურული დირექტორი ფრანსისკო პორრუა იყო. ფოსტის მომსახურემ პაკეტი სასწორზე დადო, გუნებაში გამოთვალა და თქვა:

ოთხმოცდაორი პესო.

მერსედესმა გადაითვალა ბანკნოტები და ხურდა, რაც ჩანთაში ეყარა, და შემაჯახა რეალობას:

მხოლოდ 53 გვაქვს.

წელიწადზე მეტი ხნის გაჭირვების შემდეგ იმდენად ვიყავით შეჩვეული მსგავს ყოველდღიურ დაბრკოლებებს, რომ პრობლემის გადაჭრაზე დიდხანს არ გვიფიქრია. გავხსენით პაკეტი, გავყავით ის ორ თანაბარ ნაწილად და ბუენოს-აირესში მხოლოდ ნახევარი გავაგზავნეთ და არც კი გვიფიქრია, როგორ უნდა გვეშოვა ფული დანარჩენის გასაგზავნად. პარასკევი დღის საღამოს ექვსი საათი იქნებოდა. ორშაბათამდე ფოსტას აღარ გააღებინებდნენ. ასე რომ, მთელი კვირის ბოლო გვქონდა მოსაფიქრებლად.

ცოტაღა იყვნენ ისეთი მეგობრები, რომელთაც რამეს გამორჩებოდი. ჩვენს საუკეთესო ნივთებს კი დიდი ხანია, რაც უმწიკვლო ძილით ეძინათ ლომბარდში. კიდევ გვქონდა პორტატიული საბეჭდი მანქანა, რომელზედაც წელიწადზე ცოტა მეტ ხანში, ყოველდღიური 6 საათიანი მუშაობით დავწერე რომანი. მაგრამ მისი დაგირავება არ შეგეძლო, პურის ფულად გვჭირდებოდა. სახლის

საფუძვლიანი მოქექვის შემდეგ კიდევ ორი ნივთი ვიპოვეთ, რომელთა დაგირავებაც ძლივსღა შეიძლებოდა: ჩემი კაბინეტის გამათბობელი, რომელიც, ალბათ, უკვე ძალიან იაფი ღირდა და მიქსერი, რომელიც სოლედად მენდოსამ კარაკასში გვაჩუქა, როდესაც დავქორწინდით. აგრეთვე გექონდა საქორწილო ბეჭდები, რომელბიც მხოლოდ ქორწილზე გვეკეთა. მათი დაგირავება არასოდეს გაგვიბედია: ავისმომასწავებლად ითვლებოდა. ამჯერად, მერსედესმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, წაელო ისინი როგორც საგანგებო რეზერვი.

ორშაბათს, დილიდანვე, წავედით უახლოეს ლომბარდში. იქ ყველა გვიცნობდა. ბეჭდები არ დაიტოვეს და საჭიროზე ოდნავ მეტი თანხაც გვასესხეს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფოსტაში რომანის დარჩენილ ნაწილს ვფუთავდით, დავინახეთ, რომ ჩვენ ის უკუღმა გაგვიგზავნია: ბოლო ნაწილი დასაწყისზე ადრე. მერსედესს ეს არ მოეჩვენა სასაცილოდ, რადგანაც არასოდეს არ სჯეროდა ბედის.

– ახლა ისღა გვაკლია, – თქვა – რომ რომანი აღმოჩნდეს ცუდი.

ეს ფრაზა იყო სრულყოფილი კულმინაცია იმ 18 თვისა, ერთად რომ ვიბრძოდით იმ წიგნის დასამთავრებლად, რომელსაც მთელი ჩემი იმედები ემყარებოდა. მანმადე, ექვს წელიწადში გამოვაქვეყნე ოთხი წიგნი, რომლებშიც არაფერზე ოდნავ მეტი გადამიხადეს. გამონაკლისი იყო „ცუდი დრო“, რომელმაც „ესსო კოლომბიანა“-ს კონკურსში 3 ათასი დოლარის ოდენობის პრემია მოიპოვა. ეს მეყო, რომ ჩემი მეორე ვაჟის, გონსალოს დაბადების ხარჯები დამეფარა და მეყიდა ჩვენი პირველი ავტომანქანა.

მაშინ, სან-ანხელ ინის გორაზე, საშუალო კლასის სახლში ვცხოვრობდით, რომელიც ალკალდიის (მერია) უფროსი ოფიცრის, ლიცენციატ ლუის კუდურიეს საკუთრება იყო. იგი, ყველაფერთან ერთად, პირადად იყო დაკავებული სახლის გაქირავებით.

სკოლაში წასვლამდე 6 წლის როდრიგოსა და 3 წლის გონსალოს იქ მშვენიერი ბაღი ჰქონდათ სათამაშოდ. მე კი ჟურნალების „სუსესოს“ და „ლა ფამილიას“ გენერალური კოორდინატორი ვიყავი, სადაც, კარგი ანაზღაურების ფასად, შევასრულე პირობა ორი წლის განმავლობაში არ დამეწერა არც ერთი ასო. კარლოს ფუენტესმა (თანამედროვე მექსიკური ლიტერატურის კლასიკოსი) და მე ხუან რულფოს (მექსიკელი მწერალი, მისი ნოველა „პედრო პარამო“ ითვლება ახალი ლათინოამერიკული რომანის წინამორბედად –ე.კ.) ორიგინალური ისტორია „ოქროს მამლის“ მიხედვით დავწერეთ კინოსცენარი, რომელიც რობერტო გალვადონმა გადაიღო. აგრეთვე კარლოს ფუენტესთან ერთად ვიმუშავე „პედრო პარამოს“ კინოვერსიაზე რეჟისორ კარლოს ველოსათვის. დავწერე სცენარი არტურო რიპსტეინის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის „სიკვდილის ჟამი“ და „ზეციური ნიშანი“ ლუის ალკორისასთან ერთად. იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, რომელიც მრჩებოდა, სხვადასხვა, შემთხვევით რაღაცეებს ვაკეთებდი – ვადგენდი სარეკლამო ტექსტებს, კომერციულ რეკლამას ტელევიზიისათვის, ვწერდი სიტყვებს სიმღერებისათვის – რაც უდარდელად მაცხოვრებდა, მაგრამ არ მაძლევდა საშუალებას მეწერა რომანები და მოთხრობები.

და მაინც, უკვე დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა იდეა დამეწერა ზღვარსგასული რომანი, განსხვავებული არა მხოლოდ იმისგან, რაც მანმადე დამეწერა, არამედ განსხვავებული იმისგანაც, რაც წამეკითხა. ეს რაღაც უმიზეზო ტერორს წააგავდა. ერთხელაც, 1965 წლის დასაწყისში მერსედესთან და ჩემს ორ ბიჭთან ერთად აკაპულკოში მივდიოდი უქმეების გასატარებლად, როცა ვიგრძენი, რომ სულის კატაკლიზმით აღვენთე, ისეთი ძლიერითა და მწველით, რომ ძლივს ავუარე გვერდი ძროხას, რომელიც შარას კვეთდა. როდრიგოს ბედნიერების ყვირილი აღმოხდა:

–როდესაც გავიზრდები, მეც მოვკლავ ძროხებს გზაზე.

პლიაჟზე ერთი წუთითაც ვერ მოვისვენე. სამშაბათს, როდესაც მეხიკოში დავბრუნდით, მიეუჯექი საბეჭდ მანქანას, რათა დამეწერა პირველი ფრაზა, რომელსაც ვეღარ ვიტევდი ჩემში: „მრავალი წლის შემდეგ, დამხვრეტი რაზმის წიმ მდგარი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია გაიხსენებდა იმ შორეულ საღამოს, როდესაც მამამ იგი ყინულის სანახავად წაიყვანა“ (...„მარტოობის ასი წლის“ ფრაზა) ამის შემდეგ, თითქოს რაღაც გამანადგურებელი ძილის ბურუსში მყოფს, არც ერთი დღე არ შემისვენია, ვიდრე ბოლო სტრიქონამდე არ ჩავედი, როდესაც მაკონდო ჯანდაბის იქით გადაიჩეხა.

პირველ თვეებში ასე თუ ისე ვინარჩუნებდი კარგ შემოსავალს. მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლები დრო მრჩებოდა იმისათვის, რომ დამეწერა იმდენი, რამდენიც მინდოდა. დავიწყე ღამ-ღამობით მუშაობა. ეწერდი გვიანობამდე, რათა შემესრულებინა მიცემული დაპირებები. ჩემი ცხოვრება აუტანელი გახდა, თანდათანობით ყველაფერი მივატოვე. გაუსაძლისმა რეალობამ მაიძულა მიკიბ-მოკიბვის გარეშე ამერჩია: წერა ან სიკვდილი.

მე არ დაველჭვებულვარ, იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც სიქა გავაძრეთ მეგობრებს, მერსედესმა, ისე როგორც არასდროს, საკუთარ თავზე აიღო ყველაფერი. მან მიაღწია უიმედო კრედიტებს უბნის მოვაჭრესთან და კუთხის ყასაბთან. ჯერ კიდევ პირველი გაჭირვების დროს ჩვენ გავუძელით ცდუნებას და არ ავიღეთ პროცენტიანი ვალი. მაგრამ მოგვიწია გულების მოთოკვა და მივიტანეთ პირველი იერიში ლომბარდზე. წერილმანებიდან მიღებული მოჩვენებითი შვების შემდეგ, მერსედესის სამკაულების ჯერი დადგა. სამკაულებისა, რომლებიც მან წლების წინ თავისი ოჯახისაგან მიიღო. განყოფილების ექსპერტმა ისინი ქირურგის სკურპულიოზულობით გასინჯა, აწონა, ჯადოქრის თვალით შეამოწმა საყურის ბრილიანტები, ყელსაბამის ზურმუხტები, ბეჭდის ლალები და, ახალგაზრდა, გრძელ მოსასხამში გამოწყობილი ტორეროს მოძრაობით დაგვიბრუნა ისინი:

– ეს ხომ შუშებია!

არც იმ ხასიათზე ვიყავით და არც იმის დრო გექონდა შეგვემოწმებინა, თუ როდის იქცნენ ნამდვილი ძვირფასი ქვები ბოთლის უკანალებად, რადგან გაჭირვების შავი ხარი ყველა მხრიდან გვიტევდა. დაუჯერებელია, მაგრამ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დამთრგუნველი პრობლემა იყო ფურცელი საბეჭდი მანქანისათვის. სულელური გულუბრყვილობის გამო მეგონა, რომ მცდარბეჭდილები, სტილისტიკისა და გრამატიკის შეცდომები, შემოქმედებითი შეცდომები იყო და ყოველთვის, მათი აღმოჩენისას, ვხევდი ფურცელს და ვყრიდი სანაგვე ყუთში, რათა დამეწყო თავიდან. ოჯახის ბიუჯეტის ნახევარს მერსედესი ქაღალდის გორებში ხარჯავდა, რაც ერთი კვირაც კი არ მყოფნიდა. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ არ ვხმარობდი პირგადასაღებ ქაღალდს.

მსგავსი წვრილ-წვრილი პრობლემები ისე დამთრგუნველი გახდა, რომ იმის თავიც აღარ გექონდა აგვერიდებინა საბოლოო გადაწყვეტილება: დაგვეგირავებინა ახლად ნაყიდი მანქანა. იმაზე აღარც კი გვიფიქრია, რომ საშველი უფრო მძიმე აღმოჩნდებოდა, ვიდრე თავად ავადმყოფობა. გავისტუმრეთ წინა ვალები, მაგრამ ყოველთვიური პროცენტის გადახდის დრო რომ დადგა, უფსკრულის პირას აღმოვჩნდით. საბედნიეროდ, ჩვენმა ძველმა და კეთილმა მეგობარმა კარლოს მედინამ თავის თავზე აიღო მათი (პროცენტების–ე.კ.) გადახდა. და არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე თვის, ვიდრე არ შევძელით მანქანის გამოსყიდვა. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გავიგეთ, რომ მასაც მოუწია თავისი ერთ-ერთი მანქანის დაგირავება, რათა გადაეხდა ჩვენი პროცენტები.

საუკეთესო მეგობრები ჯგუფ-ჯგუფად, მორიგეობით მოდიოდნენ ჩვენთან ყოველ საღამოს. გამოჩნდებოდნენ ხოლმე ვითომ შემთხვევით, წიგნებისა და ჟურნალების საბაბით და მოჰქონდათ ჩვენთან კალათები ბაზრიდან, ვითომ შემთხვევით. ყველაზე ერთგულები,

კარმენ და ალვარო მუტისები მაქეზებდნენ, რომ მომეყოლა მორიგი თავი რომანიდან. თავს იმით ვიძვრენდი, რომ სასწრაფოდ ვიგონებდი მათთვის ვერსიებს, იმ ჩემი ცრურწმენის გამო, რომ იმის მოყოლა, რასაც ვწერდი, აფრთხობდა დუენდეებს". (სახლის კეთილი, ეშმაკუნა, ცელქი სული).

იმ წლებში კარლოს ფუენტესი, მიუხედავად პანიკური შიშისა ფრენის მიმართ, დასეირნობდა მთელს მსოფლიოში. ყოველი მისი დაბრუნება განუწყვეტელი დღესასწაული იყო, რომლის დროსაც ვლაპარაკობდით ჩვენს წიგნებზე ისე, თითქოს ისინი ერთი მთლიანობა ყოფილიყვნენ. მარია ლუიზა ელიო, თავბრუდამხვევად გამჭრიახი, და მისი ქმარი იომი გარსია ასკოტი, პოეტიკით გაშეშებული, ისე უსმენდნენ ჩემს იმპროვიზაციებს, თითქოს განგების დაშიფრული ნიშნები ყოფილიყო. ასე რომ, მათი პირველივე ვიზიტებიდან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ წიგნს მათ მივუძღვნიდი. ამას გარდა, ძალიან მალე მივხვდი, რომ სუყველას რეაქციები და ენთუზიაზმი, ჩემი ნამდვილი რომანის უფსკრულებს მინათებდნენ.

1966 წლის მარტამდე მერსედესს კრედიტების შოვნაზე ჩემთან აღარ ულაპარაკია. 3 თვის ბინის ქირა გვმართებდა. მერსედესი ტელეფონით ელაპარაკებოდა სახლის პატრონს, როგორც ამას ხშირად აკეთებდა ხოლმე, რათა გაემხნევებინა ის თავის მოლოდინში. უცებ, ყურმილს ხელი დააფარა და მკითხა, თუ როდის ვაპირებდი წიგნის დამთავრებას.

იმ წელს აღებული ტემპის მიხედვით გამოვთვალე, რომ მაკლდა ექვსი თვე. მაშინ მერსედესმა გააკეთა თავისი ასტრალური გამოთვლები და ენაც არ წაბორძიკებია ისე უპასუხა სახლის პატრონს:

– ყველაფერს ერთად გადაგიხდით 6 თვეში.

– უკაცრავად, ქალბატონო – უთხრა მას გაოცებულმა მეპატრონემ, – თქვენ აცნობიერებთ, რომ მერე ეს უზარმაზარი თანხა იქნება?

– დიახ, ვაცნობიერებ – უპასუხა მერსედესმა აულელეებლად, – მერე უკვე ყველაფერი მოგვარებული გვექნება. მშვიდად იყავით. არც ამ დალოცვილ ლიცენტიატს, ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და მომთმენ ადამიანს, რომელსაც ჩვენ ოდესმე ვიცნობდით, აუთრთოლდა ხმა პასუხისას: „ძალიან კარგი, სენიორა, თქვენი სიტყვა ჩემთვის საკმარისია“ და გააკეთა თავისი სასიკვდილო გამოთვლები:

–გიცდით 7 სექტემბერს.

ის შეცდა: იყო არა 7, არამედ 4 სექტემბერი, პირველი, მოულოდნელი ჩეკი რომ მივიღეთ პირველი გამოცემის უფლებებზე.

დარჩენილი თვეები გიჟურად გავატარეთ. ჩემი უახლოესი მეგობრები, რომლებიც კარგად იცნობდნენ სიტუაციას, უფრო ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან, ყოველთვის დახუნძლულები, ცხოვრების გაგრძელება რომ შეგეძლებოდა. ლუის ალკორისა და მისი ავსტრიელი მეუღლე ჟანეტ რიზენფელდ დიუნინგი არ იყვნენ ჩვენი ხშირი სტუმრები, მაგრამ ისინი თავის სახლში აწყობდნენ ისტორიულ საღამოებს ბრძენი მეგობრებითა და ულამაზესი გოგოებით ფილმებიდან. ხშირ შემთხვევაში ეს იყო მიზეზი, რომ ვენახეთ. ლუისი იყო ერთადერთი ესპანელი, რომელსაც ესპანეთის ფარგლებს გარეთ შეეძლო ისეთივე ტორტილიის მომზადება, როგორსაც აკეთებენ ვალენსიაში, ხოლო მისი ცოლი კი, ნამდვილი ხელოვანის ოსტატობით ახერხებდა იმას, რომ ჩვენ მუდმივად ფორმაში ვყოფილიყავით სულიერად.

გარსია რიერები, კინოს გიჟები, კვირა დღის საღამოობით წაგვრეკავდნენ თავის სახლში და გვავსებდნენ უზომო ბედნიერებით, რათა მომავალ კვირას მედგრად დავხვდომოდით.

რომანი უკვე იმდენად იყო წინ წაწეული, რომ მე ვაძლევდი თავს უფლებას კვლავ გამემდიდრებინა ცრუ სიუჟეტი, რომელსაც მეგობრების სტუმრობისას ვიგონებდი. ეს სიუჟეტები მე ბევრჯერ მომისმენია იმ ადამიანთა შესრულებით, რომელთათვისაც არასოდეს

მომიყოლია. და სულ მაოცებდა, თუ რა სისწრაფითა და განშტოებებით ვრცელდებოდა ის.

აგვისტოს ბოლო იყო. ერთ მშვენიერ დღეს, მოსახვევში, უცბად რომანის ფინალი წამომადგა თავზე. მე არ ვხმარობდი პირგადამღებ ქაღალდს და არც ასლის გადამღები აპარატები იყო ქუჩის კუთხეში. ასე რომ, არსებობდა მხოლოდ 2000-მდე გვერდიანი ორიგინალი.

ეს ნამდვილი ღმერთების ნადიმი იყო ესპერანსა არაისასთვის – დაუვიწყარი პერასათვის, რომელიც მანუელ ბარბაჩანო პონსეს ერთ-ერთი საუკეთესო მბეჭდავი იყო. ის სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა დასახლება კუატემოკში დრაკულასეულ სასახლეში პოეტებისა და კინოს ხალხისათვის. პერამ, თავისუფალ დროს, გადაათეთრა მექსიკელ მწერლთა რჩეული ნაწარმოებები. მათ შორის კარლოს ფუენტესის „ყველაზე გამჭვირვალე რეგიონი“, ხუან რულფოს „პედრო პარამო“ და დონ ლუის პუნიუელის ფილმთა სცენარების ხელნაწერები. მე მას შევთავაზე გადაეთეთრებინა ჩემთვის რომანის საბოლოო ვერსია. ამ დორისათვის ხელნაწერი წარმოადგენდა ჯერ შავი მელნით, შემდეგ კი წითლით, რომ არ ამრეოდა, შესწორებებით დაცხრილულ შავ ვარიანტს. მაგრამ ეს არაფერი იყო იმ ქალისათვის, რომელიც ყველაფერს იყო შეჩვეული გიჟების გალიაში. მან არა მხოლოდ აიღო შავი ნაწერი, იმიტომ რომ წაკითხვა აინტერესებდა, არამედ იმაზეც დამთანხმდა, რომ ჯერ გადავიხდიდი, რაც შემეძლო, ხოლო დანარჩენს, როდესაც თავად მე მივიღებდი პირველ ჰონორარს საავტორო უფლებებით.

სანამ პერა ყოველკვირეულ თავს ათეთრებდა, მე ვამზადებიდი მომდევნოს, ყველანაირი ჩასწორებებით სხვადასხვა ფერის მელნით, რომ არ ამრეოდა. და არა იმიტომ, რომ შემემოკლებინა, არამედ იმიტომ, რომ მიმეყვანა სიმჭიდროვის უფრო მაღალ ხარისხამდე. ასეთნაირად დარჩა ხელნაწერის თითქმის ნახევარი.

წლების შემდეგ პერა გამომიტყდა, რომ როდესაც სახლში მიჰქონდა ჩემ მიერ შასწორებული მესამე თავის ერთადერთი ეგზემპლარი, თავსხმა წვიმაში, ავტობუსიდან ჩამოსვლისას ფეხი დაუცურდა და ფურცლები ქუჩის თხრილში მიმოიფანტნენ. მან ისინი დასველებულები, მგზავრების დახმარებით შეაგროვა და თითქმის წასაკითხად უვარგიგი, სახლში უთოთი გააშრო.

იმ დღეებში, ყველაზე ემოციური ჩემთვის ერთი შაბათი დღე გამოდგა. არ მქონდა შესასწორებელი მორიგი თავი. დავურეკე პერას, რომ მეთქვა, რომ ხელნაწერს ორშაბათს მივუტანდი. კარგა ხნის მერყეობის შემდეგ მან გაბედა და მკითხა ბოლოს და ბოლოს დაწვებოდა თუ არა აურელიანო ბუენდია რემედიოს მოსკოტესთან. როდესაც ვუპასუხე რომ კი, შვებით ამოისუნთქა.

– დიდება უფალს, – წამოიძახა, – თქვენ რომ ეს ჩემთვის არ გეთქვათ, ორშაბათამდე ვერ დავიძინებდი.

ვერასოდეს ვერ გავიგე, თუ საიდან და როგორ მივიღე იმ დღეებში მოულოდნელი წერილი პაკო პორრუასაგან, რომლის შესახებაც არაფერი მსმენია. იგი რეკომენდაციას მიწევდა გამომცემლობა „სუდამერიკანა“-ში ჩემი წიგნების უფლებებზე, რომლებსაც ის პირველი გამოცემებით მშვენიერად იცნობდა. გული გამისკდა, იმიტომ რომ ისინი სუყველა სხვადასხვა გამომცემლობებს მიეყიდე ხანგრძლივი კონტრაქტით და არ იქნებოდა ადვილი მათი გამოხსნა. ერთადერთი სანუგეშო, რაც მომაფიქრდა იყო მეპასუხნა პაკოსათვის, რომ სულ მალე დავამთავრებდი ძალიან დიდ რომანს, რომელსაც არავის შევპირებივარ და რამდენიმე დღეში შევძლებდი გამეგზავნა მისთვის პირველი დასრულებული ეგზემპლარი.

პაკო პორრუამ ტელეგრამით დასტური მომცა და ავანსის სახით ფოსტით გამომიგზავნა ჩეკი ხუთას დოლარზე.ზუსტად ცხრა თვის ბინის ქირა, რომლის გადახდასაც იმ დღეებში ვიყავით შეპირებული

და არ ვიცოდით როგორ, რადგანაც რომანის დამთავრების თარიღი ცუდად გამოვთვალეთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, პერას მიერ პირგადამღები ქაღალდით გადათეთრებული სამი ეგზემპლარი 2-3 კვირაში მზად იყო. სტამბაში გაგზავნამდე, ალვარო მუტისი გახდა საბოლოო ვარიანტის პირველი მკითხველი. ის აორთქლდა ორი დღით. მესამე დღეს დამირეკა გულითადად გააფთრებულმა, რადგან აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში, რომანი არ იყო ის, რასაც მე ვუყვებოდი მეგობრებს გასართობად, და რასაც ის, შემდგომ უკვე თავის მეგობრებს უყვებოდა.

— თქვენ მე გამაპამპულავეთ, ეშმაკმა წაგიღოთ! — მიყვირა, — ამ წიგნს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც გვიყვებოდით.

შემდეგ კი, სიცილისაგან გამსკდარმა დასძინა:

— კიდევ კარგი, რომ ეს ბევრად უკეთესია.

არ მახსოვს, მქონდა თუ არა მაშინ სათაური რომანისათვის, არც ის მახსოვს, თუ სად, როდის და როგორ მომივიდა იგი თავში. ვერც ერთმა მაშინდელმა მეგობარმა ეს ვერ გაიხსენა. ნეტავ თუ არსებობს რომელიმე წარმოსახვითი ისტორიკოსი, რომელიც დამდებდა პატივს და გამოიგონებდა ამ თარიღს?

ეგზემპლიარი, რომელიც ალვარო მუტისმა წაიკითხა, სწორედ ის იყო, რომელიც ფოსტით ორ ნაწილად გავაგზავნეთ. მეორე, ცოტა ხნის შემდეგ, მან თავად წაიღო ბუენოს-აირესში ერთ-ერთი მგზავრობისას. მესამე მეხიკოში, იმ მეგობრებს შორის ტრიალებდა, რომელბიც ძნელბედობისას მხარში გვედგნენ, მეოთხე ბარანკილიაში გავაგზავნე, რათა რომანის სამ გულითად მოქმედ პირს ალფონსო ფუენმაიორს, ხერმან ვარგასს და ალვარო სეპედას წაეკითხათ. ამ უკანასკნელის ქალიშვილი პატრისია დღესაც განძივით ინახავს მას.

როდესაც 1967 წლის ივნისში დასტამბული წიგნის პირველი ეგზემპლიარი მივიღეთ, მე და მერსედესმა დავხიეთ ის დაცხრილული

ორიგინალი, რომელიც პერამ ასლების გასაკეთებლად გამოიყენა. აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო, არც მეტი არც ნაკლები, ყველაზე ფასეული, თავსახმა წვიმისა და უთოს გამოისობით წასაკითხად ძლივს გასარჩევი მესამე თავით. ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილა არც გულუბრყვილო და არც მოკრძალებული. ის ეგზემპლიარი ჩვენ დავხიეთ, რათა არავის შესძლებოდა ჩემი სახელოსნოს საიდუმლო ტრიუკების აღმოჩენა. თუმცა, მსოფლიოს რომელიმე კუთხეში შესაძლოა იყოს დანარჩენი ასლები, მათ შორის ორი ასლი გაგზავნილი გამომცემლობა „სუდამერიკანა“-ში პირველი გამოცემისათვის.

ყოველთვის მეგონა, რომ პაკო პორრუამ, და მას ამის სრული უფლება ჰქონდა, შეინახა ასლები როგორც რელიქვია. მაგრამ მან ეს უარყო, ხოლო მის სიტყვას ოქროს ფასი აქვს.

როდესაც გამომცემლობიდან პირველი, საცდელი ეგზემპლარი მივიღე, უკვე კორექტირებული წავიღე ის ალკორისასთან ერთ წვეულებაზე, განსაკუთრებით საპატიო სტუმრის, დონ ლუის ბუნიუელის დაუოკებელი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მან ოსტატურად დახლართა შესწორებები, და არა ტექსტის გასაუმჯობესებლად, არამედ შეცდომების მისაჩქმალად. ალკორისა იმდენად აღფრთოვანებული ჩანდა საუბრით, რომ მე მივიღე სწორი გადაწყვეტილება და მივუძღვენი მას ამონაბეჭდი: ლუისსა და ჟანეტს – გაცვეთილი, მაგრამ ერთადერთი გულწრფელი მიძღვნა: „მეგობრისაგან, რომელსაც ისინი ყველაზე მეტად უყვარს ამ ქვეყანაზე“. ხელმოწერასთან დავსვი თარიღი: 1967. ხელმოწერის ხსენება და ბრჭყალები ბოლო ფრაზაში გამოწვეული იყო იმით, რომ ერთ წიგნზე უკვე მქონდა გაკეთებული მიძღვნა ხელმოწერით ალკორისებისათვის. 28 წლის შემდეგ, როდესაც „მარტოობის ასმა წელმა“ უკვე განვლო თავისი გზა, ვიღაცამ იმავე სახლში გაიხსენა ეს ეპიზოდი და ივარაუდა, რომ ის ამონაბეჭდი მიძღვნით მთელ ქონებას უდრიდა. ჟანეტმა გადმოიღო ის თავის სკივრიდან და

მისაღებ ოთახში გამოფინა. ვიღაცამ იხუმრა, რომ ამით სიღარიბიდან ამოსვლა შეეძლოთ. მაშინ, ალკორისამ ძალიან მისეული სცენა მოაწყო: ორივე მჯიღს მკერდზე იცემდა და კარგად დაყენებული ხმით და წმინდა იბერიული კატეგორიულობით გაჰყვიროდა:

— მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე გავყიდო განძი, რომელიც მეგობარმა მომიძღვნა.

დამსახურებულ ოვაციებში ამოვიღე იგივე კალამი, რომელიც მქონდა მაშინ და რომელსაც კვლავ ვინახავდი და 18 წლის წინ გაკეთებულ მიძღვნას მივაწერე: „ვადასტურებ, 1985“ და მოვაწერე ისევე, როგორც პირველად: გაბო. ეს არის 180 თაბახიანი დოკუმენტი 1. 026 შესწორებით, რომელიც გაკეთებულია ჩემი საკუთარი ხელით და რომელსაც ამა წლის 21 სექტემბერს, ბარსელონაში, წიგნის ბაზრობაზე გამოიტანენ საჯარო აუქციონზე, ყოველგვარი ჩემი მონაწილეობისა და მხარდაჭერის გარეშე, რათა ამ ოპერაციის კანონიერება არ იყოს საეჭვო. ზოგიერთების შეშფოთება გამოიწვია იმან, თუ რატომ იყო ჩემთან ამონაბეჭდი, თუ ვალდებული ვიყავი დამებრუნებინა ის ბუენოს-აირესში, რათა შეეტანათ საბოლოო შესწორებები პირველ გამოცემაში. საქმე ისაა, რომ არასოდეს დამიბრუნებია ჩემი ხელით შესწორებული ამონაბეჭდი. მანქანაზე გადაბეჭდილი შესწორებათა სია ფოსტით გავაგზავნე, იმის შიშით, რომ ქაღალდების ეს გროვა შესაძლოა დაკარგულიყო გზაში.

ლუის ალკორისამ 1992-ში, 71 წლის ასაკში განუტევა სული თავის კუერნავაკას სახლში. ჟანეტი იქ დარჩა, ერთგული მეგობრების ვიწრო წრეში. გარდაიცვალა ექვსი წლის შემდეგ. ყველაზე ერთგული ჰექტორ დელგადო იყო, რომელიც მათ მშობლებად თელიდა და სიბერის ძნელბედობისას იმდენად და ისე ზრუნავდა მათზე, როგორც ნამდვილ მშობლებზე. სიკვდილამდე ალკორისებმა ის ანდერძით აღიარეს კანონიერ მემკვიდრედ. ერთადერთი, რაც ამ დაუჯერებელ და დასამახსოვრებელ ისტორიაში მე არასამართლიანად მიმაჩნია

არის ის, რომ თავისი ბოლო წლები ლუისმა და ჟანეტმა ისე გაატარეს, რომ ჩრჩილით საცვე სკივრში, დროისაგან კარგად დაცულ ასობით ათას დოლარს ინახავდნენ იმ დაუმარცხებელი იბერიული ღირსების გამო, რომ არ გაყიდეს მეგობრის საჩუქარი, რომელსაც ისინი ყველაზე მეტად უყვარდა ამ ქვეყანაზე.

ᲛᲔᲮᲝᲑᲝ, DF, 2001

ᲨᲐᲜᲐᲨᲘᲠᲝᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲑᲛᲜᲐ ᲔᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ ᲥᲣᲜᲐᲫᲔᲛ.

თავი II

ისტორია და პიროვნება

გაბრიელ გარსია მარკესის პუბლიცისტიკაში

§ 1. ისტორიული წესვების ძიება

ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, რომ მარკესის შემოქმედების, კერძოდ, პუბლიცისტიკის განმსაზღვრელი თემა არის ისტორია და პიროვნება, ეროვნული ფესვების ძიება და თვითშეგნების ანალიზი.

ისტორია კი მარკესისათვის, ბუნებრივია, კოლუმბიიდან, უფრო ზოგადად კი ლათინური ამერიკიდან იწყება.

ლათინური ამერიკის ფენომენის კვლევა ხდება პირდაპირ თუ ირიბად, მხატვრული ხერხებით თუ მეცნიერული ჩაღრმავება-ანალიზის მეშვეობით. ერთი შეხედვით წვრილმანი, ყოფითი სიტუაციებისა თუ გლობალური მოვლენების გაშუქებით, რიგითი მოქალაქეებისა თუ ისტორიული პიროვნებების ბედისა და ხასიათის წარმოჩინებით. გასაგებიცაა: ეროვნული ფესვების ძიების, გააზრებისა და ანალიზის გარეშე არ არსებობს არც ერი, არც ქვეყანა, არც პიროვნება.

ეროვნული თვითშეგნების შეკითხვები: „რანი ვართ?“ და „საიდან მოვდივართ?“ – სამწუხაროდ, უკვე თითქმის ბანალური გახდა. არადა, ხსენებული პრობლემა გენიალური მოაზროვნის არა მარტო შემოქმედების, არამედ არსობის განმსაზღვრელია.

მართლაც, ვინ არიან ლათინოამერიკელები: აბორიგენ ინდიელთა და ესპანელ კონკისტადორთა შთამომავლები? ჰოც და არაც. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ისტორიულ წარმომავლობაზე ფიქრობენ მარკესის გმირები და, რაღა თქმა უნდა, ისინი ავტორის მოსაზრებებს ახმოვანებენ, რომლებშიც გადახლართულია ეჭვიც, ვარაუდიც, გაურკვეველობის ტკივილიც და იმის შეგნება, რომ თვითმყოფადობა ჯერ კიდევ

თითქმის ჩანასახის სტადიაშია. გადმოსახლებული ესპანელები – ეს არ არის მხოლოდ შორეული წარსული, ისინი ხორცშესხმულები დაიარებიან კონტინენტზე. მაგრამ წმინდა ესპანური იდენტურობა მათთვის უკვე კონტურებს კარგავს.

როგორც ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითი, გვინდა გავიხსენოთ ეპიზოდი მარკესის ერთ-ერთი ბოლო რომანიდან „სიყვარულსა და სხვა დემონებზე“(23) ეს არის ბრწყინვალე დიალოგი ორ ინტელექტუალს ექიმ აბრენუსიოსა და ეპარქიის ბიბლიოთეკარ პადრე კაეტანო დელაურას შორის. საუბარია ვოლტერის პროზაზე:

დელაურა: „სამწუხაროა, რომ ის ფრანგს ეკუთვნის.“

„თქვენ ამას იმიტომ ამბობთ, რომ ესპანელი ხართ“, – თქვა აბრენუნსიომ.

„ჩემს ასაკში, თანაც ამდენი შრეული სისხლით, ზუსტად აღარც კი ვიცი, საიდან ვარ და ვინ ვარ“ - უპასუხა დელაურამ.

„ამ მხარეში ეს არავინ იცის“ – დასძინა აბრენუსიომ, – „და ვფიქრობ, რომ საუკენეები დასჭირდება ამის გაგებას“(23).

ამ პატარა დიალოგშიც კი ჩაატია მაესტრო გაბრიელმა უზარმაზარი პრობლემის არსი. ვინ არიან და საიდან მოდიან,

მართლაც რომ საუკუნეებია არკვევენ ლათინოამერიკელები. ამიტომაც, მისანშეწონილად მიგვაჩნია ისტორიისა და პიროვნების თემა მარკესის პუბლიცისტიკაში სწორედ ეროვნული ფესვების ძიების პრობლემით გაეხსნათ და ამისათვის მიემართოთ და განვიხილოთ სტატია „ბავშვთათვის მისაწვდომი ქვეყნისათვის"(24), რომელიც ეხმიანება როგორც ზემოთ მოყვანილ ციტატას, აგრეთვე ბევრ სხვა საკითხსაც.

სტატიის დასწყისში ავტორი ქვეყნის აღმოჩენის ისტორიას მიმოიხილავს. ფაქტი თავისთავად საკაცობრიო მნიშვნელობისაა, მაგრამ მარკესისათვის მისი მთელი არსი დამახასიათებელ ლაკონიურ და დახვეწილ ფრაზაში ჩაეტია: „ქრისტეფორე კოლუმბმა, ჩინეთის იმპერატორისადმი ესპანეთის მეფეთა წერილით აღჭურვილმა, აღმოაჩინა სამოთხე, გეოგრაფიული შეცდომის გამო, რამაც შეცვალა ისტორიის კურსი" (24). სწორედ იმ შეცდომის დღეს საფუძველი ჩაეყარა ახალ გენეზისს, რომლის მოქმედი პირები იყვნენ, ერთის მხრივ, აბორიგენი ინდიელები, ხოლო, მეორე მხრივ, ესპანელი კონკისტადორები, გაოგნებულები ინდიელთა ოქროების ბრჭყვიალით. საფუძველი ჩაეყარა ახალ ლათინოამერიკულ რასას. ამ ინფორმაციას ისტორიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში ამოიკითხავთ. თითქოს და ნათელი ამბავია, მაგრამ „ხუთი საუკუნის შემდეგ ორივე შტოს შთამომავლებმა კვლავ არ ვიცით ვინ ვართ"(24) – ამბობს სტატიის ავტორი და ცდილობს თავადვე გაერკვეს ამაში. ამიტომაც განსაზღვრავს და აანალიზებს იმას, თუ რა დახვდათ ამერიკის კონტინენტზე ესპანელებს და თავად რა ჩაიტანეს ევროპიდან.

დახვდათ: „ინკების საუცხოოდ ორგანიზებული ლეგენდარული სახელმწიფო მონუმენტური ქალაქებითა და ანდთა მწვერვალებით, რათა შეხებოდნენ მზის ღმერთს. მათ ჰქონდათ ანგარიშისა და აღრიცხვის მაგისტრალური სისტემები, არქივები და საყოველთაო მეხსიერება, რითაც განაცვიფრეს ევროპელი მათემატიკოსები; ჰქონდათ ხალხური რეწვის უზარმაზარი კულტურა, რომლის

უვიც და უბირ კრიმინალებსა და ლიუმპენს წარმოადგენდა და რომლებმაც, ვერც კი გაიგეს, თუ სად იმყოფებოდნენ და რა ნახეს. აი, იქ, იმ დასაბამში არსებული „დაუჯერებელი“ დღესაც აოცებს კაცობრიობას, „დაუჯერებელი“, რომელიც განსახიერდა მარკესისეულ „მაგიურ რეალიზმში“.

„მაგიურ რეალიზმი“ – ეს, რა თქმა უნდა, კრიტიკოსთა მიერ გამოგონილი ტერმინია იმ „დაუჯერებლის“ აღსანიშნავად, რომელიც ლათინური ამერიკისა და თითოეული ლათინელის ყოველდღიურობაა. ის რეალობა მათთვის სულაც არ არის „მაგიური“, არამედ ჩვეულებრივია. ეს ევროპელთა და ჩრდილოამერიკელთა მენტალიტეტი ვერ ეგუება „დაუჯერებლის“ ჩვეულებრიობას, შეუთავსებლის შეთავსებულობას. ალბათ, ეს ფაქტორიც განაპირობებს მარკესისადმი და საერთოდ ლათინური ამერიკისადმი განსაკუთრებულ ინტერესს.

ხოლო თავად მარკესისათვის „დაუჯერებლის“ კვლევა და მეტიც, ხორცშესხმა, შემოქმედების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა.

საკითხის უფრო დაწვრილებით განსახილველად გარსია მარკესი ირჩევს ერთ კონკრეტულ ტერიტორიას: ორი ოკეანის შესაყარზე გადაჭიმულ ორმოცი ათასი ლეგუის ფართობს, რომელიც ატარებს აღმომჩენის სახელს: კოლუმბია. ეს არის მარკესის ფუძე – სამშობლო, მისი არსი, მისი „მე“-ს განმსაზღვრელი მიწა, რომლის საზღვრებიც შემდგომ, მწერლის ცნობიერებაში უზომოდ გაფართოვდება, წაიშლება კიდეც და მთელს კონტინენტს მოიცავს.

მიწის ამ მონაკვეთზე არსებული სახელმწიფო, ტომობრივი, ეკონომიკური, კულტურული და მორალური – ზნეობრივი ურთიერთობებით ბევრად არ განსხვავდებოდა კონტინენტის დანარჩენ ტერიტორიაზე არსებული ქვეყნებისაგან. სწორედ აქედან აიღებს სათავეს მოგვიანებით „ლათინოამერიკულის“ ზოგადი ცნება, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მოცემული სტატიის დეტალური

განხილვა, მთელი კონტინენტის გენეტიკური და სულიერი ერთიანობის მარადიული იდეა, ზედმიწევნით გათვითცნობიერებული და გათავისებული მარკესის მიერ. სიყვარული კოლუმბიისა მხოლოდ დასაბამია უფრო დიდი „ლათინოამერიკულისადმი“ ტრფობისა.

ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობა განვითარების უაღრესად მაღალ დონეზე იმყოფებოდა. აბორიგენთა სულიერი სიმწიფე, განსახიერებული მათ შემოქმედებაში, ორგანულად იყო შერწყმული ყოველდღიურ ცხოვრებასთან, რასაც მარკესი ხელოვნების უმაღლეს დანიშნულებად მიიჩნევს. ოქრო და ძვირფასი ქვები კოსმოლოგიურ, და აქედან გამომდინარე, შემოქმედებით ღირებულებას წარმოადგენენ და არა გაცვლის საშუალებას.

სულ სხვა რამ დაინახეს ყოველივე ამაში პრაგმატულმა ევროპელებმა, ესპანელებმა. მათთვის: „უთვალავი ოქრო და ძვირფასი ქვები საჭირო იყო, რათა დაეტოვებინათ სამუშაოს გარეშე ალქიმიკოსები და ზეცისაკენ მიმავალი გზა ოქროთი მოეპირკეთებინათ“. სწორედ ამაში ხედავს მარკესი კოლონიზაციის მიზანსაც და ძალასაც.

შემთხვევით არ შეუხსენებია მარკესს ეს ყველასათვის კარგად ცნობილი ისტორიული მოცემულობა: აბორიგენთა და კონკისტადორთა ოქროსადმი სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებების ერთმანეთთან შერწყმა, მათი გენეზისი, არის რეალური დასაბამი იმისა, თუ რანი არიან კოლუმბიელები (კერძოდ) და ლათინოამერიკელები (ზოგადად) დღეს. ხოლო თუ რაოდენ ტკივა თავად მარკესს მისი კოლუმბია, მისი „იდილიური კოლუმბია“ ქცეული „ყველაზე საშიში ქვეყნად“ ეს ყოველი მისი ფრაზის ტექსტშიც და ქვეტექსტშიც ნათლად იკითხება.

მხოლოდ ზემოხსენებული შერწყმის შემდეგ იწყება კოლონიზაცია კლასიკური გაგებით: ტერიტორიის საერთო სახელწოდებით, საერთო ენით და საერთო ღმერთით, რამაც

ეროვნული ერთიანობის ილუზია წარმოშვა, მაგრამ მხოლოდ ილუზია, რადგან ყოველივე კოლონიურ ძალადობას ეფუძნებოდა: ერთიანობაც, ენაც და რელიგიაც.

კოლონიზაციის ისტორიიდან მარკესი ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გამოყოფს. ეს არის მესტიზაცია: უძლიერესი, შეუჩერებელი და შეუქცევადი დემოგრაფიული ძალა, რასაც ლოგიკურად თან სდევდა დახვეწილი რასობრივი დაყოფა, დისკრიმინაციითა და ყველა სახის უთანასწორობით, რისი აღმოფხვრაც ხუთი საუკუნის შემდეგაც შეუძლებელი გახდა.

განვითარების შემდგომ მნიშვნელოვან ეტაპად პუბლიცისტი განმათავისუფლებელი ომების ხანას მიიჩნევს: XVIII-XIX საუკუნეებს. ხოლო იმ პერიოდის მოღვაწეებს „დამოუკიდებლობის თაობას“ უწოდებს. ამ ცნებაში, რომელიც ტრადიციულია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომლებმაც კოლონიზაცია გაიარა, მარკესი უდიდეს სიმპათიას, თანადგომასა და თანაზიარს დებს. აი, როგორ აფასებს მათ მოღვაწეობას იგი ორი საუკუნის გადასახედიდან: „იმ რომანტიულ ახალგაზრდათა პლეადამ, შთაგონებულმა საფრანგეთის რევოლუციის ბრწყინვალებით, აღადგინა თანამედროვე რესპუბლიკა საუკეთესო სურვილებით, მაგრამ ვერ შეძლო აღმოეფხვრა კოლონიური გადმონაშთები. უპირველეს ყოვლისა, მენტალიტეტში. ისინი საკუთარი ბოროტი ბედის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. 35 წლის სიმონ ბოლივარმა გასცა ბრძანება დაეხვრიტათ რვაასი ესპანელი ტყვე, ჰოსპიტლის სარეცელზე გაკრული ავადმყოფებიც კი. 28 წლის ფრანსისკო დე პაულა სანტანდერმა ბოიაკას ბრძოლისას 33 დატყვევებული კაცი დაახვრეტინა, მეთაურის ჩათვლით. რესპუბლიკის ზოგიერთმა კეთილმა განზრახვამ ირიბად ბიძგი მისცა ახალ სოციალურ დაძაბულობას მდიდრებსა და ღარიბებს, მუშებს, ხელოსნებსა და სხვა დაბალ საფეხურზე მდგომ ჯგუფებს შორის. XIX საუკუნის სამოქალაქო ომებისათვის უცხო არ იყო გაუგონარი

სისასტიკე, სისხლიანი კვალი ახლაც ჩანს ჩვენი ისტორიის ფურცლებზე“ (24).

მართლაც, სისხლის ნიაღვრები მიედინებოდა XVIII-XIX საუკუნეების ლათინურ ამერიკაში, მაგრამ ეს დიადი ეპოქა იყო, დიადი იდეებით, დიადი პერსონაჟებით, რომლებიც ამაყად შემართულნი იყვნენ მათ განსახორციელებლად. შეძლეს კიდეც ეროვნული თვითმყოფადობისა და სიამაყის გამოღვიძება. იმდენად გაითავისა მათი მიზნები და სულისკვეთება მთელმა კონტინენტმა, რომ სისხლის ეს ნიაღვრები ბევრად უფრო გვიან, უკვე ისტორიის გადასახედიდან გაახსენდათ. მიზანი კი კონტინენტიდან ესპანელების განდევნა იყო, როგორც პროგრამა მინიმუმი და აქედან ორგანულად და ლოგიკურად გამომდინარე პროვინციებად დაქსაქსული კონტინენტის ერთ დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, რომელიც გენეტიკურად, სულიერად, ე.ი. სიღრმისეულად ერთიანი იქნებოდა. ეს კი პროგრამა-მაქსიმუმი იყო, რომელიც ვერასოდეს ვერ განხორციელდა. ამ იდეების უპირველესი მატარებელი სიმონ ბოლივარი იყო. სწორედ ამ მისწრაფებებმა აქცია ეს რომანტიკული გმირი და მისი თანამოაზრენი ისტორიულ პერსონაჟებად.

აქ კი მივადექით უაღრესად მნიშვნელოვან თემას მარკესის ისტორიულ პუბლიცისტიკაში: სიმონ ბოლივარის თემა,

„განმათავისუფლებელისა“, მთელი კონტინენტის ეროვნული გმირისა და, შესაბამისად, სათაყვანებელი გმირისა თავად მარკესისათვის. სიმონ ბოლივარის პიროვნება და აქედან გამომდინარე, იდეა თავისუფლებისა, განთავისუფლებისა, პირდაპირ თუ ირიბად არის მარკესის ისტორიული წერილების ღერძი და მამოძრავებელი ძალა. წერილებში, რა თქმა უნდა, თანამედროვეობაც იგულისხმება. ძნელად თუ მოიძებნება ისეთი სტატია თუ წერილი გარსია მარკესისა, სადაც თუნდაც ერთხელ არ იყოს ნახსენები ეს პიროვნება, თანც ყოველთვის აღმატებით ხარისხში. ეს ფრიად სახასიათოა: ლეგენდების ბურუსსა და პოეზიაში ჩაფლული სიმონ ბოლივარი დღესაც, XXI საუკუნეში არის ყველა ლათინოამერიკელის სათაყვანებელი კერპი. ეს პიროვნება ფიგურირებს არა მარტო პუბლიცისტიკაში. დიდმა მაესტრომ მასზე უბრწყინვალესი რომანი დაწერა: „გენერალი თავის ლაბირინთში“(25), სადაც ბოლივარის ბედის უკულმართობაა აღწერილი, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა, ძალზე სერიოზული კვლევის საგანია.

დღესაც კი, უკვე XXI საუკუნეში, პოეტურობა, დასაბამშივე ჩადებული ლათინელთა გენეტიკურ კოდში, მეტად საგრძნობია. ეს გამოარჩევს კიდეც მათ დანარჩენი სამყაროს წარმომადგენლებისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ სულიერების მკვლევარსა და ანალიტიკოსზე გაბრიელ გარსია მარკესზე.

გარსია მარკესი სიმონ ბოლივარის იდეების გამგრძელებელია, მისი სულიერი მემკვიდრეა, ოღონდ კალმით მებრძოლი.

და მაინც, რა ძალამ გამოატარა და გადაარჩინა ეს ხალხი და მთლიანად კონტინენტი წარმოუდგენელი „დაუჯერებელი“ ისტორიის ქარ-ცეცხლში, რამ აპოვნინა და შეანარჩუნებინა მათ იდენტურობა. გარსია მარკესის აზრით, ორმა დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა: „პირველი ეს არის შემოქმედებითი ნიჭი, ადამიანის გონის უმაღლესი გამოვლინება, მეორე – პერსონალური ამაღლების

ყოველისმომცველობა“(24). ამას ემატება აბორიგენ ინდიელთაგან გამოყოლილი გენეტიკური სიეშმაკე, რომელმაც ფიზიკური არსებობა შეუნარჩუნა მათ და რომელიც უკვე თანამედროვე ლათინოამერიკელს ანიჭებს ნებისმიერ სიტუაციასა და გარემოში არაჩვეულებრივი ორიენტაციისა და ადაპტაციის უნარს. ყოველივე ზემოთქმული, ერთი მხრივ ისაა, რაც ესპანელებმა ჩადეს ლათინოამერიკელის გენეტიკურ კოდში: „ემიგრანტის თანდაყოლილი ავანტიურისტული სულისკვეთება, რაც არ გამორიცხავს რისკს. პირიქით: ჩვენ მას ვეძებთ“(24). ასეთად ესახება მარკესს თანამედროვე კოლუმბიელი (ლათინოამერიკელი), რომელიც მისივე თქმით, არსად შიმშილით არ მოკვდება და რომლის უდიდესი ღირსება არის ის, რომ რაც უფრო შორს იმყოფება კოლუმბიიდან, მით უფრო კოლუმბიელად გრძნობს თავს. ამგვარ ნოსტალგიურ გამოვლინებებს შეხვდებით მსოფლიოს ყველაზე მოულოდნელ ადგილებში. ეს გარემოება აძლევს პუბლიცისტს იმის საფუძველს, რომ დაასკვნის: „დღესაც კი ბოლომდე ვერ წარმოგვიდგენია, თუ რამდენად ვართ დამოკიდებული იმ უკიდეგანო სამყაროზე, რომელსაც არც ვიცნობთ“(24). ეს კი უკვე განზოგადებაა. ყოველივე ეროვნული არ უნდა ჩაიკეტოს თავის თავში, ის ვერ იარსებებს დანარჩენ სამყაროსგან იზოლირებულად. თვითმყოფადობის პრიორიტეტი უნდა ვითარდებოდეს სამყაროსეულ კანონზომიერებასთან ჰარმონიაში.

ამ ბეერისმომცველი ფრაზებით ავტორი იწყებს უახლესი კოლუმბიური და ლათინოამერიკული არსის ანალიზს: „შეგნებული გვაქვს ჩვენი მანკიერებანი, მაგრამ ვიხარჯებით სიმპტომების წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც მიზეზები მყარდებიან. დაგვიწერეს და დაგვიკანონეს ისტორიის თავაზიანი ვერსია (რაც აბსოლუტურად მიუღებელია მარკესისათვის, დანაშაულის ტოლფასია – ე.კ.), დაწერილი უფრო შესანიღბად, ვიდრე გასარკვევად: ისტორია, რომელშიც გამარადიულებულია ჩვენი მანკიერებანი, რომელშიც მოგებულია ბრძოლები, რომლებიც არასოდეს გადაგვიხდია და

საფრთხეს ხედავს როგორც მომავალ თაობათა, ასევე ქვეყნისა და, საერთოდ, კონტინენტის განვითარებისათვის. ბოლივარიდან კონფორმიზმამდე? მაგრამ სწორედ აქეთკენ მიეყავართ რეალობიდან მოწყვეტილ უაზრო ისტორიას, რეალობად კი რჩება ისევ და ისევ დაბურული და იდუმალი სამშობლო, სადაც „წარმოუდგენელია“ ერთადერთი რეალობა. სწორედ ის, რომელშიც თავად გარსია მარკესი გაიზარდა, რომელიც ღრმად გაიაზრა, შემდეგ კი მთელ მსოფლიოს დაანახა, რა არის სინამდვილეში ლათინური ამერიკა: გზაჯვარედინი მსოფლიო ცივილიზაციათა, ისტორიათა და ბედთა, რომლის ძირითადი განმასხვავებული ნიშანი არის „ზღვარგასულობა“ ყველაგან და ყველაფერში, ჭირშიც და ლხინშიც, სიკეთეშიც და ბოროტებაშიც, სიყვარულშიც და სიძულვილშიც, ტრიუმფალურ გამარჯვებაშიც და მწარე დამარცხებაშიც.

მართლაც რომ, შეუთავსებლის შემთავსებელია ეს ხალხი. თავად მარკესის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ „უგულო კოლუმბიელს გული ღუპავს“. ალბათ, ამიტომაც მიიჩნევენ მათ უცნაურ, გაუგებარ ხალხად იმ სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და სადაც, პრაგმატიზმი ადამიანებსა და მათ ურთიერთობებში არსებობის წესის განმსაზღვრელია. ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე კი სწორედ პარადოქსი, შეუთავსებლის შეთავსებულობაა თავიდათავი. ისევ გარსია მარკესს დავესესხებით: „ღმერთო გვიშველე – ჩვენ ყველაფერზე წამსვლელები ვართ“. სწორედ ასეთია ლათინური ამერიკის სულისკვეთება, რაც განაპირობებს კიდეც მის ფენომენს.

შეკითხვები, ვერსიები, მოსაზრებები ლათინოამერიკული „მე“-ს გარშემო ამოუწურავია, როგორც ამოუწურავია თავად რეალობა. ყოველივე ეს დაგვანახა კიდეც გარსია მარკესმა თავის ბელეტრისტიკასა და პუბლიცისტიკაში. ამ „მე“-ს კვლევაზეა აგებული მთელი მისი შემოქმედება, რათა უპირველესად თავად შეიცნოს, თუ რა სახით წარსდგება ლათინური ამერიკა მესამე ათასწლეულში.

ის კი დაზუსტებით იცის სულის მკვლევარმა, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ქვეყანა ბავშვთათვის მისაწვდომი გახდეს: „ ... განათლება, აკვნიდან სამარემდე. უკომპრომისო ბრძოლა, რომელიც აღგვაგზნებს ახლებურად აზროვნებისათვის და რომელიც ძალას მოგვცემს აღმოვაჩინოთ, თუ რანი ვართ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ყველაზე მეტად თავისი თავი უყვარს, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ამოუწურავი შემოქმედებითი პოტენციალი. ყური ვათხოვოთ ეთიკას და ალბათ, ესთეტიკასაც, რათა დაკანონდეს ჩვენი პერსონალური განდიდების დაუოკებელი სურვილი!.. რათა შემოქმედებითი ცხოვრებისაკენ წარიმართოს დაუშრეტელი ენერგია, რომელსაც საუკუნეებია ვანიავებთ ძარცვასა და ძალადობაში; რომ ბოლოს და ბოლოს ამ მიწაზე კიდევ მოგვეცეს შანსი, რომელიც არ მიეცა პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას დაწყეველილ ჯიშს; რათა აყვავებული ქვეყანა ვნახოთ ზუსტად ისეთი, როგორზეც ვოცნებობთ: ბავშთათვის მისაწვდომი“ (24).

მაგრამ როგორ უნდა გახდეს ეს ქვეყანა ბავშთათვის მისაწვდომი? ეს ძალზე რთულია, რამეთუ როგორც თავად მაესტრო ამბობს, პოეტთა იდილიური კოლუმბია მსოფლიოს ყველაზე საშიშ ქვეყნად გადაიქცა. ეს კი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის

მეტად ნოყიერი ნიადაგი იპოვა და სადაც იგი ყვაოდა, დღესაც ყვავის და უზადო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჩინებულად გრძნობს თავს.

ლათინური ამერიკა – დიქტატორთა სამშობლო, მაგრამ აგრეთვე სამშობლო გაბრიელ გარსია მარკესისა, კარლოს ფუენტესის, ხულიო კორტასარის, მარიო ვარგას ლიოსასი, აუგუსტო როა ბასტოსის და სხვა გამოჩენილ და გამორჩეულ ჰუმანისტთა, რომელთათვისაც ლათინური ამერიკა არა მარტო გარკვეულ გეოგრაფიულ სამშობლოს წარმოადგენს, არამედ ფილოსოფიის უმაღლეს რანგშია აყვანილი და სულიერ სფეროს განეკუთვნება.

დიქტატორიზმის პრობლემა თითოეული ლათინოამერიკელის პრობლემაა, თუ გადავხედავთ ამ კონტინენტის ისტორიას, განსაკუთრებით კი ბოლო ორი საუკუნისას, დავინახავთ, რომ დიქტატორთა ქრონიკული ცვლა, თანაც ძალადობის გზით, ამ ისტორიის განმსაზღვრელი ფაქტორია. დიქტატორიზმის, ანუ ძალადობის ეპიდემიამ, რომელსაც დასაბამი ესპანელებმა მისცეს, მთელი კონტინენტი მოიცვა, შეეხო თითქმის ყველა ქვეყანას, თითოეულ ოჯახს, თითოეულ ადამიანს და ყოველდღიურ რეალობად იქცა. გვინდა გავიხსენოთ ერთი დეტალი გარსია-მარკესის რომანიდან „პატრიარქის შემოდგომა“, რომელიც იმდენად თვალსაჩინოა, რომ არც ერთ კრიტიკოსსა თუ მკვლევარს, ანდა რიგით მკითხველს არ გამორჩენია: პატრიარქი ჩექმაზე, რომელსაც არასდროს არ იხდის, ატარებს ოქროს დებს, რომელიც მას დიდმა ადმირალმა, ანუ ქრისტეფორე კოლუმბმა აჩუქა. ანუ იგი, პატრიარქი, დიქტატორი, „ერის მამა“ და ტირანი, ლათინური ამერიკის დასაბამში უკვე იყო. იგი მარადიულია, იყო და იქნება, ყველგან და ყოველტვის, მას სახელიც კი არ აქვს: იგი –იგია. ამ შემზარავი რეალობის კვლევას თავის მოვალეობად მიიჩნევს თანამედროვე ლათინოამერიკული კულტურის თითქმის ყველა წარმომადგენელი.

სტატიაში „კბილი კბილის წილ“ გაბრიელ გარსია მარკესი იხსენებს: „... კარლოს ფუენტესმა საჯაროდ გამოთქვა აზრი, რომ თითოეულ ლათინოამერიკელ რომანისტს დაეწერა ნაწარმოები თავისი ქვეყნის დიქტატორზე საგამომცემლო ციკლისათვის, რომლის საერთო სახელწოდება იქნებოდა „სამშოლოთა მამები“. სწორედ მაშინ გამოაქვეყნა ალეხო კარპენტიერმა „მეთოდის უკულმართობანი“ და აუგუსტო როა ბასტოსმა „მე უზენაესი“. მიგელ ოტერო სილვამ გააკეთა განაცხადა თავისი თანამემამულის ხუან ვისენტე გომესის ბიოგრაფიაზე, რომელიც აღარ დაამთავრა, ხოლო ხულიო კორტასარი აგროვებდა დოკუმენტურ მასალას ევა პერონის ცხედრის საიდუმლო გადაადგილებებზე. პირად საუბარში კარლოს ფუენტესმა მითხრა, რომ ამზადებს რომანს გენერალ ანტონიო ლოპეს დე სანტანაზე, რომელმაც დაკარგა მექსიკის ნახევარზე მეტი და კალიფორნიის მთელი ოქრო შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბრძოლაში და იპერიული დიდებით დაკრძალა საკუთარი ფეხი, ამპუტირებული ჭრილობისა გამო“(26). ფრიად შთამბეჭდავი სურათია, მაგრამ კიდევ უფრო შთამბეჭდავია იმ ადამიანთა რიცხვი და მათზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებზედაც ამახვილებს ყურადღებას მარკესი. ეს კი უკვე ამ ისტორიული ფენომენის სერიოზულობაზე მეტყველებს. კიდევ ერთი ზოგადი და ქრონიკული სენი: დიქტატორი, რომელმაც

დაკარგა ეროვნულობა, თავისუფლად მოძრაობს დროში და, შესაბამისად მარადიულია... იგი არის ყველგან და ყველაფერში, მისი სუნთქვა – კონტინენტის სუნთქვაა.

თავად გარსია მარკესი დიქტატორისა და დიქტატორიზმის თემით განსაკუთრებით 1958 წელს დაინტერესდა (ზემოთხსენებული სტატიის თანახმად) კარაკასში, ვენესუელაში: „... ეს იყო სწორხაზოვანი და კონფორმისტული თხრობა მესამე პირში კარიბების წარმოსახვით დიქტატორზე, შექმნილი ნაწილ-ნაწილ მრავალთა სახიდან, მაგრამ ცენტრალური მოდელი ვენესუელელი ხუან ვისენტე გომესი იყო. ბევრი არ მქონდა დაწერილი, როდესაც გავემგზავრე ჰავანაში, რათა, როგორც რეპორტიორი, დავსწრებოდი გენერალ ფულხენსიო ბატისტას საჯარო გასამართლებას, რომელიც რევოლუციური სასამართლოს მიერ ბრალდებული იყო მრავალ დანაშაულში. გადაჭედილ სტადიონზე, მთელი მსოფლიოს ჟურნალისტთა თანდასწრებით სასამართლო მთელი ღამე გაგრძელდა. გამთენიისას გენერალს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. რამდენიმე დღეში იგი დახვრიტეს“(26). გენერალი ფულხენსიო ბატისტა რევოლუციონერმა ფიდელ კასტრომ შეცვალა! მაშინ ფიდელი განმათავისუფლებელი გმირი იყო, რომელსაც გვერდს ლეგენდარული ჩე გევარა უმშვენებდა. ფიდელ კასტროს შემდგომი პოლიტიკური კარიერა და მისი პიროვნების განვითარება კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა ლათინოამერიკული დიქტატორის ფენომენისა.

აქვე გვინდა შევეხოთ სტატიას „მოგონებანი კუბის რევოლუციაზე“, რომელიც იწყება ფრაზით: „რევოლუციამდე არასოდეს დავინტერესებულვარ კუბით. კუბა ხომ იმ ეპოქის ადამიანებისათვის ერთი დიდი და ფანტასმაგორიული ბორდელი იყო“ (27). ერთი ფრაზით დახატულია მთელი ეპოქა და კუბისადმი მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილის მიდგომა. ასევე ამომწურავად და ლაკონიურად აღწერს იმ დროის ჰავანის ფანტასმაგორიულ ცხოვრებას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ

ეს მცდარი წარმოდგენები ხელს უშლიდა ამ „თითქმის მითიური ქვეყნის“ რეალობის შეცნობას.

სტატიაში თანდათანობით, პირადი შთაბეჭდილებების, ემოციების და სიტუაციების ფონზე აშკარა ხდება, თუ როგორ მომზადდა კუბის რევოლუცია, იკვეთება პორტრეტები ადამიანთა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ თუ ქმნიდნენ ამ რევოლუციას. უშუალოდ, სიყვარულით იხატება არა მხოლოდ კუნძულის, არამედ მთელი კონტინენტის ცხოვრება და სატკივარი – დიქტატურიზმის ფენომენი. გარისა მარკესის შემოქმედებაში კულმინაციას ეს თემა რომანში „პატრიარქის შემოდგომა“ აღწევს.

როდესაც პარიზის იაფფასიანი სასტუმროს ფანჯრიდან უთენია თავი გამოყო ნიკოლას გილიენმა (კუბური პოეზიის კლასიკოსი) და მთელი ხმით დაიძახა: „ტიპი ჩამოაგდეს“ – ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა პიედისტალიდან ჩამოგდებულში თავიანთი დიქტატორი იგულისხმა და გაიხარა. ნიშანდობლივი ფაქტორი – ყველამ ერთად გაიხარა! ანუ, სენი საერთოა. ორი კვირის თავზე გარსია –მარკესი რეპორტიორების არმოასთან ერთად ჰავანის ქაოსსა და ციებ-ცხელებაში აღმოჩნდა. ბელეტრისტისა და ჟურნალისტის გაწაფული თვალი კარგად ამჩნევს მსგავსებას და, რა უფრო მნიშვნელოვანია, სხვაობას ამ რევოლუციასა და ერთი წლის წინ ვენესუელაში მომხდარ ამბოხებას შორის: „ვენესუელაში ანტაგონისტურად განწყობილი პარტიების მიერ დაწყებულმა აჯანყებამ, რომელსაც მხარს უჭერდა შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი, დაამხო დესპოტური კამარილია, ხოლო კუბაზე აზვირთებულმა გლეხთა ტალღამ, გრძელ და მძიმე ომში დაამარცხა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც ასრულებდნენ საოკუპაციო ჯარის ფუნქციებს. ეს იყო ძირეული განსხვავება, რომელმაც ალბათ, განაპირობა ორი ქვეყნის საპირისპირო განვითარება“ (27). ამის შემდეგ გარსია-მარკესი კუბის ხშირი სტუმარი და თაყვანისმცემელია.

სტატია პირველად ჟურნალ „კასა დე ლას ამერიკასში“ (1977წ., ჰავანა) გამოქვეყნდა. ამ წერილში კონტინენტის მაჯისცემა ისმის.

კუბის დიქტატორის, ფულხენსიო ბატისტას ბედი მარკესისათვის რეალობის საშინელ გაკეთილად იქცა და წლების შემდეგ აისახა პატრიარქის უკვე განზოგადებულ, მაგრამ არანაკლებ გამაოგნებელ რეალობაში. დიახ, „აისახა“ ის, რაც იყო და რაც არის განმაცვიფრებელი ლათინურ ამერიკაში. არც ერთი სიტყვა ზედმეტი. დიახ, არც ერთი სიტყვა ზედმეტი – სწორედ ის, რაც მარკესის უდიდეს ოსტატობას განსაზღვრავს, ყოველისმომცველი ლაკონიურობა: ერთ ფრაზაში ჩატეული დახასიათება, მარჯვედ შერჩეული სიტყვა, რომელიც ასევე ზუსტად აღწევს მიზანს და უშეცდომოდ ასახავს პიროვნებისა თუ მოვლენების არსს.

პატრიარქის ფანტასმაგორიულ განზოგადებამდე, უფრო ზუსტად კი სინთეზამდე, მწერალი და პუბლიცისტი გარსია მარკესი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა, ქმნიდა რა ამ თემაზე მოთხრობებს სხვადასხვა სტილით დაწერილს. ეს ძიების პროცესი იყო, რასაც თავად ავტორი „ტექნიკურ, სტრუქტურულ და სტილისტურ“ ექსპერიმენტებს უწოდებს. ამ სტილისტური ექსპერიმენტის შედეგად „კოლექტიური მონოლოგი დაუპირისპირდა დიქტატორის ინდივიდუალურ მონოლოგს“(26). ეს არსობრივი ხასიათის მიგნებაა და არა მხოლოდ სტილისტური ან, თუ გნებავთ, ჟანრობნრივი მეთოდი. იგი მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვის მატარებელია. „მრავლისა“ და „ერთის“ დაპირისპირება, მათი ჭიდილი, ხან აშკარა და ხანაც ფარული ფრიად საგულისხმოა. ის ერთი კი მრავლის განსახიერებაა, მისგან გამოცალკევებული, მაგრამ მაინც „მრავალზე“ დამოკიდებული. თუმცა ის „მრავალიც“ ამ „ერთით“ არსებობს, ისინი ურთიერთგანპირობებულნი არიან. „მრავლისა“ და „ერთის“ ეს ორგანული, მეტიც, გენეტიკური კავშირი, მაგრამ უკვე კონკრეტულზე დაფუძნებული, უბრწყინვალესად წარმოაჩინა გარსია მარკესმა სტატიაში „ორი ჩაეესის გამოცანა“(27).

ამ სტატიის სათაურიც ზემოხსენებული თუზისის არგუმენტაციას წარმოადგენს. „ორი ჩაეესი“ – რა თქმა უნდა, არ არის ორი სხვადასხვა პიროვნება, ეს ერთი და იგივე პერსონაჟის ორი იპოსტასია. „მრავალი“ და „ერთი“ შერწყმულია ერთ ინდივიდში. სტატიის მთელი ფილოსოფია უკვე სათაურშივე ლაკონიურად არის გადმოცემული და ძლიერ „აინტრიგებს“ მკითხველს. „ინტრიგის“ ეფექტი სიტყვით „გამოცანა“ ძლიერდება და ძალაუნებურად ერთვები ამ გამოცანის ამოხსნის პროცესში, რომელსაც დიდი პუბლიცისტი გვიამბობს. სათაურიდანვე მკითხველის „დაინტრიგება“ გარისია მარკესის შემოქმედებაში კარგად აპრობირებული ხერხია (გავიხსენოთ თუნდაც რომანი „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“), რომელიც უტყუარად მოქმედებს და შესაბამისად, შედეგიც ამართლებს. უდიდეს ოსტატობას მიეწერება ის, რომ მარკესი სათაურშივე (ან პირველივე ფრაზაში) გვაძლევს „გამოცანის“ პასუხს და ამით უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის სტატიასა თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებს.

სათაურში ან დასაწყისშივე კვანძის შეკვრას და იქვე პასუხის გაცემას ტავისი დატვირთვა გააჩნია. წერილში „ქრონიკის ქრონიკა“ (Cambio, 15-22 de mayo del 2000 Revista Cambio.com.). მარკესი შემდეგნაირად ხსნის და ასაბუთებს ამ მეთოდს: „გადაახტე გვერდებს, რათა დროზე ადრე გაშიფრო დასასრული, ეს არის მორალური სისუსტე, რომელსაც თავად კეთილსინდისიერება ჩქარობს, რომ დასაჯოს. ამ ამხრივ, დეტექტიური კინო ერთი ნაბიჯით წინ არის: მაყურებელს ურჩევნია, რომ ის საიდუმლოს გამჟღავნებისას სახტად არ დარჩეს. ანუ: მადლიერებას მაყურებელი გამოთქვამს არა იმიტომ, რომ იპოვეს მპკლული და მკვლელი, არამედ იმიტომ რომ ის ხელჩაკიდებული მიჰყავთ ინტრიგის ლაბირინთებში, რომ საიდუმლოს გამჟღავნების თანამონაწილე გახდეს“(10). ანუ, მარკესს შედეგზე მეტად აინტერესებს „რატომ“. სწორედ ამ „რატომს“-ს იკვლევს იგი და ძალზედ ოსტატურად აიძულებს მკითხველს კი არ გადაახტეს

ე უაღრესად მნიშვნელოვანია გარსია მარკესის პუბლიცისტიკაში. თხრობა „დიქტატორის მარტოხელა მონოლოგზეა“ აგებული. თხრობის ეს ფორმა გარსია მარკესმა უარყო რომანისათვის „პატრიარქის შემოდგომა“. იგი უფერული და სწორხაზოვანი აღმოჩნდა მხატვრული ნაწარმოებისათვის, მაგრამ ჩინებულად მოერგო პუბლიცისტურ (პორტრეტის) ჟანრს და მისცა ავტორს საშუალება კონკრეტული პიროვნების მაგალითზე ეჩვენებინა, თუ როგორ ყალიბდება პატრიოტულად შემართული მგზნებარე და რომანტიკული ახალგაზრდისაგან დიქტატორი – ლათინოამერიკული ისტორიის კლასიკური პერსონაჟი.

ცხოვრება რომ თავად სასწაულია, ამას ჩავესის მიერ განვლილი გზაც მოწმობს, უფრო ზუსტად, მის მიერ განვლილი გზა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლათინელები სასწაულებრივ კონტინენტზე ცხოვრობენ და თავად არიან გასაოცარი მოვლენების ავტორებიცა და შემსრულებლებიც. ნიშანდობლივია, რომ გარსია მარკესის სტატიის გმირი უგო ჩავესი ამას თავადაც მშვენივრად აცნობიერებს.

თავისი ცხოვრების ისტორია უგო ჩავესმა გარსია მარკესს თვითმფრინავში მოუთხრო, როდესაც ისინი ჰავანიდან კარაკასში ბრუნდებოდნენ.

სტატიის კომპოზიცია საკმაოდ მარტივი და გარსია მარკესისთვის არატიპიურიც კია. სტატია, პრაქტიკულად, ჩავესის მონოლოგს წარმოადგენს ავტორისეული კომენტარების გარეშე. თავად ეს მონოლოგი ინფორმაციულადაც და ემოციურადაც საკმაოდ დატვირთულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ფორმა, რომელიც მაესტრომ შემოგვთავაზა არ არის შემთხვევითი. უგო ჩავესის ცხოვრებაც და მისი თხრობის ფორმაც ბრწყინვალე დასტურია გარსია მარკესის თეზისა, რომ ცხოვრება ბევრად უკეთესი შემოქმედია, ვიდრე ნებისმიერი ხელოვანი და რომ შემოქმედის

მოვალეობა მხოლოდ მოცემული რეალობის სწორად ასახვაა (იხ. სტატია „რეალობა და ფანტაზია ლათინურ ანერიკასა და კარიბებზე"). დიდმა ხელოვანმა უმარტივესი კომპოზიციური წყობითაც ბრწყინვალედ გაართვა თავი რთულ ამოცანას. უგო ჩავესის მონოლოგი არ არის „დამუშავებული" პროფესიონალი მწერლის მიერ, ესეც როდია შემთხვევითი. თხრობა უფრო ცოცხალი, მიმზიდველი და გასაგები ხდება.

პირველ შთაბეჭდილებას ჩავესის პიროვნებისა და მისი მონათხრობის შესახებ გარსია მარკესი შემდეგნაირად იხსენებს: „ეს კარგი გამოცდილება იყო გადამდგარი რეპორტიორისათვის. როდესაც იგი მომითხრობდა თავის ცხოვრებაზე, ჩემ წინაშე თანდათანობით იკვეთებოდა პიროვნება, რომელიც არანაირად არ შეესაბამებოდა იმ დესპოტის სახეს, რომელიც ჩვენ შეგვექმნა მედიის საშუალებით. ეს სხვა ჩავესი იყო, მაგრამ რომელი მათგანი იყო ნამდვილი?"

ნამდვილი კი ორივე ჩავესია: დესპოტიც და ჰუმანისტიც, ტირანიც და კაცთმოყვარეც, თავად მეამბოხე, მაგრამ ამბოხის ჩამხშობიც. არც არის გასაკვირი. ის ტიპური ლათინოამერიკელია – შეუთავსებლის უმტკივნეულოდ და ორგანულად შემთავსებელი.

ჩავესის არცთუ შორეული წარსული ორი სიტყვით ხასიათდება: კონსპირატორი და მეამბოხე. მაგრამ ეს განმარტება, ეს ორი მახასიათებელი მიესადაგება არა მხოლოდ ჩავესს და არა მხოლოდ ვენესუელას, არამედ მთელს ლათინურ ამერიკას, მის ისტორიას. ჯანყი და სახელმწიფო გადატრიალება – ამ გზით მოსული მმართველი ქვეყნისა, გარკვეული პერიოდის შემდეგ იმავე ხერხით იცვლება. დღემდე ამ კონტინენტის გარკვეულ ნაწილს დიქტატორები მართავენ: სახელმწიფო გადატრიალება, ფერი „ხაკი", დიქტატორი – ლათინოამერიკული ისტორიის კონსტანტა, მოდიფიცირებული დროის და ეპოქის შესაბამისად. და, რაც ნიშანდობლივია, ყოველი მომავალი

დიქტატორი უკეთილშობილესი მიზნებით ახდენს გადატრიალებას და დემოკრატიის დროშის ფრიალით მოდის სახელმწიფო სათავეში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფენომენზე ბევრი თქმულა და კიდევ უფრო ბევრი დაწერილა, დაწყებული ესპანელი რამონ დელ ვალიე-ინკლანის „ტირან ბანდერასიდან“ ახალი პლეადის ლათინოამერიკელ მწერალთა შედევრებით დამთავრებული.

მართალია, გარსია მარკესის მონათხრობი კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიას ეხება, რადგან ინდივიდუუმის ისტორიაში იგი ხედავს კოლექტიურს, ანუ დიდ ისტორიას. ეს იმდენად ტიპიური მოვლენაა, რომ შეიძლება ითქვას, საქმე გვაქვს ზოგად ლათინოამერიკულ პერსონაჟთან. ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ ამაშია პუბლიცისტ გარსია მარკესის ოსტატობა: უაღრესად კონკრეტულ, პიროვნულ მაგალითზე დაგვანახოს ზოგადი და კანონზომიერი და შემდგომ ამისა კანონზომიერების გასაღები იპოვოს.

მივუბრუნდეთ ამ კონკრეტული ადამიანის ბიოგრაფიას. უღარიბესი ოჯახის შვილს, რომელსაც ცხრა წლის ასაკიდან უწევდა ლუკმაპურის საკუთარი ოფლით მოპოვება, ხელთ ჩაუვარდა წიგნი, რომლის სათაურმაც იგი მოაჯადოვა: „როგორ გავიმარჯვოთ ცხოვრებაში“. ეს ფრაზა გახდა ჩავესის კრედო და დევიზი, რომლისთვისაც არასოდეს უღალატია.

1992 წლის აჯანყება იყო ერთადერთი, რაც უგო ჩავესს ცუდად გამოუვიდა. მაგრამ ამ მარცხშიც კი იმ დროს ჯერ კიდევ პოლკოვნიკმა ჩავესმა განგების მეორე მხარე დაინახა და პოზიტიურად შეაფასა იგი. ჩავესის ამ თვისებას, რომ მარცხშიც კი დადებითი დაინახოს გარსია მარკესი ასე ხსნის: ეს არის მისი მანერა ამგვარად გაიგოს იღბალი, ან ჭკუა, ან ინტუიცია, ან სიეშმაკე, ან ნებისმიერი რამ, რაც იქნებოდა ჯადოსნური ქროლვა, რომელიც მართავდა ყოველ მის ქმედებას მას შემდეგ, რაც ის მოევლინა

ქვეყანას 1954 წლის 28 იელისს შტატ ბარინასის ქალაქ საბანეტაში ლომის ზოდიაქოს ნიშნით. თავად ჩავესი, მორწმუნე კათოლიკე, ბედის კეთიგანწყობას მიაწერს თილისმას, რომელიც ასზე მეტი წლისაა და რომელსაც იგი ბავშვობიდან ატარებს. თილისმა ერგო მემკვიდრეობით დედის მხრით ბაბუის მამისაგან – პოლკოვნიკ პედრო პერეს დელგადოსაგან. ჩავესი საგანგებოდ აღნიშნავს მფარველი ამულეტის ძალა. ნუთუ უგო ჩავესი, ვენესუელის პრეზიდენტი, დიქტატორი, ყოველმხრივ განსწავლული და განათლებული ადამიანი ასე ცრუმორწმუნეა და სჯერა სასწაულებისა და ამულეტებისა? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სჯერა, რადგან იგი ლათინოამერიკელია, სჯერა, რადგან სასწაული გენეტიკურ კოდში დევს და ამ გენეტიკამ განაპირობა მისი უწევეულო აღზევება. ასე რომ არ იყოს, იგი ვერ გახდებოდა გარსია მარკესის გმირი, რადგან ნამდვილი ლათინოამერიკელისათვის სასწაული ცხოვრების წესია, ყოველდღიურობაა და, აქედან გამომდინარე, გაკვირვებას არ იწვევს. ამ ლათინოამერიკულ სასწაულებს დიქტატორი ჩავესი უფრო ბედის ირონიად აღიქვამს: „მისი პირველი გაცნობიერებული კონფლიქტი რეალურ პოლიტიკასთან იყო ალიენდეს სიკვდილი 1973 წლის

სექტემბერში, ჩაესი გაოგნებული იყო: თუ ჩილელებმა აირჩიეს ალიენდე, მაშ რატომ უნდა ჩამოაგდონ ახლა იგი სამხედროებმა? ცოტა ხნის შემდეგ ასეულის კაპიტანმა მისცა დავალება, ეთვალთვალა ხოსე ვისენტე რანხელის შვილისათვის, რომელზედაც ეჭვობდნენ, რომ კომუნისტი იყო. „ნახე, როგორ ბრუნავს ცხოვრება – მითხრა ჩავესმა და გადაიხარხარა – ახლა მისი მამა ჩემი პრემიერ მინისტრია“. მაგრამ კიდევ უფრო ირონიული ის არის, რომ, როდესაც უმაღლესი სასწაულებელი დაამთავრა, ხმალი იმ პრეზიდენტისგან – კარლოს ანდრეს პერესისაგან მიიღო, რომლის ჩამოგდებასაც ის შეეცდება ოცი წლის შემდეგ (27). მართლაც, რომ ბედის ირონიაა (ჩამოგდებულისათვის) და სასწაულიც (ჩამომგდებისათვი) – ასკვნის გარსია მარკესი. ლათინოამერიკელი დიქტატორის ფენომენი ურთულესია: ხალხის წიაღიდან გამოსული, გულწრფელი მიზნებით აღსავსე, პატრიოტი, თავის ხალხთან და ქვეყანასთან შესისხლხორცებული, თავის მიწის და მისი ისტორიის განვითარების ბუნებრივი პროდუქტი. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას გარსია მარკესი, როდესაც ამბობს: „პირველივე წუთებიდან მე მივხვდი, რომ ის გულწრფელი მთხრობელი იყო“ (27). ამ თხრობაში კი ნათლად გამოიკვეთა ჩაესის განათლებაც და ნიჭიც. „მას აქვს დროის მართვის დიდი უნარი, თითქმის ზებუნებრივი მეხსიერება, რაც აძლევს საშუალებას ზეპირად თქვას უიტმენისა და ნერუდას პოემები, რომულო გალიეგოსის მთელი გვერდები“.

მარკესისეულ ლაკონიურ, მაგრამ ტევად ფრაზებშია მოქცეული უგო ჩაესის მიერ განვლილი გზა, სიტყვის დიდოსტატი ახერხებს ერთი პუბლიცისტური სტატიის ფარგლებში გამოძერწოს არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების უაღრესად მეტყველი სახე, არამედ ისიც დაგვანახოს, თუ რამდენად ტიპიურია იგი ლათინური ამერიკისათვის. ამის დასტურად მოვიყვანთ ერთ ფრაგმენტს სტატიიდან.

ჯერ კიდევ ყმაწვილკაცმა, სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ მისი დიდი პაპა იყო არა შარაგზის ყაჩაღი, როგორც ამას დედამისი ამტკიცებდა, არამედ ხუან ვისენტე გომესის (ცნობილი დიქტატორი) დროინდელი ლეგენდარული მებრძოლი. დიდი პაპის სახელის აღსადგენად ახალგაზრდა ჩაესმა წიგნის დაწერა განიზრახა და მასალის შეგროვება დაიწყო. გაუჩხრეკავი არ დარჩენია არც ისტორიული არქივები და არც სამხედრო ბიბლიოთეკები. სოფლიდან სოფელში დადიოდა პაპის მარშრუტის დასადგენად და შემორჩენილ მოწმეებთან შესახვედრად. ერთხელაც, ამ ხეტიალისას, სრულიად გაუთვიცნობიერებლად არაუკას ხიდზე საზღვარი გადაკვეთა, კოლუმბიელმა კაპიტანმა ჩანთა შეუმოწმა. შიგ აღმოჩნდა ფოტოაპარატი, ჩამწერი, რეგიონის ფოტოები, სამხედრო რუქები, დაშიფრული ქაღალდები, „ყალბი“ დოკუმენტები, ორი პისტოლეტი და ა. შ. მესაზღვრემ სავსებით ლოგიკურად დაასკვნა, რომ ჩაესი ჯაშუში იყო. საქმის გარჩევა მიმდინარეობდა ოთახში, რომლის კედელსაც ცხენზე ამხედრებული სიმონ ბოლივარის პორტრეტი ამშვენებდა. რამდენიმე საათიანი უშედეგო კამათის შემდეგ, უკვე დანებებულმა ჩაესმა თქვა: „ნახეთ, კაპიტანო, რა არის ეს ცხოვრება. ერთი საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთი ჯარი ვიყავით, და ის, ვინც ჩვენ ახლა ამ სურათიდან გვიყურებს, ორივეს გვწინამძღვრობდა. როგორ შეიძლება მე ვიყო ჯაშუში?“(27).

ლათინოამერიკელთა საკრალურმა ფრაზამ, წარმოთქმულმა არა თავის დასაძვრენად, არამედ, ტკივილნარევი გულწრფელობით, სიღრმისეულად, ყველაფერი შეცვალა. იმ ღამეს ორივე ლათინოამერიკელმა ერთად მოილხინა. სიმონ ბოლივარმა, ანუ თავისუფლებამ და ერთობამ იხსნა იმ დღეს ჩაესი. ბოლივარი – თავისუფლება – ერთობა – ეს კონტინენტის ბედისწერაა, რომელიც თან სდევს თითოეულ ლათინოამერიკელს – რიგითი მწყემსიდან დაწყებული უსასტიკეს დიქტატორამდე.

ამ ეპიზოდმა ახალი ფურცელი გადაშალა ჩაეესის ცხოვრებაში. მისივე სიტყვებს მოვიშველიებთ: „მაშინ მომივიდა აზრად სრულიად კონკრეტული იდეა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად ვენესუელაში“. ნამდვილად წააგავს ეს შექსპირისეულ ფრაზას „რაღაც რიგზე ვერ არის დანიის სამეფოში“. ჩაესი უზადო, კანონმორჩილი სამხედრო გახლდათ, მაგრამ ზნეობრივად და მორალურად წინააღმდეგობრივმა გარემოებამ იგი ღრმად დაარწმუნა ერთ რამეში: მისი, უგო ჩაესის დანიშნულება იყო საფუძველი ჩაეყარა მოძრაობისათვის“. მან ეს გააკეთა ოცდასამი წლისამ. შექმნა „ვენესუელელი ხალხის ბოლივარიანული არმია“. ამ არმიის დამაარსებლები იყვნენ ხუთიოდე ჯარისკაცი და თავად ჩაესი პოდპოლკოვნიკის რანგში. შეკითხვაზე, თუ რას ისახავდა მოძრაობა მიზნად, მარკესმა მეტად მარტივი პასუხი მიიღო: „მოვემზადებულიყავით, ყოველი შემთხვევისათვის, თუ რამე მოხდებოდა“. ერთი წლის თავზე ჩაესმა დიდი კონსპირაციული საქმიანობა გააჩაღა. საერთო საქმისადმი უფრო და უფრო მეტ მოხალისეს იზიდავდა.

უდავოდ ყურადღებამისაქცევია მოხალისეთა კონსპირატიული არმიის სახელწოდება: „ბოლივარიანული“ ანუ განმათავისუფლებელი. განთავისუფლების სიმბოლო ხომ, უწინარეს ყოვლისა, სიმონ ბოლივარია და კვლავ პარადოქსი: ბოლივარი, კონტინენტის ესპანელთაგან განთავისუფლების შემდეგ, არა მხოლოდ უარყვეს, არამედ განდევნეს კიდეც. ამ პარადოქსის ამსახველი უბრწყინვალესი ეპიზოდი გვინდა გავიხსენოთ რომანიდან „გენერალი თავის ლაბირინთში“(25). არც თუ ბებერი, მაგრამ დაუძლურებული და ავადმყოფი სიმონ ბოლივარი, უკვე განდევნილი, უარყოფილი, აბუჩად აგდებული, თანამოძმეთა მიერ უდროოდ ისტორიას ჩაბარებული, თითქოსდა საკუთარი სურვილით ტოვებს კონტინენტს, მაგრამ სინამდვილეში ვერ ელევა მას და ეს დატოვების აქტი ქვეყნიდან ქვეყანაში, ზღვიდან ზღვაში ხეტიალის გაუთავებელ პროცესად იქცევა. ერთხელაც, ღონემიხდილი, თბილად შეფუთული ოდესღაც

უშიშარი რაინდი, მზეს მიფიცხებული თვალს მოჰკრავს ელეგანტურ გემს, რომელიც ამაყად მიაპობს ტალღებს და რომლის სახელსაც იგი მკაფიოდ გაარჩევს: „განმათავისუფლებელი“. გაუცხოებას იგრძნობს მაშინ გენერალი ბოლივარი და გაიფიქრებს: „წარმოგიდგენიათ, ეს ხომ მე ვარ“ (25,153). მან თავისი კერპის – ნაპოლეონ ბონაპარტის ბედი გაიზიარა.

მივუბრუნდეთ უგო ჩავესის ისტორიას. 1982 წელი. ჩავესი განაგრძობს „საერთო საქმისათვის“ ხალხის მიზიდვას. სწორედ ამ დროს ხდება მნიშვნელოვანი რამ. კაპიტნის რანგში მყოფ ჩავესს პოლკის მეთაური წარგზავნის, რათა წარმოთქვას სიტყვა ათას ორასი ადამიანის წინაშე. აი, როგორ აღწერს გარსია მარკესი ჩავესის გამოსვლას: „ეს იყო ბოლივარისა და მარტის იდეებით შთაგონებული მოკლე სიტყვა, მაგრამ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ლათინური ამერიკის დიქტატორთა წინააღმდეგ მიმართული. ოფიცრებმა, მისიანებმაც და არამისიანებმაც, აუღელვებლად მოუსმინეს. მათ შორის იყვნენ კაპიტნები ფელიპე აკოსტა და ხესუს ურდანეტა ერნანდესი, რომლებიც თანაუგრძნობდნენ მოძრაობას. გარნიზონის მეტად უკმაყოფილო უფროსმა, ყველას გასაგონად უსაყვედურა ჩავესს: „ჩავეს, ვგონებ თქვენ პოლიტიკოსი ბრძანდებით“. – „გასაგებია“ – უპასუხა ჩავესმა (27). ამ ეპიზოდშიც და საერთოდ, მთელს სტატიაში იგრძნობა პუბლიცისტის დიდი სიმპათია ჩავესისადმი; აქ კვლავ თითქოსდა ამოუხსნელ პარადოქსს ვაწყდებით: დღევანდელი ჩავესი ხომ დიქტატორია, ტირანი, მაშ, რატომ ჰყვება მის ისტორიას ასეთი სითბოთი და აშკარა თანაგრძნობით ისეთი ჰუმანისტი, როგორიც გარსია მარკესია? შეიძლება მასში ბოლივარის იდეების მატარებელსა და გამგრძელებელს ხედავს, ან იქნებ მხოლოდ ადამიანური: პიროვნული და კაცური თვალსაზრისით ცდილობს მის გაგებას, რათა შემდგომ განაზოგადოს ლათინური ამერიკის ეს ტიპიური ისტორიული პერსონაჟი, რომელსაც დიქტატორი ჰქვია? ორივე ახსნა სავსებით მისაღებია. უნდა აღინიშნოს, რომ

ლათინოამერიკელი დიქტატორის პიროვნებაში ამ ორი, ერთი შეხედვით შეუთავსებელი საწყისის ერთიანობაზე ბევრი მეცნიერი კამათობს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ეს ფენომენი, რეგრესი თუ პროგრესი, ძალადობა თუ საჭიროება, დღემდე გადაუჭრელია. უთუოდ ლათინოამერიკელი უნდა იყო, რომ „შეუთავსებლის შეთავსებულობა“ გაიაზრო და გაითავისო, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და გარსია მარკესის პოზიციაც სავსებით ნათელი გახდება.

მივუბრუნდეთ ზემოხსენებულ ეპიზოდს. აღწერილი დიალოგის შემდეგ გოლიათური აღნაგობის ფელიპე აკოსტა გაიჭიმა გარნიზონის უფროსის, პოლკოვნიკ მანრიკეს წინ და უთხრა: „თქვენ ცდებით, მეთაურო, ჩვენსი არავითარი პოლიტიკოსი არ არის. ის ახალი თაობის კაპიტანია და როდესაც თქვენ ყველანი ისმენთ, რაც მან თქვა, ქვეშ იფსამთ“ (27).

ეს იმდენად მარკესისეული ფრაზაა, რომ მკითხველს შეიძლება ეჭვიც კი შეეპაროს, ხომ არ არის იგი გარსია მარკესის ფანტაზიის ნაყოფი? არა, ყოველივე რეალურია, სტენოგრაფიული სიზუსტით აღწერილი.

აქ უპრიანია გავიხსენოთ გარსია მარკესის სიტყვები სტატიიდან: „რეალობა და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“.

„... რეალობა უკეთესი მწერალია, ვიდრე ჩვენ“. გარსია მარკესის სტილი – ლათინური ამერიკის სტილია. იგი ხომ თავად აღიარებს, რომ ყოველი მისი ფრაზის უკან ნამდვილი ამბავი, ცოცხალი პერსონაჟი დგას. ხოლო ამ რეალობების თავმოყრას და ანალიზს მოსდევს ზოგადი კანონზომიერებების დაფიქსირება და იქმნება ისეთი უკვდავი და ყოველი ლათინოამერიკელისათვის მტკივნეულად ცოცხალი განზოგადება, როგორიც არის პატრიარქი რომანში „პატრიარქის შემოდგომა“ – არქეტიპი დიქტატორისა.

და ისევე კონკრეტული ისტორია: ჩაესი თავისი თანამოაზრეებით. მას შემდეგ, რაც ფელიპე აკოსტამ წარმოთქვა ქრესტომატიულად მარკესისეული სიტყვები, პოლკოვნიკმა მანრიკემ სწორებაზე დააყენა ჯარი და შემდეგნაირად დაიძვრინა თავი უხერხული სიტუაციიდან: „მინდა იცოდეთ, რომ ყოველივე თქმული კაპიტან ჩაესის მიერ, ჩემ მიერ იყო ნებადართული“... ეფექტური პაუზის შემდეგ ამ სცენას ბრძანებამ დაუსვა წერტილი: „ეს ამბავი აქაურობას არ გასცდეს“ (27).

იმავე საღამოს, გარნიზონიდან ათ კილომეტრში, კაპიტნებმა ჩაესმა, აკოსტამ და ურდანეტამ „სიმონ ბოლივარის საზეიმო ფიცი“ დადეს, მხოლოდ ერთი „დეტალის“ განსხვავებით: „იმის მაგივრად, რომ გვეთქვა სანამ არ დავამსხვრევეთ იმ ჯაჭვს, რომელიც ჩვენ გვთრგუნავს ესპანელთა ძალაუფლების ნებით“, ვთქვით: „სანამ არ დავამსხვრევეთ ჯაჭვს, რომელიც ჩვენ გვთრგუნავს და თრგუნავს ხალხს ძალაუფლების მქონეთა ნებით“ (27). იმ დღიდან მოყოლებული, ყველა ოფიცერი, ვინც კი მოძრაობას უერთდებოდა, ამ საზეიმო ფიცს დებდა.

მოძრაობამ ფართო, მასშტაბური სახე მიიღო, მთელი ვენესუელა მოიცვა. განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავს ჩაესი იმ ფაქტს, რომ წლების განმავლობაში, არა მარტო სამხედროებისაგან შემდგარმა ორგანიზაციამ ისე იარსება იატაკქვეშეთში და ისე ატარებდა უზარმაზარ ყრილობებს, რომ მის არსებობაზე ხელისუფლებას ეჭვიც კი არ აუღია.

განთავისუფლების დიდი იდეა სოციალურ ელფერს იძენს. მონაწილეთა გულწრფელობაში არავის ეპარება ეჭვი, არც გარსია მარკესს, რომელიც გულისყურით ისმენდა დიქტატორის ამ აღსარებას თვითმფრინავში. ხალხის წიაღიდან გამოსულ მოღვაწეთა კეთილშობილი მიზნები ახალგაზრდული ენთუზიაზმითა და იდეალიზმით იყო გამაგრებული და ფრთაშესხმული, რომ არა ეს

ფაქტორი, ისინი ვერ შეძლებდნენ მთელი ქვეყნის გადაბირებას. ჩაესი ბედისაგნ გამორჩეული იყო.

და აი, დადგა საბედისწერო მომენტი. 1989 წლის 27 თებერვალს სპონტანურად იფეთქა სახალხო აჯანყებამ. ჩაესი მოუმზადებელი აღმოჩნდა. შედეგიც უმკაცრესი იყო: გაცამტვერებული კარაკასი, სისხლის ნიაღვრები, დახოცილთა მთები, რომელთა შორის ფულიპე აკოსტაც აღმოჩნდა. ჩაესი ხშირად იმეორებდა საყვარელ ფრაზას: „ნაპოლეონმა თქვა, რომ ბრძოლის ბედი სტრატეგის აღმაფრენის მომენტში წყდება“(27). იმ მომენტში ჩაესს აღმაფრენამ უმტყუნა, მაგრამ სწორედ იმ მოულოდნელობამ და იმ დამარცხებამ მიახვედრა ჩაესი: „ეს ის წუთი იყო, რომელსაც ველოდით, რათა დაგვეწყო მოქმედება“. სამი წელი იწრთობოდა მორიგი გადატრიალება, უკვე ჩაესის მეთაურობით.

ამ ეპიზოდზე გარსია მარკესისა და უგო ჩაესის საუბარი, უფრო ზუსტად კი ვენესუელის პრეზიდენტის აღსარება, წყდება. თვითმფრინავი კარაკასის აეროპორტში დაეშვა. დილის სამი საათი იყო. „კარიბულად“ გადაეხვია ჩაესი გარსია მარკესს და უთხრა: „შევხვდებით ერთმანეთს აქ 2 თებერვალს“. მან ბრჭყვიალა ეპოლეტებიან სამხედროთა ესკორტით და ძველი მეგობრებით გარშემორტყმულმა დასტოვა აეროპორტი. მარკესი კი, რომელმაც სამი დაუვიწყარი წელი გაატარა ამ ზღაპრულ ქალაქში, დაფიქრებული და აფორიაქებული გაჰყურებდ მას და ფიქრობდა: „მე შემძრა იმ აღმოჩენამ, რომ ვიმგზავრე და დიდი სიამოვნებით ვესაუბრე ორ საპირისპირო ადამიანს: ერთს, რომელსაც უმოწყალო ბედი თავაზობდა შესაძლებლობას გადაერჩინა თავისი ქვეყანა და მეორეს – მეოცნებეს, რომელიც, შესაძლოა შესულიყო ისტორიაში როგორც კიდევ ერთი დესპოტი“ (27).

აი, ასეთია გზა ლათინოამერიკულ პიედესტალამდე და ტიპიური ლათინოამერიკელი დიქტატორი: წინააღმდეგობრივი, ურთიერთ-

მილიონიან მომხრეებს დღეს უკვე მილიონი მოწინააღმდეგენი უპირისპირდებიან. ძალები თანაბარია – ბრძოლა გრძელდება. სხვაგვარად არც შეიძლება: ეს ხომ ერთი მედლის ორი მხარეა.

გარსია მარკესის სტატია „ორი ჩავესის გამოცანა“ თამამად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დიქტატორიზმის ფენომენის კიდევ ერთი გააზრება, ანალიზი, ამოხსნის მცდელობა. უგო ჩავესი აქ უკვე განზოგადებული სახეა, ზოგადლათინოამერიკული პერსონაჟია, შემქმნელი ისტორიისა და თავად ისტორია, რადგან მართლაც პიროვნებები ქმნიან ისტორიას.

ეს ისტორიის შემქმნელი პერსონაჟები, მრავლად არიან გარსია მარკესის შემოქმედებაში, დაწყებული რიგითი მოქალაქიდან პრეზიდენტებით დამთავრებული. მიუხედავად სოციალური თუ სხვა ნიშნისა, ისინი რომანტიკოსები, იდეალისტები და მაქსიმალისტებიც კი არიან. და ამ შემართებით აღტკინებულნი მიაპობენ დროსა და ისტორიას, ქმნიან იმ უნიკალურ სულიერ არელას, რომელსაც ლათინური ამერიკა ჰქვია.

დეტალური ანალიზი სტატიისა „ორი ჩაეცის გამოცანა“ რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, ეს არის დიქტატორისა და დიქტატორიზმის ფენომენის აქტუალობა, რაც, თავის მხრივ, არის ლათინური ამერიკის ისტორია, და, აქედან გამომდინარე, პიროვნების ადგილი და როლი ამ ისტორიაში. სტატიის ანალიზისას ჩვენ ეცდილობდით წარმოგვეჩინა (რა თქმა უნდა გარსია მარკესის კვალდაკვალ) ამ მოვლენისა და პიროვნების ტიპიურობა. მაგრამ, მეორე მხრივ, გვინდა გავამახვილოთ ყურადღება სტატიის ფინალზე: გარსია მარკესს დიქტატორთან საუბრის შემდეგ გაურკვეველი გრძნობები დაეუფლა: უგო ჩაეცსში მან პიროვნება და ადამიანი დაინახა და მკითხველსაც ასეთივე სახით წარუდგინა იგი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნაბიჯი დიქტატორისა, და, საერთოდ ქვეყნის მმართველის სტერეოტიპის მსხვრევისა. სტრეოტიპი კი პირად ურთიერთობაში იმსხვრევა, თუმცა საჯარო სახე მმართველისა არ იკარგება და არც უნდა დაიკარგოს, რადგან მმართველი ქვეყნის სახეა. ხოლო ურთიერთდამოკიდებულება მმართველსა და საზოგადოებას შორის ქვეყნის მდგომარეობის ამსახველია.

აგრეთვე ქვეყნის მმართველს ეხება სტატია „არშემდგარი საყვარელი“(28). ამ შემთხვევაშიც მმართველის სტერეოტიპის მსხვრევა ხდება, მაგრამ უკვე სხვა ტიპის მმართველისა, ვიდრე უგო ჩაეცსი და, შესაბამისად სულ სხვა ხერხებით. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს ყველა იცნობს, მაგრამ როგორც ზესახელმწიფოს პრეზიდენტს და არა როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს. გარსია მარკესის მიზანი იყო გაეცნო ჩვენთვის კლინტონი-ადამიანი და, ამისათვის მან მისი ბიოგრაფიის ერთი პიკანტური, მაგრამ გახმაურებული ეპიზოდი აირჩია: მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებული სკანდალი.

სტატიის დასაწყისი ტიპიურად მარკესისეულია: მარკესი აყალიბებს ბილ კლინტონის პიროვნებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას: „პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს უილიამ ჯეფერსონ კლინტონში, არის მისი აღნაგობა. მეორე – ცდუნების ძალა, რომელიც მისალმებიდანვე აღძრავს ძველი მეგობრის განცდას, მესამე – ჭკუის ბრწყინვალება, რაც იძლევა საშუალებას ელაპარაკოთ მას ნებისმიერ საკითხზე, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, ოღონდ უნდა იცოდე თუ როგორ დასვა შეკითხვა და, მიუხედავად ამისა, მაყანმა, ვისაც იგი არ უყვარს, გამაფრთხილა: „ამ ღირსებათა საშიშროება არის ის, რომ კლინტონი მათ იყენებს რათა დაგარწმუნოთ, რომ არაფერი არ აინტერესებს ისე, როგორც ის, რაზეც ელაპარაკებით“(28) მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, გარსია მარკესის პირველი შთაბეჭდილება პრეზიდენტის პიროვნებიდან არც მომდევნო პერიოდში შეცვლილა.

მარკესის დამოკიდებულება ამერიკელთა პრეზიდენტისადმი ერთი გარემოების გამო იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს: ლათინოამერიკელთა უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება შეერთებული შტატების და ჩრდილოამერიკელების მიმართ, რაც თითქმის გენეტიკურ ხასიათს ატარებს. ამ ფონზე კი გარსია მარკესი აღფრთოვანებულიც კია ბილ კლინტონით. მივყვეთ სტატიას, სადაც ყოველივე ზემოთქმულის მიზეზსაც და საბუთსაც ვნახავთ.

დიდი მწერლისა და პრეზიდენტ კლინტონის პირველი შეხვედრა შედგა 1994 წლის აგვისტოში, მწერალ უილიამ სტაირონის აგარაკზე გამართულ ვახშამზე.

საუბარს ბიძგი კლინტონის ერთმა წინასაარჩევნო ფრაზამ და მასზე გარსია მარკესის რეაქციამ განაპირობა: საყვარელ წიგნად პრეზიდენტმა „მარტოობის ასი წელი“ დაასახელა, რაც გარსია მარკესმა ლათინოამერიკული ელქტორატის გულის მოგების მცდელობად შეაფასა (დასტური მარკესის ფხიზელი თვალისა

ყველასფრის მიმართ, წვრილმანების ჩათვლით) და საჯაროდ გამოთქვა კიდეც თავისი მოსაზრება: ასეთი იყო ამ ორი გამოჩენილი მოღვაწის შეხვედრის წინაპირობა. და თუ გავითვალისწინებთ ლათინელთა არაკეთილგანწყობას ჩრდილოელებისადმი, (რასაც თავისი საფუძველი გააჩნია), მოვლენები ფრიად დაძაბულად უნდა წარმართულიყო. მაგრამ კლინტონმა იგი გენიალური სიმარტივით განმუხტა: „პირველი, რაც მე მან მითხრა „მარტას ვინეიარდში“, მისალმების შემდეგ იყო ის, რომ მისი განცხადება გულწრფელი იყო“,(28) – ამბობს გარსია მარკესი. ამ ფრაზით პრეზიდენტმა განაიარაღა ლათინელები, და არა რიგითი, უბრალო ლათინელები, არამედ კონტინენტის სინდისი გარსია მარკესისა და კარლოს ფუენტესის სახით: „კარლოს ფუენტესს და მე გვქონდა საფუძველი გვეფიქრა, რომ იმ საღამოს ჩვენ გავიარეთ საუკეთესო თავი ჩვენი მოგონებებისა. კლინტონმა ჩვენ თავიდანვე განგვაიარაღა იმ ინტერესით, პატივისცემითა და იუმორის გრძნობით, რომლითაც ის ეკიდებოდა ყოველ ჩვენს სიტყვას, თითქოს ისინი ოქროს ქვიშა ყოფილიყო“(28). ნამდვილად არ ჯდებოდა ამერიკის უკვე ექს-პრეზიდენტი სტერეოტიპის ჩარჩოებში და პუბლიცისტმა საჭიროდ ჩათვალა დაწვრილებით აღეწერა „მარტის ვინეიარდში“ გამართული ვახშამი. საუბარი მრავალფეროვანი და ორივე მხარისათვის საინტერესო გამოდგა: ლიტერატურა, ნარკომაფია, სამხრეთ ამერიკის პრობლემები, კარიბები, როგორც გამორჩეული კულტურული არეალი. გაოცებით და იმავდროულად კმაყოფილებით აღნიშნავს მწერალი პრეზიდენტის მართლაც დიდ და გულწრფელ დაინტერესებას ლათინური ამერიკით, და არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო მეტიც: სამხრეთში, არკანზასის შტატში დაბადებულმა და გაზრდილმა, იქ ჩამოაყალიბებულმა კლინტონმა არ გაუშვა შანსი, რათა თავი კარიბული წარმოშობისად წარმოეჩინა. კარლოს ფუენტესის შეკითხვამ, თუ ვის თვლიდა პრეზიდენტი თავის მტრებად, წერტილი დაუსვა ვახშამს. კლინტონის პასუხი მომენტალური და

საერთო გენეტიკური პარამეტრებით. მას მთელს კონტინენტზე აქვს ფესვები გამდგარი და ამიტომაც არის გარსია მარკესი – კონტინენტის კრებითი სახე.

ახლოდან დანახულმა კლინტონის პიროვნებამ დაარწმუნა გარსია მარკესი თავის შეცდომაში. მაგრამ შეიძლება კი ერთი პრეზიდენტი, მოცემულ ვითარებაში ბილ კლინტონი, მოვიაზროთ უფრო ზოგადად: ჩრდილოამერიკელი პრეზიდენტის კრებით სახედ? გარსია მარკესის პასუხი ამ შეკითხვაზე დადებითია, რადგან ყოველთვის კონკრეტული დევს ყოველი ზოგადის საფუძველში, ასევე იყო უგო ჩაესის შემთხვევაშიც. მრავალი კონკრეტულის ერთობლიობა ქმნის ზოგადს. კლინტონი კი ამ შემთხვევაში ჩინებული „მასალა“ გამოდგა, მათ შორის პიროვნული, ადამიანური თვალსაზრისით, და თანაც „უკულმართი“ ბედის მქონე.

საკმაოდ მკვეთრად, თითქმის რიტორიკული შეკითხვით გადადის მარკესი სტატიის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწილზე, სადაც კლინტონი უკვე შეერთებული შტატების რეალობის ნაწილია, იმ რეალობისა, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ყველას წარმოდგენაში ამ ქვეყნის მიმართებაში. და კვლავ საქმე გვაქვს სტერეოტიპის მსხვრევასთან. სტერეოტიპი კი ასეთია: „ყველაზე თავისუფალი, ცივილიზებული და დემოკრატიული სამყარო“. მაგრამ რეალობა და ჩვენი წარმოდგენა ამ რეალობაზე ძალინ შორს არიან ერთმანეთისაგან. აი, რა კითხვას სვამს გარსია მარკესი: „განა სამართლიანია, რომ ადამიანური არსების ამ იშვიათმა ეგზემპლიარმა გაფლანგოს თავისი ისტორიული დაიშნულება მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იპოვა კუთხე სადაც სიყვარულს მიეცემოდა თავისუფლად“. საქმე, რა თქმა უნდა, მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებულ სკანდალს ეხება. ამ ისტორიის გაშიფრვისას მკაფიოდ იკვეთება, თუ რაოდენ დიდი სიყვარულით, სიმპათიითა და სითბოთი ეკიდება დიდი მწერალი და პუბლიცისტი ყოველ თავის პერსონაჟს, რადგან სწორედ პერსონაჟები ქმნიან ისტორიას: პატარ-პატარა ისტორიებსაც და

ქვეყნის ისტორიებსაც, რაც, საერთო ჯამში კაცობრიობის ისტორიას წარმოადგენს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი პუბლიცისტისათვის თითოეული ადამიანის ბედი: მის უკან მთელი კაცობრიობა დგას.

ერთი შეხედვით ძალზე პირადი, პატარა და უმნიშვნელო ამბავია კლინტონის სასიყვარულო ინტრიგა ლევინსკისთან. მაგრამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემები დასახა გარსია მარკესმა მისი გაშუქებისას. ეს გაშუქება ძალაუნებურად მოხდა, რადგანაც ეს ამბავი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა: ეჭვქვეშ პრეზიდენტის რეპუტაცია დადგა. და ამუშავდა „ბნელეთის მანქანა“: არც ერთი, ყველაზე ინტიმური დეტალიც კი არ დარჩა გამოუაშკარაებელი. დაუნდობელი სისასტიკით იძიებდნენ კლინტონის მსაჯულები ამ ისტორიის ახალ და ახალ დეტალებს, ისტორიისა, რომელიც თითქოსდა ჩვეულებრივი უნდა იყოს მამაკაცის ცხოვრებაში, მაგრამ „პურიტანიზმი – ეს არის გაუმაძღარი მანკიერება, რომელიც საკუთარი განაღლით იკვებება“, – წერს გარსია მარკესი, და აღშფოთებისაგან ძლიერ გამოთქმებსაც არ ერიდება, რადგან თვლის, რომ დანაშაულებრივია შეუსაბამობა XX საუკუნესა

პიროვნება, მაგრამ დესპოტი ჩაესი დღესაც პრეზიდენტის სავარძელში ზის.

მაგრამ ხალხის მოტყუება არცთუ ისე იოლია; საზოგადოებრობის სიმპათიები აშკარად კლინტონის მხარესაა, ხოლო XX საუკუნის ამერიკელი ინკეიზიტორების არ სჯერათ ძუძუმწოვარა ბავშვებსაც კი. მსგავსი რამ არ მოუწყვიათ არც ერთი ამერიკელი პრეზიდენტისათვის, ეს უნიკალური შემთხვევა იყო, მაგრამ, ისევ ისტორიას თუ გადავხედავთ, მსგავსი დევნა გამორჩეულთა ხვედრია. სწორედ რომ ერის გამორჩეულ შვილებს ხვდებათ ყველაზე მეტი ტალახი. გავიხსენოთ თუნდაც იგივე სიმონ ბოლივარის ბედი – ლათინური ამერიკის უპირველესი გმირი, განმათავისუფლებელი, ლაყე კერცხებისა და პომიდვრების სროლით გააძევეს კონტინენტიდან, მან მარტოობაში დალია სული, იგიც გამორჩეულობისა გამო ბოღმისა და შურის მსხვერპლი გახდა. ბილ კლინტონიც ამ სასტიკი კანონზომიერების ჩარჩოებში ჩაჯდა.

უდიდესი სითბოთი, სიმპათიითა და გაგებით საუბრობს გარსია მარკესი კლინტონზე. მისმა პიროვნებამ სრულიად შეცვალა მწერლის წარმოდგენა ამერიკის პრეზიდენტებზე და მან ეს სიმპათია და თანადგომა მკითხველს, ფართო საზოგადოებას გაუზიარა. ნობელის პრემიის ლაურეატის აზრი, და ფორმა, რომლითაც იგი ამ აზრს ავრცელებს, ისადგურებს ჯერ ადამიანთა გულებში და შემდგომ კი გონებაში.

*** *** ***

*** *** ***

კაცობრიობის ისტორიისათვის ღირებულ ადამიანთა ბიოგრაფიები ყოველთვის, ყველა დროსა და ეპოქაში წარმოადგენდა ინტერესის საგანს, რადგან სწორედ პიროვნებები ქმნიან ისტორიას, წარმართავენ მოვლენებს და ადამიანთა გონებას. და ამ შემთხვევაში უკვე თავად ბიოგრაფია ხდებოდა ისტორია, განსახიერებული მოცემული მოღვაწის ქმედებებში, ნააზრევში, საქმიანობასა და ყოფაშიც კი. ერთი სიტყვით, კონკრეტული პიროვნების მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, ხატოვნად გადმოცემული ლიტერატურასა თუ პუბლიცისტიკაში, უფრო ზუსტად და საინტერესოდ ასახავს ეპოქას, ხალხს, ქვეყანას, ვიდრე მშრალი ისტორიული ანალები.

გაბრიელ გარსია მარკესის პერსონაჟებიც სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც ქმნიან ისტორიას, ისინი არიან შემოქმედნი თანამედროვეობისა, მიუხედავად იმისა, ვიცით თუ არა ჩვენ მათი სახელები, ცნობილნი არიან თუ არა ისინი ფართო საზოგადოებისათვის. გაბრიელ გარსია მარკესის არც ერთი პერსონაჟი არ არის შემთხვევითი, უსახური, ყოველი მათგანი უბირი და ბოგანოც კი, თავისებურად ქმნის ისტორიას, ეპოქას.

ამ ისტორია-ბიოგრაფიებისა და, შესაბამისად, ეპოქისა და ქვეყნის თუ ცალკეული მოვლენების წარმოსაჩენად გაბრიელ გარსია მარკესი სხვადასხვა ხერხს იყენებს. მაგალითად: ბილ კლინტონის შემთხვევაში სრული ბიოგრაფიის მოყოლა სულაც არ იყო საჭირო, რადგან იგი ისედაც კარგად არის ცნობილი. ამ

შემთხვევაში გაშუქება-ანალიზისათვის მაესტრო გაბრიელმა მხოლოდ ერთი, მეტად პიკანტური ფაქტი აირჩია. მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა საერთო სურათის დასახატად და შთაბეჭდილების შესაქმნელად. გასაშუქებელი მოვლენა, ერთი შეხედვით არატიპიურია, მაგრამ უზუსტესად ასახა არსი და სულისკვეთება იმ ქვეყნისა და საზოგადოებისა, რომელსაც მსოფლიო ჰეგემონობაზე აქვს პრეტენზია.

სულ სხვაგვარად იქცევა გაბრიელ გარსია მარკესი, როდესაც გვაცნობს კარდინალ დარიო კასტრილიონ ოიოსს სტატიაში „პოტენციური პაპი“ („ელ პაის“-ი, 19/IV-1999)(29). ორი ძირითადი ფაქტორის გამო განვიხილავთ ამ სტატიას დაწვრილებით: იმ პერიოდში მოქმედი პაპის, იოანე პავლე II ჯანმრთელობის მდგომარეობა და ასაკი მეტად აქტუალურს ხდიდა მისი შემცვლელის ვინაობას, და რაც, გარსია მარკესისათვის უფრო მნიშვნელოვანია, დარიო კასტრილიონ ოიოსი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც კოლუმბია (ლათინური ამერიკა) „ბავშვთათვის მისაწვდომი“ უნდა გახადონ.

დარიო კასტრილიონ ოიოსი – პიროვნება –ისტორიის შემქმნელი, თავად ისტორია და განმსაზღვრელი მომავლისა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სულით-ხორცამდე კოლუმბიელი – ლათინოამერიკელი, მიუხედავად იმ გასაოცარი ნახტომებისა, რომლითაც განვლო ცხოვრება და საეკლესიო იერარქიის უმაღლეს საფეხურს მიუახლოვდა. სწორედ ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ბრწყინვალე კარიერისა, იგი დარჩა კოლუმბიელი (ლათინოამერიკელი) გულით, სულით მსოფლმხედველობით, ცხოვრების წესით და ადამიანებთან ურთიერთობაში, ღირებულს ხდის ამ ადამიანს მარკესისათვის და იგი საჭიროდ თვლის კოლუმბიის ბრწყინვალე წარმომადგენელი გააცნოს ფართო საზოგადოებას.

სტატია კარდინალის საძინებლის აღწერით იწყება: საძინებელი მდიდრულია, ისტორიული ნივთებითა და ავეჯით გაწყობილი. ის ფაქტი, რომ ფანჯრებიდან თაყვად პაპის საძინებელი მოჩანს, არა მხოლოდ აღწერითი დეტალია: იგი კარდინალის მდგომარეობასა და სტატუსზე მეტყველებს: კასტრილიონი პაპთან დაახლოებული პირია. ამ ეპიზოდში, პირველივე სტრიქონებში იკვრება მარკესისეული დამაინტრიგებელი კვანძი: მაინც ვინ არის ეს კათოლიკური ჩინოსანი და რატომ მოხვდა იგი გარსია მარკესის ინტერესის ორბიტაზე? პასუხს მეორე აბზაცში ამოვიკითხავთ: „მიუხედავად ყველაფრისა, თავის 69 წლის ასაკში კარდინალი დარიო კასტრილიონ ოიოსი ცხოვრობს და ფიქრობს კოლუმბიურად და სიამაყითაც ამჟღავნებს ამა, როდესაც ოთახ-ოთახ გვათვალიერებინებს თავის საცხოვრებელს“ (29).

ამ საცხოვრებლის მრავალრიცხოვან დეტალში იგრძნობა დაუფარავი და ღრმა ნოსტალგია სამშობლოსადმი, ყოველივე კოლუმბიურისადმი: ძვირფას სურათებს კოლუმბიური ხალხური შემოქმედება ჭარბობს; საკურთხეველი, სადაც იგი ყოველი დილის ექვს საათზე ლოცულობს, კოლუმბიური ხალხური რეწვის ნიმუშია, ისევე, როგორც ხეში პრიმიტიულად გამოთლილი ქრისტეს ფიგურა და სხვა. ნოსტალგია კვებაშიც კი იგრძნობა: „კარდინალი კარგი მჭამელია, მაგრამ მისი გემოვნება უფრო ნოსტალგიურია, ვიდრე გასტრონომიული“,(29) – ამბობს გარსია მარკესი და კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს: „ცოტა ხნის წინ პრეზიდენტი ანდრეს პასტრანა და მისი თანმხლები პირებიც კი გააოცა ანტიოქიური (კოლუმბიის ცენტრალური ნაწილი) საუზმით: ლობიო, არეპა (მჭადი) და ერბოკვერცხი ძეხვით“(29). ეს თითქოსდა ძალიან ყოფითი და წვრილმანი დეტალებია, მაგრამ როგორ აცოცხლებენ კარდინალის, როგორც ადამიანის, ჩვეულებრივი მოკვდავის პორტრეტს. აკი აღნიშნავს კიდეც გარსია მარკესი, რომ კარდინალი კასტრილიონი არ ჯდება კარდინალის აკადემიური სახის ჩარჩოებში.

წერილმანი, ყოფითი დეტალების გამოყენება ცნობილი და გამოხენილი მოღვაწეების პორტრეტების შესაქმნელად დამახასიათებელია გარსია მარკესისათვის. ამ ყოფითი დეტალების მეშვეობით ისინი უფრო „მიწიერები“ და „ადამიანურები“ ხდებიან და შესაბამისად უფრო გასაგებნი, მისაღებნი და სიმპათიურებიც კი. ასე იყო, მაგალითად, ბილ კლინტონის შემთხვევაში.

ხოლო რაც შეეხება კარდინალს, მკითხველს ნამდვილად გაუკვირდება, და შესაძლოა გაეღიმოს კიდეც, როდესაც გაიგებს, რომ მისთვის არც ტრენაჟორებია უცხო და არც როიალზე მუზიცირება მოცალეობის ჟამს; ხოლო სამეურნეო ნიჭი მას საშუალებას აძლევს არცთუ ისე დიდი ხელფასი მეტად რაციონალურად გადაანაწილოს სხვადასხვა საჭიროებებზე და სახლიც მშვენიერ ფორმაში შეინარჩუნოს.

თანამედროვეობამ ვატიკანშიც შეაღწია: კომპიუტერი კარდინალ კასტრილიონის შეუცვლელი დამხმარეა. ესპანურის გარდა, იგი შვიდ ენას ფლობს. კომპიუტერისა და პოლიგლოტობის მეშვეობით იგი მთელს მსოფლიოში გაფანტულ ასობით ათას კათოლიკე მღვდელს უკავშირდება, რომლებიც ვატიკანის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და უშუალოდ კი კარდინალ კასტრილიონს ემორჩილებიან.

ასეთია ვატიკანის კოლუმბიელი კარდინალის ყოფითი პორტრეტი. მაგრამ ამ ყოფაში იკვეთება საკმაოდ რომანტიული პიროვნება, რომელიც მყარად არის მიჯაჭვული თავის ნაციონალურ ფესვებს. რასაც, თავის მხრივ, ხელი არ შეუშლია ბრწყინვალე კარიერისათვის ბევრად უფრო ფართო ასპარეზზე, ვიდრე „პროვინციული“, მაგრამ „პოეტური“ კოლუმბიაა.

ეს ყოფითი პორტრეტი, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა. თუნდაც იმიტომ, რომ არღვევს ტარდიციულ, სტერეოტიპულ წარმოდგენას სასულიერო ჩინოსნის პიროვნებაზე. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია პორტრეტის დანარჩენი განზომილებანი.

მოვიშველიოთ მარკესისეული ტექსტი: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იშვიათი კოლუმბიელი, გამოუცნობი ნაზავი ხალხური კულტურისა და აღორძინების დროინდელი სიეშმაკისა, ის ადამიანია, რომელიც კოლუმბიაში მებრძოლი მღვდლის სიმკაცრით მართავდა ორ ეპარქიას. როგორც ეტყობა, მას შემდეგ, რაც ის ოცდასამი წლის ასაკში სანტა როსა დე ოსოს სემინარიაში აკურთხეს, მან თავისი მღვდლობა გაითავისა როგორც ბრძოლა სოციალური სამართლიანობისათვის. და მას შემდეგ, როგორც პოეტები, იღწვის შთაგონების ზებუნებრივი ნიჭით“ (29). ამ შთაგონებით გაიარა კასტრილიონმა ცხოვრების გზა და კარიერის საფეხურები. „როგორც პოეტები“ – აღნიშნავს გარსია მარკესი და ამ განსაზღვრებაში სიწმინდეს, პატიოსნებას და მუდამ ამაღლებულ სულისკვეთებას გულისხმობს. სწორედ ამ თვისებების მატარებელია კარდინალი კასტრილიონი და, გარსია მარკესის ღრმა რწმენით, ასეთმა ადამიანებმა უნდა გახადონ „პოეტთა საოცნებო კოლუმბია“ „ბავშვთათვის მისაწვდომ“ ქვეყნად, სწორედ ასეთმა ადამიანებმა უნდა შეიყვარონ კოლუმბიაც და ლათინური ამერიკაც მესამე ათასწლეულში; მეტიც – ასეთმა ადამიანებმა უნდა გადაარჩინონ სამყარო. და გასაკვირი ის იქნებოდა, რომ კარდინალი დარიო კასტრილიონ ოიოსი არ ყოფილიყო გაბრიელ გარსია მარკესის გმირი.

კარდინალის ეს თვისებები მის მოღვაწეობაში, კონკრეტულ საქმეებში იჩენს თავს. კარდინალის ქმედებათა მიმართულებას გარსია მარკესი ასე აღწერს: „ღარიბებს იგი გულმოდგინე მუშაობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო მდიდრებს კი ქონების ჭკვიანურად განაწილება-გადანაწილებისაკენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო თანაცხოვრება“(29). განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა უპოვართა, მიუსაფართა და ბავშვებთა მიმართ. კარდინალი მათ „თავის შვილებად“ მოიხსენიებს და მათ დასაცავად არავითარ წინააღმდეგობებს არ ეპუება. კეთილშობილი, გულწრფელი და უანგარო, სადღაც რომანტიულიც და მეოცნებეც – ასეთად ხედავს

მარკესი კარდინალ კასტრილიონს და სწორედ ასეთი ადამიანები უნდა გახდნენ „მაგისტრალური რეპორტაჟის“ გმირები, რათა ეს ქვეყანა „ბავშვთათვის მისაწვდომი“ გახდეს.

განსაკრად საინტერესოა კასტრილიონის შეხვედრა მსოფლიოს ყველაზე განთქმულ ნარკობარონ პაბლო ესკობართან. ესკობარის სიმდიდრეზე, ძლევამოსილებასა და შესაძლებლობებზე დღემდე ლეგენდებს ჰყვებიან. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: ესკობარს არ მოეწონა კანონი ექსტრადიციის შესახებ. მის ბრძოლაში ამ კანონის წინააღმდეგ იყო აშკარა და სავსებით რეალური მუქარა აღეგაცა პირისაგან მიწისა ქალაქი პერეირა. პადრე კასტრილიონმა ესკობართან შეხვედრა დაისახა მიზნად და მიაღწია კიდეც საწადელს ქალაქ მედელინში. ორივე მოქმედი პირი გადაცმული იყო: ეპკობარი რძის დამტარებლად, ხოლო ეპისკოპოსი – სამოქალაქო ტანსაცმელში. ესკობარმა ქედმაღლურად და გამომწვევად ჰკითხა ვინაობა. ეპისკოპოსის პასუხი მშრალი და ლაკონიური იყო: „მე წარმოვადგენ იმას, ვინც შენ განგსჯის“(29). ამ ფრაზის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: „ცოტაღა აკლდა, რომ აღსარება ეთქვა“– წერს გარსია მარკესი. ესკობარის ტონი თავაზიანი და მორიდებული გახდა. საუბარი შედგა. და მეტიც: ესკობარმა კასტრილიონს გადასცა ბარათი რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი, რომელშიც ეწერა, რომ თუ მთავრობა ააცილებდა მას ექსტრადიციას, ის იღებდა პასუხისმგებლობას გაეუქმებინა მედელინის კარტელი, ჩაებარებინა ქონება და შეიარაღება და ხელი აეღო ტერორიზმზე. მთავრობამ ეს წინადადება არ მიიღო. კასტრილიონის უანგარო რისკი ფუჭი აღმოჩნდა. მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ამ შეხვედრიდან პადრე კასტრილიონზე პაბლო ესკობარის ბოლო ფრაზამ მოახდინა: „ნახევარი კოლუმბიის ამოულეტაც რომ მომიწიოს იმისათვის, რომ არ დამაცილონ ჩემს ცოლს, ხელიც არ ამიკანკალდება“ (29).

ეს ძალიან საინტერესო და საგულისხმო ეპიზოდია კარდინალის ცხოვრებიდან. უშიშროებაზე მეტად აქ იკვეთება მისი რომანტიული

სულისკვეთება და შემართება საყოველთაო მიტევებისა და სიყვარულის დასამკვიდრებლად. და ეს შემართება გულწრფელია, რადგან კასტრილიონისათვის სიყვარულის ქადაგება და დამკვიდრება ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა.

იგივე მოტივები ამოძრავებდა მას, უკვე ბუკარამანგის არქიეპისკოპოსის რანგში, როდესაც ცდილობდა პარტიზანებისა და სამთავრობო შეიარაღებული ძალების შერიგება-მორიგებას. აქაც გულწრფელად სჯეროდა სიყვარულის, მიტევების ძალისა და გამარჯვებისა. მართალია, ორივე მოწინააღმდეგე მხარე მას უდიდეს პატივს სცემდა, ენდობოდა მას და მედიატორობასაც კი სთხოვდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, კოლუმბიაში დღესაც ისვრიან იგივე დაპირისპირებული მხარეები. იმ დროიდან „სუვენირად" გამოყოლილ ვაზნებს კარდინალი კასტრილიონი „მშვიდობის ტყვიებს" ეძახის.

„დღეს მას ნაკლები ილუზიები აქვს," – განაგრძობს თხრობას გარსია მარკესი. კარდინალმა დაინახა, რომ არც პარტიზანებს და არც მთავრობას წარმოდგენა არა აქვთ, თუ როგორი ქვეყნის აშენება სურთ. დაპირისპირება კი უკვე ორმოცი წელია რაც გრძელდება. და წამოიზარდა თაობა, დანარჩენი კოლუმბიისგან სრულიად განსხვავებული მენტალიტეტითა და კულტურით. თავად კასტრილიონის სიტყვებს იშველიებს მარკესი: „ნებისმიერი ამ გლეხთაგანი თავს მინისტრად გრძნობს და ცხოვრების წესი იარაღით მოიპოვა"... „ასე რომ საჭიროა არა დიალოგი, არამედ ვაჭრობა. არავის სურს ძალაუფლების გადაცემა, თუ სანაცვლოდ რამე არ მიიღო, და არაფრის სანაცვლოდ არ გაიღებს იმას, რაც სისხლის ფასიც კი უზის"(29). მარტო ეს გამონათქვამებიც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ კარდინალი კასტრილიონი არ არის უბრალო ადამიანი: გარსია მარკესისათვის იგი კოლუმბიის სახეა. მის საუბარში იკვეთება კოლუმბიის დღევანდელი სახე. იგი ძალიან ზუსტად აფასებს ქვეყნის უახლეს ისტორიას, ანუ როგორც მაესტრო გაბრიელი ამბობს: „თუ როგორ გადაგვექცა პოეტების საოცნებო

კოლუმბია მსოფლიოში ყველაზე საშიშ ქვეყნად". მაგრამ თავად კასტრილიონი კელაე იმ „პოეტების საოცნებო კოლუმბიის" წარმომადგენელია. იგი სახეა ოცნებების ქვეყნისა და თავადაც მეოცნებე თავისი მრწამსით, მსოფლმხედველობით, ცხოვრების წესით, მიუხედავად ასაკისა და მდგომარეობისა, როგორც ყოველი გმირი გაბრიელ გარსია მარკესისა. უკვე გამოიკვეთა პორტრეტული ნარკვევის შექმნის ორი ეტაპი: ჯერ მარკესმა გვანახა, თუ როგორ და რით ცხოვრობს კოლუმბიელი კარდინალი, ანუ დახატა ყოფითი პორტრეტი. შემდეგ გაგვაცნო მისი კონკრეტული ქმედებები და ამ ქმედებებშივე გამოიკვეთა კარდინალის სულიერი პორტრეტი, რადგან ყოველი მისი საქციელი მისივე რწმენით იყო ნაკარნახევი. კარდინალ კასტრილიონისათვის არც დიპლომატიური საქმიანობა იყო უცხო, მაგრამ არა საჯარო, რადგან მას უმეტესწილად „მოურიგებლის" მოგვარება უწევდა. ჟურნალისტურ წრეებში ლეგენდებიც კი დადიოდა მის ამ საქმიანობაზე. „მოურიგებელთა" მორიგებისას იგი შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობდა: „საჭიროა მომაელის გამოცალკევება წარსულისაგან".

თავის მოგონებებს კარდინალი კასტრილიონი გარსია მარკესს დიდი ხუთშაბათის საღამოს უყვებოდა. გარსია მარკესი კარგი მსმენელი იყო. მაგრამ, როგორც ჟურნალისტმა, ანალიტიკოსმა და სულის მკვლევარმა თავი ვერ შეიკავა შეკითხვისგან, თუ რა ინტერესის გამო ჩაერთო კარდინალი მიწიერ პერიპეტიებსა და ხლართებში. მყისიერმა პასუხმა დიდ მაესტროსაც კი აუბურძგნა კანი: „ხუთ წუთსაც კი არ დავუთმობდი ყოველივე ამას, რომ არ მქონდეს მარადიული ცხოვრების აბსოლუტური რწმენა" (29).

ამ აბსოლუტური, უნივერსალური, მარადიული რწმენით იცხოვრა დარიო კასტრილიონ ოიოსმა და მიუახლოვდა პაპის ტახტს.

კარიდნალის აღსარება მარადიული ცხოვრების რწმენის თაობაზე, შეიძლება ითქვას, არის მისი პორტრეტის საბოლოო და

ყველაზე შთამბეჭდავი შტრიხი. მარკესის მიერ შესრულებული ეს პორტრეტი სრულიად ახლებურ შთაბეჭდილებას აყალიბებს ვატიკანის მაღალჩინოსანზე.

ეს მაღალჩინოსანი კი მეოცნებეა. ნარკევევის ავტორი აღნიშნავს კიდეც, რომ იგი „მეოცნებეთა ზოდიაქოს – კიბოს“ ნიშნის ქვეშაა დაბადებული. მაგრამ არა მხოლოდ ეს განსაზღვრავს კასტრილიონის ამ თვისებას: კოლუმბიელი – ზოგადად, გენეტიკურად არის მეოცნებე. მაგრამ არის თუ არა კასტრილიონის ოცნება პაპად კურთხევა? – აი, რის გაგებას ცდილობდა მთელი შეხვედრის განმავლობაში გარსია მარკესი. ის, რომ კარდინალ კასტრილიონს პაპის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, ფაქტია. მაგრამ რას ფიქრობს იგი თავად. გარსია მარკესის მეტად დელიკატურ მცდელობას გარკვეულიყო ვითარებაში, კასტრილიონმა ფრიად „ელეგანტურად“ უპასუხა: „ვიმედოვნებ, რომ ღმერთი კიდევ დიდხანს აცოცხლებს პაპს, რათა სწორედ მან წაიკითხოს ლოცვა ჩემს საფლავზე“ (29).

მართლაც, რომ „ელეგანტური“ პასუხია. მაგრამ კარდინალის სხვა მეგობარს უფრო გაუმართლა, ვიდრე გარსია მარკესს და პირდაპირ დასმულ შეკითხვას, უნდა თუ არა მას, რომ აირჩიონ რომის პაპად, კასტრილიონმა უპასუხა: „არ შეიძლება უთხრა არა სულიწმინდას“(29). ეს კი, კასტრილიონის გასაოცარი ბედისა და დიდი ნახტომებით გავლილი კარიერის გვირგვინი იქნებოდა.

კარდინალი კასტრილიონი რომ ბედის რჩეულია, ეს ადვილია. ის, რომ იგი ბოლომდე დარჩა მეოცნებე კოლუმბიელად, ესეც უდავოა. თავად ავტორის თქმისა არ იყოს, უფრო მეტად კოლუმბიელი, რაც უფრო შორს არის სამშობლოსგან. კასტრილიონისადმი მიძღვნილი წერილი მართლაც რომ ოდაა კოლუმბიელისადმი. „არ შეიძლება უთხრა არა სულიწმიდას“ – ეს მართლაც რომ მხოლოდ რჩეულს შეეძლო ეთქვა. კასტრილიონის ამ ფრაზით ამთავრებს მარკესი

წერილს და პოტენციური პაპის ბრწყინვალე და მეტად პოეტურ პორტრეტს გვიტოვებს.

წერილის ბოლო ფრაზა სრულყოფილს ხდის კარდინალ დარიო კასტრილიონ ოიოსის სახეს. სახეს ადამიანისა, რომელიც გაკაფავს გზას „მაგისტრალური რეპორტაჟისაკენ“, ხოლო ქვეყანას „ბავშვთათვის მისაწვდომს“ გახდის.

ნარკვევი „პოტენციური პაპი“ წარმოადგენს კლასიკურ ნიმუშს პუბლიცისტური პორტრეტისა იმ ადამიანისა, რომელიც არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, რის გამოც დეტალურად შევჩერდით მასზე. თვალსაჩინოებისათვის კიდევ ერთხელ ჩამოვთლით ამ პორტრეტის შემადგენელ ნაწილებს: ა) კარდინალის ყოფის აღწერა, ბ) კარიერის ეტაპების მიმოხილვა, გ) თავად პერსონაჟის ციტირება, მისი გამონათქვამები და კომენტარები. და, დამაგვირგვინებელი ბოლო ფრაზა, რომელმაც თვალნათლივ დაგვანახა კარდინალ კასტრილიონის „რჩეულობა“ და „გამორჩეულობა“.

გთავაზობთ „პოტენციური პაპის“ სრულ თარგმანს II თავის დანართში.

*** *** ***

ყოველი კონკრეული პიროვნება მარკესისათვის საერთო ისტორიის ნაწილია, ყოველი პირადი ბიოგრაფია, კერძო წარმატება-წარუმატებლობა ქმნის ეპოქას. თითოეული ბიოგრაფია ამ ეპოქის ცალკეული აგურია. ეპოქის კედელსარც ერთი აგური არ უნდა მოაკლდეს, სხვა საკითხია, თუ რა ხერხებით, მეთოდითა თუ რაკურსით წარმოგვიჩენს გარსია მარკესი ამა თუ იმ პიროვნებას და შესაბამისად, ეპოქას, მის სულისკვეთებას და განვითარების პერსპექტივებს. ხშირ შემთხვევაში, მაესტრო გაბრიელი ერთი ფაქტის ან მოვლენის გაშუქება-ანალიზითაც ახერხებს საერთო სურათის დახატვას და შთაბეჭდილების შექმნას. იგი ყოველთვის ზუსტად

ირჩევს გასაშუქებელ მოვლენას, არა ყოველთვის ტიპურს, როგორც კლინტონის შემთხვევაში, მაგრამ არსის ზუსტად ამსახველს, ისეთს, რომელიც ეპოქის სულისკვეთებას გადმოსცემს. კარდინალ კასტრილიონის შემთხვევაში უფრო დაწერილებითი ბიოგრაფია იყო საჭირო, მაგრამ ამ ბიოგრაფიიდანაც ზუსტი, არსობრივი მომენტები იყო შერჩეული. ჯერი საერთაშორისო პიროვნებებზეც მიდგა: ხავიერ სოლანა და გენერალი უელსი კ. კლარკი სტატიაში „ორი გადაჯაჭვული ბედი“ (ჟურნალი „კამბიო“), (30).

ამ ორ ადამიანს მსოფლიო იცნობს როგორც უაღრესად წარმატებულ პოლიტიკურ (სოლანა) და სამხედრო (კლარკი) მოღვაწეებს. ბრწყინვალე განათლების მქონენი, მუდამ უმნიშვნელოვანესი მოვლენების ეპიცენტრში არიან. ალბათ, მხოლოდ მეგობართა ვიწრო წრემ თუ იცის, ვინ არიან ისინი სინამდვილეში: ორი მარტოსული. შესაძლოა, ამიტომაც აკვირდება მათ ასე დაძაბულად გარსია მარკესი: მატროსული ხომ მისი შემოქმედების მთავარი მოქმედი პირია. თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებსა და ფრაზებში ახდენს ავტორი პიროვნებისა თუ მოვლენის არსის აკუმულირებას. აი, როგორ ახასიათებს იგი მადრიდელ ხავიერ სოლანა მადარიაგას: „ჩრდილოეთ-ატლანტიკური ბლოკის (ნატო-ს) გენერალური მდივანი, 57 წლის ჰუმანისტი, ფიზიკის ლექტორი, რომელიც უვნებელი გადარჩა სამი მოკლული მინისტრის ფონზე – კულტურის, განათლებისა და საგარეო საქმეთა. თავისი მრავალრიცხოვანი მეგობრების წრეში ისეთია, როგორიც არის ბუნებით: ინტელექტუალი, არა წვერიანი, არამედ ცუდად გაპარსული უძილობისა და საქმეთა სიმრავლის გამო. იგი საფუძვლიანად ფლობს საუბრის მაგიას და სერიოზულად აქვს წაკითხული ყველას ის წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო და ბევრი ისეთიც, რომელთა წაკითხვაც არ ღირს. უცნაურია, რომ არ დაუწერია და არც არასდროს გაუმჟღავნებია თავისი სატრფიალო ლექსები. დამსახურებულად სარგებლობს მსოფლიო დიდებით ადამიანისა, რომელიც უხვად

არიგებს ღიმილსა და სათნოებას იმ ხომამდე, რომ ერთ მის მეგობარს თუ ეერწმუნებით, მზად არის ელექტრობოძსაც კი მოეხვიოეს“ (30).

ეს დასკვნა გამორჩეულია არა მხოლოდ აზრობრივი დატვირთვით, არამედ ემოციური მუხტითაც. არც არის გასაკვირი: ხავიერ სოლანასთან მარკესს მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს. გარსია მარკესის ხავიერ სოლანა „ინტელექტუალი“, „ცუდად გაპარსული“ და სატრფიალო ლირიკის მოყვარული, მართლაც რომ ალმოჩენაა უმრავლესობისათვის.

მარკესი უკიდურესად წურავს ფრაზას: არც ერთი ზედმეტი სიტყვა, თითოეული ზღვრულად გაჯერებულია. ვნახოთ, როგორ ახასიათებს იგი გენერალ კლარკს: „... სამხედრო პირი, რომლის დაქვემდებარებაში იყო მსოფლიოში ყველაზე მეტი ადამიანი. ჯერ, 1977 წლამდე მას ემორჩილებოდა შეერთებული შტატების სამხრეთის სარდლობა (ცენტრი პანამაში), შემდეგ კი, უმაღლესი გაერთიანებული გენერალიტეტი ევროპაში (ცენტრი ბრიუსელში). დაიბადა 55 წლის წინ ლითლ როკში, არკანზასში, სადაც აგრეთვე დაიბადა მისი მეგობარი პრეზიდენტი კლინტონი. მან დაიკავა პირველი ადგილი ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიის 1966 წლის კურსდამთავრებულთა შორის, ოქსფორდში მოიპოვა საპატიო სამეცნიერო ხარისხი ფილოსოფიის, პოლიტიკის და ეკონომიკის განხრით. მეგობრები თელიან მას ძველი ყაიდის, პატიოსან, უანგარო, პირდაპირ ჯარისკაცად, რომელიც თავის მებრძოლებთან ერთად ტეხს პურს და არ შეუძლია იცხოვროს, თუ არ იცის რას ფიქრობენ მასზე“ (30).

ჩამოთვლაა, მაგრამ ფაქტები იმგვარად არის დანახული და მოწოდებული, რომ მკაფიოდ იძერწება პორტრეტი. გარსია მარკესი ამჩნევს, არა მხოლოდ გენერლის ეპოლეტების ბრწყინვალებას, არამედ იმასაც, რაც იმალება ამ ეპოლეტების მიღმა: მეოცნებე მარტოსული. გასაოცარია ის ფაქტიც, რომ თავად გარსია მარკესისა

და გენერალ კლარკის პირველი შეხვედრა სრულიად „მარკესისეულად“ წარიმართა. ძალზე კინემატოგრაფიულად გადმოსცემს პუბლიცისტი იმ შეხვედრის ატმოსფეროსა და არსს: ... ის იქ გახლდათ, შტაბის მაგიდის კიდესთან, რომელიც სავსე იყო ყოველნაირი სასმელითა და საჭმლით, დელიკატესებით... იგი იდგა ფილმებიდან გადმოსული კოლონიალური კომანდანტეების ტროპიკული ფორმით. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ის კი არ იყო, არამედ რობერტ რეტფორდი გენერალ კლარკის როლში“(30). ეს მეტად მეტყველი შტრიხებია, რომლებიც აცოცხლებენ სურათს და ემოციურად ახლობელს ხდიან სამხედრო მოღვაწის ბევრისათვის რუხ პიროვნებას.

მაგრამ რაში დასჭირდა გარსია მარკესს ამ ორი განსხვავებული ადამიანის პორტრეტების ერთ სტატიაში მოთავსება?

მათი ბედი ნატოში გადაიჯაჭვა „საშინელი რისკის“ – კოსოვოს ფასად: ერთი – ბრძანების გამცემი, მეორე – შემსრულებელი. სტატიის ფინალში ნათელი ხდება, რომ მსოფლიოს ურთულეს მოვლენებთან დიალექტიკურ ურთიერთგანპირობებულობაში აღმოცნდა ეს ორი პიროვნება: „... კოსოვო არ არის რაღაც ნაწილი ქვეყნისა, არამედ მისი ერთ-ერთი ნერვული ცენტრია და მსხვერპლის აგრესიულობას გააჩნია გაუთვალისწინებელი ექსპანსიის შესაძლებლობანი“ (30). კვალიფიციური ანალიტიკოსისა და დიდი ჰუმანისტის გადასახედიდან გარსია მარკესი შიშობს, რომ ეს დაძაბულობა არ გახდეს მესამე მსოფლიო ომის მაუწყებელი.

გარსია მარკესი, როგორც დიდი პუბლიცისტი, არც პიროვნებას და არც მოვლენებს არ განიხილავს იზოლირებულად: ადამიანები ქმნიან მოვლენებს და ასრულებენ წინასწარ განკუთვნილ როლებს. ხოლო მოვლენები, თავის მხრივ, ძერწავენ და აწრთობენ ადამიანთა ხასიათებს, აყალიბებენ მათ პიროვნებებად.

განხილული სტატია მოკულობით არა არის დიდი, მაგრამ მასში უაღრესად ოსტატურად, სულ რამდენიმე აბზაცში, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ფონზე და მათთან ურთიერთკავშირში გამოიძერწა ორი ცნობილი ადამიანის პორტრეტი, მაგრამ განსხვავებული იმ პორტრეტისაგან, რომელსაც ჩვენ ტელევიზია გვაწვდის. ხავიერ სოლანასა და გენერალ კლარკში მარკესმა დაგვანახა „ჰუმანისტები და ნახევრად პოეტები", რითაც კიდევ ერთხელ შეასხა ხოტბა „შეუთავსებლის შეთავსებულობას".

§ 4.ისტორიის უკუღმართოგანი

მოცემულ ნაშრომში ჩვენ არაერთხელ აგვინიშნეთ გარსია მარკესის პიროვნებისა და შემოქმედების უნივერსალობა. მიუხედავად ამისა, ყოველი მისი სიტყვა, ფრაზა თუ ნაწარმოები, ღრმად ეროვნული, პატრიოტულია (იხ. სტატია „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება..."). სწორედ ამ მისეულის, გენეტიკურად სისხლ-ხორცში გამჯდარის ფართო განზოგადებით აღწევს ის უნივერსალურობას. ლათინოამერიკული ფესვები ღრმად არის გადგმული ნიადაგში და სამყაროსეული სიბრძნით კვებავს ამ უნივერსალურობას.

ამ მხრივ უთუოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია შობისადმი მიძღვნილი წერილი „ეს აგისმომასწავებელი შობა". (31)

ერთი შეხედვით, ეს წერილი არ ეძღვნება რაიმე კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასა თუ ფაქტს, რომელიმე ისტორიულ პიროვნებას და მის ბედ-იღბალს. მაგრამ ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია უნივერსალური განზოგადება, რადგან სტატია, რომლითაც გვინდა დავასრულოთ თავი ისტორიის შესახებ, სწორედაც რომ თანამედროვე ისტორიის ზოგად, მეტიც, გლობალურ ტენდენციებს ეხება. ხოლო ეს ზოგადი ტენდენციები კვლავ კოლუმბიის კონკრეტულ მაგალითზეა განხილული.

წერილი „ეს აგისმომასწავებელი შობა" ქრისტეშობიდან 2000 წლის თავზე დაიწერა. იგი ტრაგიკულად იწყება: „უკვე აღარავის

ახსოვს ღმერთი“ (31). კვანძი პირველივე ფრაზით იკვრება კარგად აპრობირებული მეთოდით. დიდი ხანია, რაც რელიგიური, ე.ი. სულიერი დღესასწაულიდან შობა, კომერციულ დღესასწაულად იქცა და სოციალური ელფერი შეიძინა. განსაკუთრებით მწვაველ ეს ლათინურ ამერიკაში იგრძნობა. მაგრამ გარსია მარკესი აქ უდიდესი ოსტატობით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რაც მთელი მსოფლიოსათვის პრობლემა და თავსატეხია: შეერთებული შტატების კულტურულ აგრესიაზე: „ჩვილი ღმერთი ტახტიდან გრინგოებისა და ინგლისელების სანტა კლაუსმა ჩამოაგდო, ფრანგები მას პაპა ნოელს ეძახიან და ჩვენ სუყველანი მათ კარგად ვიცნობთ. ის მოვიდა ციგაში შებმული ხარ-ირემითა და სათამაშოებით დახუნძლული ნაძვის ხით, ფანტასტიური თოვლის გრიგალის დროს... იგი გამოგვეგზავნეს თავისი კონტრაბანდული კულტურით: ხელოვნური თოვლით, ფერადი კელაპტრებით, ფარშირებული ინდაურით და თხუთმეტი ზღვარსგასული მომხმარებლობის დღით“ (31). მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ეპითეტზე „გრინგო“. დამახინჯებული ინგლისური: „green go“ – „მწვანევე წადი“ – მწვანეხაკისფერი – ანუ, ამერიკელი ჯარისკაცი, და უფრო ზოგადად კი ნებისმიერი ამერიკელი და ნებისმიერი ოკუპანტი. ასე ეძახიან ლათინოამერიკელები შეერთებული შტატების ნებისმიერ წარმომადგენელს. ეს მეტად დამამცირებელი მეტსახელია, რომელიც ყოველთვის ზიზღით წარმოითქმება, რომ აღარაფერი ვთქვათ „კონტრაბანდულ კულტურაზე“, რომელიც „ეროვნულის“ დასაკნინებლად, დასამცირებლად, და საბოლოო ჯამში კი, გასაქრობად შემოაგდეს. „უბადრუკ ესთეთიკას“ უწოდებს ყოველივე ამას პუბლიცისტი და მართებულადაც ასკვნის, რომ „დეკრეტით“ დაშვებული მხიარულება არ შეიძლება იყოს გულწრფელი. ეს „კონტრაბანდული კულტურა“ ზედაპირული და სულიერ საწყისს მოკლებულია, იგი მოჩვენებითია. სიღრმისეული კი, ყოველივე ამის გამო და აგრეთვე უძლურების სასოწარკვეთისა გამო იკარგება.

გარსია მარკესის საყვარელი ის არის, რომ ყოველივე ამის გამო კოლუმბიელმა ბავშვებმა შეძლება იფიქრონ: "ესთ დიდება არა მთლად, არამედ შეურიგებელ შეხედულებაში." ამის დაშვება კი არამც და არამც არ შეძლება.

გვინდა დავასკვნათ, რომ სტატია "ეს ავანგარდისტული შობა" ანიმაციური ეკრან-ეკრან ყველაზე მნიშვნელ პრობლემას, შეურიგებელი შეხედულების საყოველ და ხელოვნურად ძალადობას ეძღვნება. ეს კი ავტორის ყველაზე საშიში ფიქრი: ყველა განწყობის ლიტერატური ნიღბით მიყვეს იერიში ნაციონალურ სინდისზე. ეს საერთო, გლობალური ტენდენციაა, ამიტომაც არ იქნება გადაჭარბებული იმ ფიქრით, რომ ამ გაუცხოებულ საბჭო წყობილების ლიტერატურის წახალის მთელს მსოფლიოზე განზოგადების ფაქტია ესპონება, რომელიც სერიოზულად იდგა დაფიქრის მსოფლიო საზოგადოებას და შესაბამისი დასკვნებისკენ გააკეთებინებს. ხოლო გაბრიელ გარსია მარკესმა ამ საშიში ისტორიული ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე ჩაბოლა.

II თავის დანართი

ბაბრიელ ბარსია მარკესი

პოტენციური პაპი

19 აპრილი, 1999, „ელ პაისˮ-ი

საწოლზე, რომელშიც ძინავს, პიო XII გარდაიცვალა. ბრინჯაოს სასთუმალთან დაკიდებული სურათი – სულიწმინდის გარდამოსვლა – ლეონ XIII-ს ეკუთვნოდა. აპარტამენტი, სადაც ცხოვრობს, იტალიისა და წმიდა რეზიდენციის გასაყარიდან ოცდაათიოდ მეტრში მდებარეობს და ვატიკანს ეკუთვნის. კაბინეტიდან პაპის საძინებლის ფანჯრები მოსჩანს. აეეჯის უმეტესი ნაწილი ვატიკანის ანტიკვარებმა საუკუნეთა ქარიშხლებს გამოსტაცეს. დერეფნის, საძინებელითა და კაბინეტის კედლებს ტაროები ფარავენ, რომლებიც გაესებულია სხვადასხვა ენაზე დაწერილი წიგნებით თეოლოგიაზე, ფილოსოფიაზე, ეკლესიურ სწავლებაზე; აგრეთვე ბერძენი და რომაელი კლასიკოსები და ცოტაც თანამედროვე ლიტერატურა.

მიუხედავად ყველაფრისა, თავის 69 წლის ასაკში კარდინალი დარიო კასტრილიონ·ოიოსი ცხოვრობს და აზროვნებს კოლუმბიურად და სიამაყითაც ამჟღავნებს ამას სანამ ოთახ-ოთახ გვათვალიერებინებს თავის სახლს. კიდია სურათები, სადაც წიგნები ამის საშუალებას იძლევა. ზოგიერთი ძველია, მაგრამ კოლუმბიური ხალხური ხელოვნება ჭარბობს და ასე თუ ისე უკავშირდებიან კარდინალის საეკლესიო ცხოვრებას. სამლოცველოში, სადაც ყოველი დილის ექვს საათზე იგი მესას წირავს, საკურთხეველი, ხეში პრიმიტიულად გამოთლილი ქრისტეს ფიგურით, კოლუმბიურად არის მოჩუქურთმებული. მისაღებ ოთახში ყველაზე შესამჩნევი და უჩვეულო არის სურათი ბიბლიური ეპიზოდით: წმინდა სუსანა წყაროში ტიტველი ბანაობს, ხოლო ბუჩქნარიდან მას ორი მოხუცი

უთვალთვალებს. სურათის ავტორი ბუკარამანგელი (ქალაქი კოლუმბიაში) ხოსე რამონ ტარასონაა. მან კასტრილიონის (ბუკარამანგის არქიეპისკოპოსობისას) მიერ ორგანიზებულ რელიგიური ხელოვნების ჩვენებაზე პირველი პრემია მოიპოვა. ჟიური შოკში რომ არ ჩაეგდო, მხატვარმა ბოლო წუთს წმინდანს მანდილი მიახატა, მოგვიანებით კიდევ ერთი მანდილი რათა მიერთმია არქიეპისკოპოსისათვის.

სინამდვილეში, ეს არწივის პროფილიანი ადამიანი ძალიან შორს არის კარდინალის აკადემიური სახისაგან. მისი მომსახურე პერსონალი ორი მორწმუნე კოლუმბიელი ქალისაგან შედგება, რომლებიც „საგრადა ფამილიას“ (წმინდა ოჯახი – ე.კ.) კონკგრეგაციას მიკუთვნებიან. აღნაგობით სუსტნი, მაგრამ ცოცხლები, სახლს მონასტრისათვის დამახასიათებელი, ოდნავ ბავშვური წესრიგითა და სისუფთავით ინახავენ. ოსტატურად ამზადებენ კოლუმბიურ რეგიონალურ კერძებს და უკვე იტალიური კერძებიც აითვისეს.

კარდინალი კარგი მჭამელია, მაგრამ მისი გემოვნება უფრო ნოსტალგიურია, ვიდრე გასტრონომიული. უყვარს საუზმობა თავის რვა კაცზე გათვლილ სასადილოში, ხშირად კოლუმბიელ სტუმრებთან ერთად. ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი ანდრეს პასტრანა თანმხლებ პირებთან ერთად გააოცა ანტიოქიური (კოლუმბიის ცენტრალური ნაწილი) საუზმით, რომელიც ლობიოს, არეპასა (მჭადი) და ძეხვიანი ერბო-კვერცხისაგან შედგებოდა.

გასაოცარია, რომ სახლს სამღვდელოების წმინდა კონგრეგაციის პრეფექტის ხელფასით: ოთხი მილიონი ლირათი (რაც ორი ათას ხუთას დოლარზე ნაკლებია) ინახავს. ვატიკანს აქვს თავისი შიდა სუპერმარკეტი, სადაც ფასები ძალზედ შეღავათიანია, რასაც ვერ ვიტყვი იტალიელ მუშახელზე. ელექტრიკოსი, სასადილო ოთახში მურანოს (კუნძული იტალიის მფლობელობაში. შუა

საუკუნეებიდან მოყოლებული სახელი გაითქვა მინის წარმოებით) ჭაღის ჩამოსაკიდად 225 000 ლირას (დაახლოებით 120 დოლარი) თხოვდა. მისაღებ ოთახში ჭაღი არ ანათებდა და კარდინალი მხოლოდ შუქის მესამედით კმაყოფილდებოდა. ძველ ფოლკსვაგენს თავად მართავს, რადგანაც ბიუჯეტი მძღოლს ვერ წვდება, და თვეში მხოლოდ ერთი ავზი ბენზინი ეკუთვნის. მისი ხელმოკლეობა ძალზედ ირონიულად გამოიყურება იმ უზარმაზარი თანხების ფონზე, რომელთაც ის სამსახურებრივად განაგებს: არც ერთი საეკლესიო გარიგება მსოფლიოში, რომლის მოცულობაც ნახევარ მილიონ დოლარს აღემატება, ვერ განხორციელდება მისი ნებართვის გარეშე.

ოთხი რამ იპყრობს ყურადრებას სულთა მწყემსის სახლში: როიალი ბიბლიოთეკაში, ელექტრო ტრენაჟორი და სტატიკური ველოსიპედი საძინებელში და მაღალი კლასის ძვირიანი კომპიუტერი კაბინეტში. როიალი ოჯახური რელიქვიაა, მასზე კარდინალმა რელიგიური მუსიკის შესწავლა დაიწყო, შემდეგ კი გულით უკრავდა კოლუმბიურ სიმღერებს და დიდი მაესტროების ზოგიერთ პიესას. „შოპენი?“ – ეკითხე პროეოკაციულად. მან თავი გაიქნია: „შოპენი ბავშვებისთვისაა“.

ველოსიპედი და ელექტროსასიარულო კი აუცილებელია იმ პირწავარდნილი თეოლოგისათვის, რომელმაც წლებს თავი არ დააჟანგვინა. ყოველთვის, როდესაც საშუალება ეძლევა, ვარჯიშობს წყლის თხილამურებით და ცხენოსნობაში. ველოსიპედი ელექტროსასრიალოთი შეცვალა და ყოველ დილით, სანამ ტელევიზორით ახალ ამბებს ისმენს, იყენებს მას. მაგრამ სურს ისევ მიუბრუნდეს ველოსიპედს, როცა გამოიგონებენ ისეთ ვიდეოს, რომელსაც პედლებით გააკონტროლებს.

კომპიუტერი, რაგინდ ძვირიანიც არ უნდა იყოს, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია იმისათვის, ვინც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მრევლთან მუდმივ და სწრაფ კონტაქტს საჭიროებს. ადრე ეს

კეთდებოდა ფოსტით, საეპისკოპოსოებისა და კონგრეგაციების მეშვეობით, ეხლა კი კარდინალი კასტრილიონი ამას თავისი ოთხ მეგაბითიანი, მულტიმედია კომპიუტერით აკეთებს, სადაც გვერდიც კი გახსნა.

სულ რამოდენიმე კვარტალში, მდებარეობს საეკლესიო კონგრეგაციის ოფისები, უზარმაზარი პრივილეგირებული ფანჯრებით, რომლებიც წმინდა პეტრეს მოედანს მთლიანად მოიცავენ და საიდანაც პაპის სამუშაო ოთახის ფანჯრები ჩანს. იქ ინახება ვატიკანის ყველა ინსტანციის დოკუმენტი, იქ იყრის თავს ინფორმაცია და იქიდანვე გებულობს თითოეული მღვდელი მსოფლიოში საეკლესიო საქმეებს. საქმიანობა კარდინალისათვის ცნობილ შვიდ ენაზე ხორციელდება: ესპანურის გარდა, იგი ფლობს იტალიურს, პორტუგალიურს, ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, ლათინურსა და ბერძნულს. ამჟამად იგი არაბულს სწავლობს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იშვიათი კოლუმბიელი, ხალხური კულტურისა და აღორძინებისდორინდელი სიეშმაკის გამოუცნობი ნაზავი ის ადამიანია, რომელიც კოლუმბიაში მებრძოლი მღვდლის სიმკაცრით მართავდა ორ ეპარქიას. როგორც ეტყობა მას შემდეგ, რაც ის ოცდასამი წლის ასაკში სანტა როსა დე ოსოს სემინარიაში აკურთხეს, მან თავისი მღვდლობა გაითავისა როგორც ბრძოლა სოციალური სამართლიანობისათვის და მას შემდეგ, როგორც პოეტები, იღწვის შთაგონების ზებუნებრივი ნიჭით. ასე იყო, როდესაც ის ასრულებდა დამხმარე ეპისკოპოსის, შემდეგ კი ეპისკოპოს-რეზიდენტის ფუნქციებს პერეირაში ოცდაორი წლის განმავლობაში, მაშინაც, როდესაც გახდა ლათინური ამერიკის ეპისკოპოსთა საბჭოს (Celam – ე.კ.) პრეზიდენტი და გენერალური მდივანი და ბოლოს კი ბუკარამანგას არქიეპისკოპოს-მიტროპოლიტის რანგში, ვიდრე არ გაიწვიეს რომში, რათა აერჩიათ მეექვსე კოლუმბიელ კარდინალად.

„ისევე, როგორც ღარიბებს მოუწოდებდა გულმოდგინეობისაკენ, მოუწოდებდა მდიდრებს დოვლათის ჭკვიანური განაწილება-გადანაწილებისაკენ“ – თქვა ერთ-ერთმა მისმა ძველმა მეგობარმა. პერეირაში, ერთ-ერთ მშვიდობიან და წარმატებულ ქალაქში, მეყავეების სიხარბესა და სპეკულანტობას დაუპირისპირდა. როდესაც მოწყალების ჩეკებს უგზავნიდნენ, რათა დაეცხროთ მისი სინდისი, უკან აბრუნებდა და გამომგზავნებს ავალებდა მიეხედათ იმ უთვალაყი მიუსაფარისათვის, ქუჩაში რომ ათევდა ღამეს.

თავისუფალი გიჟების ნათელ გონებასა და კეთილ გულს, რომლებიც შიმშილს მარტოდ ლაპარაკში იოკებდნენ, ის აღფრთოვანებაში მოჰყავდა. „რაც შეეხება ცხოვრებასა და ადამიანის უფლებებს, – იტყოდა ხოლმე კასტრილიონი – გიჟმაჟებს მეტი სიმართლე აქვთ, ვიდრე გონიერებს“. როდესაც დილა არა მხოლოდ მათხოვრების, არამედ ქუჩის მეძავებისა და ობლების მკვლელობებით თენდებოდა, მიხვდა, რომ ვიღაცა მის სოციალურ სამართლიანობას ველური მეთოდებით ახორციელებდა. ეპისკოპოსი პირდაპირ დაელაპარაკა პოლიციის უფროსს, რომელიც კანონდარღვევაში იყო ეჭვმიტანილი. მას ყურადღება არ მიაქციეს. მაშინ მან პოლიციის უფროსი პირადად ამხილა რესპუბლიკის პრეზიდენტთან. არც ამჯერად იყო პასუხი. მაშინ უკვე საეკლესიო კათედრიდან იქუხა: „გუშინ საღამოს რამოდენიმე ყმაწვილი ყავაზე დავპატიჟე. დილით ზოგიერთი მკვდარი იყო, დანარჩენები არ ჩანან. ბატონო პოლიციის უფროსო, მიპასუხეთ: სად არიან ჩემი შვილები?“ პასუხმა არ დააყოვნა: გამქრალები გამოჩნდნენ, მაგრამ დახოცილები ვერავინ გააცოცხლა. ხოლო ბატონმა პოლიციის უფროსმა დატოვა ქალაქი.

როდესაც ნარკობიზნესი დაიმუქრა აღეგავა პირისაგან მიწისა ქალაქი პერეირა, რათა შეწინააღმდეგებოდა კანონს დამნაშავეთა გადაცემის შესახებ, ეპისკოპოსმა გადაიცვა სამოქალაქო ტანსაცმელი და გაემგზავრა მედელინში პაბლო ესკობართან (უძლიერესი და უმდიდრესი ნარკობარონი, რომელიც თავზარს სცემდა მთელს

მსოფლიოს). შესახვედრად. ესკობარიც რძის დამტარებლად იყო გადაცმული. ესკობარი ქედმაღლურად შეეკითხა, თუ ვისი წარმომადგენელი იყო იგი. ეპისკოპოსმა მშრალად უპასუხა: „მე წარმოვადგენ იმას, ვინც შენ განგსჯის“. მას (ესკობარს-ე.კ.) ცოტაღა აკლდა, რომ აღსარება ეთქვა. არქიეპისკოპოსი დაინტერესდა თუ ლოცულობდა, თუ ჰქონდა მიღებული პირველი ზიარება, თუ ინანიებდა თავის დანაშაულებს. თან დასძინა, რომ ერთადერთი ცოდვა, რომელსაც ეკლესია არ პატიობდა, არის დანაშაული სულიწმინდის წინაშე. ესკობარი უკვე პატიესცემით, მოკრძალებულადაც კი პასუხობდა. იგი დიალოგის ფირზე ჩაწერასაც კი დათანხმდა. ბოლოს კი არქიეპისკოპოსს გადასცა ბარათი რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის: თუ მთავრობა გადაწყვეტდა არ მოეხდინა მისი ექსტრადიცია, იგი იღებდა ვალდებულებას გაეუქმებინა მედელინის კარტელი, ჩაებარებინა ქონება და შეიარაღება და ბოლო მოეღო ტერორიზმისათვის. მთავრობამ ეს წინადადება არ მიიღო. მაგრამ, რამაც შეძრა ეპისკოპოსი, ეს გამომშვიდობებისას ესკობარის ნათქვამი სიტყვები იყო: „ნახევარი კოლუმბიის ამოყლეტაც რომ მომიწიოს, ჩემს ცოლს რომ არ დამაცილონ, ხელიც კი არ ამიკანკალდება“.

მოგვიანებით, ბუკარამანგას არქიეპისკოპოსობისას, მისთვის დრამად იქცა ერთის მხრივ პარტიზანების წინააღმდეგობრივი და დოგმატური ქმედებები და მეორე მხრივ, სამხედროთა ნაჩქარევი მეთოდები. ორივე მხარე ერთი და იგივე ცოდვებში ადანაშაულებდა უერთიერთს. არქიეპისკოპოსი კი მათ ანსხვავებდა: „ტალახზე ჩექმის ნაკვალევით ვარჩევდი სად იყვნენ ჯარისკაცები და სად პარტიზანები“. მიუხედავად ყველაფრისა, მას ორივე მხარე ენდობოდა და მას მიმართავდა საშუამავლოდ.

იმ დროის ჯილდოთაგან ორივე ბანაკიდან გამოსროლილ ექვს ტყვიას გამოარჩევს. ისინი მან ჯარისკაცთა და პარტიზანთა

შეტაკებისას ცეცხლში აკრიფა, ვერცხლის სადგარზე ერთად მოათავსა და დაარქვა: „მშვიდობის ტყვიები“.

დღეს მას ნაკლები ილუზიები აქვს. ფიქრობს, რომ არც პარტიზანებს და არც მთავრობას არ გააჩნიათ კონკრეტული გეგმა, ქვეყნის, რომლითაც აშენება სურთ და რომ ორმოცწლიანი ომის შედეგად გაჩნდა თაობა, რომლის მენტალიტეტსა და კულტურას ბევრი არაფერი აქვთ საერთო დანარჩენ კოლუმბიასთან. „ნებისმიერი ამ გლეხთაგანი თავს მინისტრად გრძნობს და ცხოვრების წესი იარაღით მოიპოვა“ – ამბობს კარდინალი. „ასე რომ, საჭიროა არა დიალოგი, არამედ ვაჭრობა. არავის არ სურს ძალაუფლების გადაცემა, თუ სანაცვლოდ რამე არ მიიღო და არაფრის სანაცვლოდ არ გაიღებს იმას, რაც სისხლის ფასიც კი უზის“.

ეჭვგარეშეა, რომ მისმა მოღვაწეობამ Celam-ის პრეზიდენტის პოსტზე განაპირობა დღევანდელი დაწინაურება. რონალდ რეიგანი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ლათინური ამერიკის ეკლესია, პარტიზანებთან შეკრული, მონაწილეობდა შეიარაღებულ გადატრიალებაში. კარდინალმა მას დაუმტკიცა, რომ ერთია თანამზრახველობა და რომ სულ სხვაა თანხვედრა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ნებისმიერ შემთხვევაში – დასძინა კარდინალმა – მე Celam-ის ეგიდით, ნუნციის (რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი) ნებართვით და ყოველთვის იოანე პავლე II ჩანაფიქრის მიხედვით ვმოქმედებდი.

მაგრამ, მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ იშუამდგომლა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, რათა შეერთებული შტატების ჯარი არ შესულიყო სანდინისტურ ნიკარაგუაში, არ არის გახმაურებული. მისი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ გორბაჩოვის „საჯაროობის“ პოლიტიკის პირობებში საჭირო იყო მომავლის წარსულისაგან გამოცალკევება.

კასტრილიონის იმდროინდელი დიპლომატიური ძალისხმევა იმდენად ინტენსიური და იმავდროულად ფრთხილი იყო, რომ

ზოგიერთი გამოჩენილი ჟურნალისტი დარწმუნებულია: ის იყო საიდუმლო შუამავალი გორბაჩოვსა და შეერთებულ შტატებს შორის. კარდინალი ამას გადაჭრით, მაგრამ იმ მელანქოლიით უარყოფს, როგორც უარყოფ აღსარების კარგ საიდუმლოს.

1995 წლის ბოლო დეკადაში დაირხა ხმები, რომ არქიეპისკოპოს კასტრილიონს რომში გაიწვევდნენ.

1996 წლის დასაწყისში ვატიკანში შეკრებილ კოლუმბიელ ეპისკოპოსთა ჯგუფს პაპი იდუმალი ფრაზით შეხვდა: „უნდა გავაკოლუმბიელო კურია“ (პაპის ძალაუფლების უმაღლესი მმართველი ორგანო). ეს ფრაზა ვერავინ გაიგო იმავე წლის პირველ ივლისამდე, როდესაც ბოგოტის ნუნციატურამ სასწრაფოდ გამოიძახა არქიეპისკოპოსი, რათა ემცნოთ მისთვის, რომ დაინიშნა საეკლესიო კრებულის პრო-პრეფექტად, რეზიდენციით რომში. ეს გზას უხსნიდა მას კარდინალობისაკენ მომდევნო კონსისტორიაში. (საეკლესიო საქმეთა მართვის ორგანო).

კასტრილიონი რამოდენიმეჯერ იყო ნამყოფი რომში. იცნობდა პაპს. მათ უსაუბრიათ ლათინურ ამერიკაზე, განსაკუთრებით კი კოლუმბიაზე. მიუხედავად ამისა, როდესაც პაპმა იგი პრო-პრეფექტის რანგში პირველად მიიღო, მიმართა მას არა როგორც ყოველთვის, ნათლობის სახელით – „დარიო“, არამედ მეორე გვარით (ესპანურენოვან სამყაროში მიღებულია ორი გვარი: მამის და დედის პირველი გვარი): „გამარჯობათ ოიოს“. კასტრილიონმა ეს აღიქვა როგორც ფარული ნიშანი იმისა, რომ ვერ გახდებოდა კარდინალი.

ის შეცდა. ქრისტესმიერი სახელით დარიო, ერთადერთი შვილი მანუელ კასტრილიონ კასტრილიონისა და მარია ოიოს სალასისა, დაბადებული მედელინში 1929 წლის 4 ივლისს, მეოცნებეთა ზოდიაქოს ნიშნით – კიბორჩხალი, 1998 წლის 23 თებერვალს ხელდასმულ იქნა წმინდა კათოლიკური ეკლესიის კარდინალ დიაკვნად და ფორო დე ტრახანოს უწმინდესი მარიამის სახელობის

ტაძრის წინამძღვრად. მასთან ერთად კიდევ 21 კარდინალი აკურთხეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გარდა ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაციის მდივნის, ხორვატიელი ჯუზეპე კუიაკისა, რომელიც წინა ღამით გარდაიცვალა. ლიონის ერქიეპისკოპოსი ჟან ბალანი ორი თვის წინ გარდაიცვალა. სანტოსის პრო-პრეფექტს, იტალიელ ალბერტო ბოვონეს კარდინალის სანი რომის ერთ-ერთ კლინიკაში მყოფს უბოძეს, ის ცოტა ხანში გარდაიცვალა.

სულ უფრო და უფრო მოხიბლული, თუ რა შინაურული ბუნებრიობით მიყვებოდა კარდინალი თავისი ცხოვრების დიდ ნახტომებზე, ვკითხე: „არ გეშინიათ, როცა თქვენს თავს ასეთი ამბები ხდება?“ თავისი საიდუმლო მან ძალიან უბრალოდ გამანდო: როდესაც რიგითი მღვდელი იყო, გამოიგონა ძალიან მოკლე, თითქმის წამიერი ლოცვები და აუცილებლივ იმეორებს მათ სანამ მძიმე საქმეს შეუდგებოდეს. „მაგალითად, – მითხრა, – შეხვდრის წინ ყოველთვის ველოცულობ“ და გახალისებულმა დასძინა: „განსაკუთრებით ვილოცე ამ შეხვედრის წინ“.

მისი კურთხევიდან მხოლოდ 14 თვე გავიდა, მაგრამ ძალზედ თავისუფლად დაიარება როგორც იტალიის რეალურ, ასევე ვატიკანის ეფემერულ ცხოვრებაში. იგი გაბნეულად პასუხობს შვეიცარიელ გვარდიელებს, რომლებიც სწორებაზე დგებიან, როდესაც გაიელის. პროფესიონალი ტურისტული გიდივით აღწერს ადგილებს და მათ ისტორიებს. ვერ იტყვი, რომ მას აწუხებდეს ფელდმარშლობა უზარმაზარი, დროის არმქონე იმპერიისა, რომლის ფართობი მხოლოდ 0,44 კვადრატული კილომეტრია და ჰყავს ათასობით მილიონზე მეტი მიმდევარი მთელს მსოფლიოში და წმინდანეთის ყველა წმინდანი. კარგ გუნება-განწყობას არც ის უხილავი ძაფი უფუჭებს, რომელიც მას ისტორიაში ყველაზე დიდ არმიასთან აკავშირებს: 401 000 ძირითადი მღვდელი, რომლებიც მის შესახებ ყოველდღიურად გებულობენ ამბავს და კომპიუტერში შეიდ ენაზე ცნობენ მის ხმას. დანარჩენი 400 000, რომლებიც მონასტრებსა და რელიგიურ თემებს

ეკუთვნიან არ არიან მასზე დამოკიდებული, მაგრამ პატივს მიაგებენ, როდესაც რელიგიურ აქტებს ახორციელებენ, მაგალითად, ქადაგებას ან ნათლობას.

მისი პირადი ურთიერთობა პაპთან არის კარგი და ხშირი. ხოლო თავის სამინისტროს საქმეებთან დაკავშირებით აქვს მასთან განსაკუთრებული აუდიენციები. უმაღლესი პონტიფიკოსის ბევრ შეზღუდვათაგან ორია გამორჩეულია: არ შეიძლება ტელეფონით დალაპარაკება და ოფიციალურ სადილზე მხოლოდ 13 ადამიანი უნდა იჯდეს – უკანასკნელი სერობის საპატივცემულოდ და ცრურწმენის საწინააღმდეგოდ რომ ერთ-ერთი გამცემია. „გამცემები შენაცვლებადები არიან“ – ნათქვამია. პაპი შინაურულ სადილებსაც აწყობს, მხოლოდ სამი პერსონისათვის: თავად, ერთი სტუმარი და ერთიც – მოწმე. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით სტუმარი კარდინალი კასტრილიონი იყო. სხვა ჩვეული სტუმრები არიან კარდინალები როჟე ეჩეგარაი საფრანგეთიდან და იტალიელი კამილო რუინი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საზოგადოებრივი აზრი მათ პოტენციურ პაპებად მიიჩნევს. სულ ახლახან კასტრილიონი გამოარჩია იმ ფაქტმა, რომ იგი უმაღლესი პონტიფიკოსის ერთ-ერტი დამხმარე იყო ვნების კვირის ცერემონიალზე და მირონცხების მესაზე.

რაც უფრო სუსტდება პაპის ჯანმრთელობა, ამ ყოველდღიურ მოვლენებს ავგურები (წინასწარმეტყველები რომში) როგორც მემკვიდრეობითობის ნიშნებს აგროვებენ. სინამდვილეში ყველა კარდინალს აქვს შანსი. მეტიც: იმის მოთხოვნაც არ არის, რომ იყო ბერი ან უცოლო. ნებისმიერ მონათლულ მამაკაცს შეუძლია გახდეს პაპი, ქრისტიანობის ისტორიაში არის გამორჩეული შემთხვევები. კასტრილიონის მომხრეები ეყრდნობიან მის სრულ იდენტიფიკაციას იოანე პავლე მეორესთან და იმას, რომ პაპი მას აშკარად ეჭცევა

როგორც შეგირდს. ამ მხრივ საჭიროა მესამე სამყაროს: აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხმებზე ფიქრი. გარდა ამისა, სანამ მას კარდინალად გახდიდა, პაპმა ამერიკათა სინოდის თანათავმჯდომარეობა დააკისრა. ეს არის ეპისკოპოსთა საერთო კრება, რომელმაც შეაფასა ეკლესიის მიერ გაწეული სამუშაო და მესამე ათასწლეულის მიზნები დასახა. აქედან გამომდინარე, მას აქვს შანსი შეაგროვოს ხმები შეერთებული შტატებიდან და კანადიდან. ჯამში: 400 მილიონი, რაც მსოფლიოს კათოლიკეთა თითქმის 50% შეადგენს.

ეს იყო ერთადერთი თემა, რომელიც ჩვენ არ განგვიხილავს სამდღიანი სადილებისა და ნაშუადღევს მანსილიის (თეთრი ღვინის სახეობა) წრუპვისას. არც შესანიშნავი არგენტინელი ტენორის ხოსე კუერას კონცერტზე სანტა მარია დე ლოს ანხელეს ბაზილიკაში, არც ნოსტალგიის გრძელ საათებში და არც დიდი შაბათის დღეს. მაგრამ რამდენჯერაც არ შეეცადე მომესინჯა კარდინალის აზრი მოარულ ხმებზე მისი პონტიფიკოსობის შესახებ, მან ყოველთვის ელეგანტურად აარიდა თავი პასუხს. კიდევ უფრო ელეგანტური იყო მისი პასუხი გამომშვიდობებისას: „ვიმედოვნებ, ღმერთი კიდევ დიდხანს აცოცხლებს პაპს, რათა სწორედ მან ილოცოს ჩემს საფლავზე“. მაგრამ როდესაც ერთმა მეგობარმა, რომელსაც ბედი უფრო სწყალობდა ვიდრე მე, ჰკითხა, სურდა თუ არა მას რომ აერჩიათ პაპად, კარდინალმა უპასუხა როგორც პაპმა: „არ შეიძლება უთხრა არა სული წმინდას“.

ესპანურიდან თარგმნა

ელეონორა კუზაკმ.

მოცემულ ნაშრომში „გაბრიელ გარსია მარკესის XX საუკუნის 80-90-იანი წლების პუბლიციტიკის ზოგიერთი მიმართულებანი“ რამდენიმე საკითხის გაშუქებას შევეცადეთ.

უპირველეს ყოვლისა, მიზნად დავისახეთ გაგვცნო ამ სახელგანთქმული მწერლის პუბლიცისტიკის ძირითადი მიმართულებანი. ამ ამპლუაში იგი, ნაკლებადაა შესწავლილი. არადა, გარსია მარკესის პუბლიცისტური წერილებინამდვილად იმსახურებს დიდ ყურადღებას და აღიარებას. აქედან გამომდინარე პასუხი უნდა გაგვეცა კითხვაზე: ვინ არის გაბრიელ გარსია მარკესი: უფრო მეტად პუბლიცისტი თუ ბელეტრისტი? ნაშრომის პირველი თავი „გარსია მარკესის შემოქმედებითი ლაბორატორია“, ძირითადად ამ პრობლემის გარკვევას ეძღვნება, ყურადღება გავამახვილეთ სტატიებზე „მსოფლიოში საუკეთესო ხელობა“ და „გასართობი სოფიზმები“. გავითვალისწინეთ სხვა მასალებიც და დავასკვენით, რომ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ თავად გარსია მარკესი, პირველ ყოვლისა, ჟურნალისტად თვლის თავს. გარსია მარკესი – პუბლიცისტი და გარსია მარკესი – ბელეტრისტი ურთიერთგადაჯაჭვული და განუყოფელია.

როდესაც ლათინოამერიკელი პუბლიცისტისა და მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაზეა საუბარი, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, თავად ლათინური ამერიკის ფენომენის გააზრება-გათავისებაა საჭირო. მხატვრულ-პოეტიკური თვალსაზრისით ამაში გვეხმარება პროგრამული ხასიათის სტატია „ფანტაზია და მხატვრული შემოქმედება ლათინურ ამერიკასა და კარიბებზე“, ხოლო იდეურ-ფილოსოფიური კუთხით ლათინური ამერიკა ბრწყინვალედ არის წარმოდგენილი ნობელის პრემიით დაჯილდოების

ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვაში „ ლათინური ამერიკის მარტოობა“. ისე კი, თავად გარსია მარკესიც ლათინური ამერიკის გასაოცარი და დაუჯერებელი ფენომენის გამოვლინებაა.

ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი ის წერილები, რომლებშიც მარკესი საუბრობს დიდ შემოქმედებზე. მაგალითისთვის განხილულია წერილები ალექსანდრე დიუმაზე და ერნესტ ჰემინგუეიზე. საგულისხმოა, რომ ისინი სრულიად ლათინოამერიკული პრიზმიდან არიან დანახული და აღქმული.

გარსია მარკესის შემოქმედებითი მრწამსი მოკლედ შემდგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: რეალობა უფრო განსაცვიფრებელია, ვიდრე ნებისმიერი ფანტაზია, ხოლო ნებისმიერი ფანტაზია შეიძლება რეალობა აღმოჩნდეს. ეს პარადოქსი გარსია მარკესის ცხოვრებისა (იგულისხმება ლათინური ამერიკის) და შემოქმედების ქვაკუთხედია. ხოლო გარსია მარკესის სამყარო მარტოსულებითაა დასახლებული და მათი ბრძოლა ცხოვრებასთან სინამდვილეში მარტოობასთან ბრძოლაა. ლათინური ამერიკა თავის მარტოობას ებრძვის.

ნაშრომის II თავში „ისტორია და პიროვნება გარსია მარკესის პუბლიცისტიკაში“ რამდენიმე საკითხის გაშუქებას შეეცადეთ: ეროვნული ფესვების ძიება, ლათინოამერიკული ფენომენის კვლევა, კონტინენტის ისტორიის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა-განზოგადება და ფილოსოფიური გააზრება და პიროვნების როლი და ადგილი ისტორიულ პროცესებში. განსაკუთრებული ადგილი, ისტორიული ვითარებიდან და რეალობიდან გამომდინარე, დაეთმო დიქტატორისა და დიქტატურიზმის პრობლემას.

ამ თავში განხილული სტატიები შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს: ლათინური ამერიკა არის სრულიად გამორჩეული ისტორიული, კულტურული და სულიერი არეალი, რომლის გაშიფრვა-გააზრებაც კვლავ აქტუალურ საკითხად

რჩება. ლათინურ ამერიკას ჯერ კიდევ არ უთქვამს ბოლომდე თავისი სათქმელი. მაგრამ ის, უდავოდ, იმსახურებს გამორჩეულ ადგილს კაცობრიობის საერთო საცხოვრებელში.

განსაკუთრებული რუდუნებით იკვლევს გარსია მარკესი პიროვნების როლს ისტორიულ პროცესებსა და მოვლენებში. ამ მხრივ კი ლათინოამერიკელი დიქტატორის ფენომენი მისი განსაკუთრებული ყურადღების სფეროში ექცევა, რადგან დიქტატორი ლათინური ამერიკის ისტორიის მთავარი მოქმედი პირია დღემდე. ვენესუელის დღევანდელი პრეზიდენტის უგო ჩავესის პიროვნებამ და ბიოგრაფიამ ძალზე მდიდარი და სახასიათო მასალა მისცა პუბლიცისტს კვლევისა და განზოგადებისათვის, რის გამოც სტატიას „ორი ჩავესის გამოცანა“ საკმაოდ დიდი ადგილი დაეუთმეთ. ძნელია იმის თქმა, რომ დიქტატორს, როგორც პიროვნებას, მარკესმა ცალსახად უარყოფითი განაჩენი გამოუტანა, ეს მრავალწახნაგა ფენომენია და მისი კვლევისას ბევრი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო, რაც ისევ და ისევ კონტინენტის ისტორიული კოდიდან და მენტალიტეტიდან გამომდინარეობს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რეალობის სხვა მიმართულებით წარმართვაზე მსჯელობს გარსია მარკესი სტატიაში „ბავშვთათვის მისაწვდომი ქვეყნისათვის?“

გარსია მარკესისათვის ისტორიის განმსაზღვრელი პიროვნებაა, ხოლო ცალკეული ბიოგრაფია ჯერ ქვეყნის, შემდეგ კი ეპოქის სახეა (სტატიები „პოტენციური პაპი“, „არშემდგარი საყვარელი“). დიდი ოსტატობით ქმნის მარკესი პიროვნებათა პორტრეტებს. პორტრეტის შექმნის ხერხები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მარკესის პერსონაჟთა გალერეა.

ყოველი ისტორიული მოვლენა პიროვნებებთანაა დაკავშირებული. ამ პიროვნებებს კი ვითარება და ეპოქა წარმოშობს და ქმნის (სტატია „ორი გადაჯაჭვული ბედი“).

ცალკეული სტატიების ანალიზისას აშკარად გამოიკვეთა ის ხერხები და მეთოდები, რომელთაც გარსია მარკესი იყენებს, ანუ პოეტიკური თავისებურებანი: სტატიათა სათაურები დამაინტრიგებელია, ხშირად პარადოქსის, ანუ „შეუთავსებლის შეთავსებულობის“ შემცველნი, რაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას და აღძრავს ცნობისმოყვარეობას. მეტყველი და ინტრიგის შემცველი სათაურის მქონე სტატია ნამდვილად არ დარჩება წაუკითხავი. არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მარკესი პირველ აბზაცს და განსაკუთრებით კი პირველ ფრაზას, რომელიც ხშირად დეტექტიური ხასიათისაც კია.

პრობლემის არსს, პრობლემის პასუხს, დეტექტივის ფინალს გარსია მარკესი პირველივე ფრაზაში აყალიბებს. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ეს უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სტატიას. ანუ პირველივე ფრაზაში მოცემულია ფინალი, ხოლო სტატიის კითხვისას ჩვენ მოვლენისა თუ ფაქტის უშუალო მომსწრენი და თანამონაწილენი ვხდებით. ეს გარსია მარკესის უდიდესი ოსტატობის დამსახურებაა. გარსია მარკესის სტილი უაღრესად ლაკონიური და დახვეწილია, თუმცა, იგი ძლიერ გამოთქმებსაც არ ერიდება. თითოეული ფრაზა დაწურულია, ხოლო თითოეული სიტყვა, ეპიტეთი თუ შედარება ზუსტად მოვლენისა თუ პიროვნების არსს სწვდება. დახვეწილობა-ლაკონიურობა-სიზუსტე მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს გარსია მარკესის სტილი.

გარსია მარკესის პუბლიცისტური მემკვიდრეობა დიდი და მრავალფეროვანია. 80-90-იანი წლების პუბლიცისტური წერილებიდან რამდენიმე ამოვარჩიეთ ანალიზისათვის: ყველაზე ტიპიური, სახასიათო და გარკვეული იდეური დატვირთვის მატარებელი. მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოჩინდეს დიდი მოაზროვნისა და ჰუმანისტის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები: უპირველესი და უმნიშვნელოვანესი არის ეროვნულობა და ნაციონალური თვითშეგნება, საკუთარი ერის გენეტიკური კოდის გააზრება და მხატვრულ ფორმებში წარმოჩინება, რაც ლოგიკურად უფრო ფართო

– საერთო ლათინოამერიკულის გააზრებასა და გათავისებაში გადადის. ეს არის ამოსავალი წერტილი, საიდანაც შემდგომ ვითარდება თემატური განშტოებანი. მათგან კი უმნიშვნელოვანესია განთავისუფლებისა და ლათინური ამერიკის მოქალაქეობის იდეა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ სიმონ ბოლივარმა ჩაუყარა და რომლის სულისკვეთება და შემართება დღესაც აქტუალურია კონტინენტის მოსახლეობისათვის.

ვიმედოვნებთ, რომ გარსია მარკესი – პუბლიცისტი ისეთსავე აღიარებასა და დაფასებას მოიპოვებს, როგორც გარსია მარკესი – ბელეტრისტი.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Гарсиа Маркес, Г. «Революционный долг писателя – писать хорошо». «Иностранная литература» 1971, №6, с. 177-190

2. Земсков, В. «Габриель Гарсиа Маркес», Москва, «Художественная литература», 1986

3. Кутейщикова В., Осповат Л. «Новый латиноамериканский роман», Москва, «Советский писатель», 1983

4. Лопес Лемус, Вирхилио « Неисчерпаемый талант Гарсиа Маркеса», Гавана, изд. «Хосе Марти», 1990

5. გარსია მარკესი, გ. „ლათინური ამერიკის მარტოობა", „ქომაგი", 20 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2000

6. García Márquez, Gabriel "Fantasía y creación artística en América Latina y el Caribe", *http://sololiteratura*. com / marquezartfantasia. htm

7. Сеа, Леопольдо «Философия американской истории». Москва, «Прогресс», 1984.

8. García Márquez, Gabriel "Cien años de Soledad", Moscú, editorial Progreso, 1980

9. García Márquez, Gabriel " Se necesita un escritor" http://sololiteratura.

com/marquezsenecesita.html

10. García Márquez, Gabriel "Crónica de otra crónica"

http://www.RevistaCambio.com

11. García Márquez, Gabriel "El personaje equívoco" http://*sololiteratura*. *com/gaboelpersonajee htm.*

12. García Márquez, Gabriel "Las frutas del cercado ajeno"

http:// sololitura. com gabolasfrutas.htm

13. García Márquez, Gabriel "El cuento después del cuento" http:// sololiteratura.

com/marquezelcuento.html

14 . გარსია მარკესი, გ. „მოყვარს კინოხელოვნება", „ახალი ფილმები", 1987, №11 გვ.21

15. გარსია მარკესი, გ. „მოხუცი და სიყვარული", „ნობათი", 1988, №3,4, გვ.89-94

16. გარსია მარკესი, გ. „რომანი ბედნიერ სიყვარულზე", „სალიტერატურო გაზეთი", 1997, ოქტომბერი, №18

17. გარსია მარკესი, გ. „ხასიათი ყველაზე მთავარია", „ნობათი", 1987, №3-4, გვ. 90-94

18. García Márquez, Gabriel "Sofismas de distracción" http://sololiteratura.com/gabosofismas.htm

19. García Márquez, Gabriel "El mejor oficio del mundo" http://sololiteratura.com./marquezelmejor.html

20. . García Márquez, Gabriel " El conde de Montecristo" " *http://sololiteratura.com/gaboelconde html.*

21. García Márquez, Gabriel "Un hombre ha muerto de muerte natural". *http://sololiteratura. com/marquzdosdestinos.html*

22. García Márquez, Gabriel "La novela detrás de la novela"

http://sololiteratura. com/galolanovela. htm

23. . García Márquez, Gabriel "Del amor y otros demonios" Barcelona, 2001

24. García Márquez, Gabriel "Por un país al alcance de los niños". http:// sololiteratura.com/marquezporunpais.html

25. . García Márquez, Gabriel "El general en su laberinto" México, editorial Diana, 1989

26. García Márquez, Gabriel "Hoja por hoja y diente por diente" http: *//sololiteratura.com/marquezhoja.html*

27. García Márquez, Gabriel "El emigma de los dos Chaves" *http://sololiteratura.com/marquezelemigma. html*

28. García Márquez, Gabriel "El amante inconcluso" " *http://sololiteratura. com/marquzelamante. html.*

29. . García Márquez, Gabriel "El papable" http:// sololiteratura.

com/marquezelpapable. html

30. García Márquez, Gabriel "Dos destinos cruzados" *http://sololiteratura. com/marquzdosdestinos.html*

31. García Márquez, Gabriel "Estas navidades siniestras"

http: //sololiteratura. com/marquezarestas.htm

დამატებითი ლიტერატურა:

32. García Márquez, Gabriel "Obra periodística", vol. I, 2 „Gextos costeños", Barcelona, 1981

33. García Márquez, Gabriel "Obra.per", vol, 3,4. Barcelona 1983.

34. García Márquez, Gabriel "Náufrago en tierra firme" http:// www.RevistaCambio.com

35. García Márquez, Gabriel "Sonata inocente" http// www. revistacambio.com

36. García Márquez, Gabriel "La nostalgia De las Almendras Amargas" http://sololiteratura.com/marquezlanostalgia.html

37. . García Márquez, Gabriel "Los ídus de marzo",

"El País", Madrid, 30 de septiembre de 1981. p.8

38. García Márquez, Gabriel "Homenaje al amigo", " El País", 16.12.2001

39. García Márquez, Gabriel "¿Todo cuento es un cuento chino?" http: // www. RevistaCambio.com

40. García Márquez, Gabriel "Un manual para ser niño" http// sololiteratura.

com/marquezunmanual.html

41. გარსია მარკესი, გ. „მე არ მომწონს ეს სამყარო", „ახალი ივერიელი", 1 იანვარი 1991

42. გარსია მარკესი, გ. „Adiós, amigo", „ქომაგი", 2000, 13-26 დეკემბერი, გვ.10

43. გარსია მარკესი, გ. „დიქტატურა – საჭურველ მტვირთველი", „ლიტერატურული საქართველო", 1992, 24 იანვარი, გვ.15

44. Bermejo, Ernesto Gonzalo „30 prequntas a Gabriel García Márquez", Ahora, №372, 28 de diciembre de 1970

45. Fernandez – Braso, . „ Gabriel García Márquez: una conversación infinita". Madrid, 1969

46. García Márquez, Gabriel – Mario Vargas Llosa „La novela en la América Latina". Diálogo, Lima, S. . 1978

47. López Lemus, Virgilio „ García - Marquez: una vocación infinita~, La Habana, 1992

48. Vargas Lliosa, Mario `Historia de un deicidio`, Barcelona, 1971

49. Земсков, В. "Конец рода одиноких", в кн.: Garcia Márquez, G.

" Cien años de soledad", Moscú, ed. "Progreso", 1980^ c. 5-29

50. "Новые художественные тенденции в развитии реализма на западе 70-е годы." Москва, 1982

51. Осповат Л. "Латинская Америка рассчитывается с прошлым", "Вопросы литературы", 1976, № 10

თეორიული ლიტერატურა:

52. გაგოშიძე შ. „ჟურნალისტიკა და საზოგადოება", თბილისი, 1985

53. გაგოშიძე შ. „ჟურნალისტიკის საფუძვლები", თბილისი, 1996

54. გევრდწითელი გ. „მწერლებზე და მწერლობაზე", თბილისი, 1984.

55. კვანჭილაშვილი ტ. „ლიტერატურული წერილები და პორტრეტები“, თბილისი, 1974.

56. სურგულაძე რ. „ჟურნალისტიკათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი, 1996.

57. ტაბიძე ნ. „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“, თბილისი, 1988.

59. ტაბიძე ნ. „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“, თბილისი, 1968.

60. ტაბიძე ნ. „წერილები პუბლიცისტურ-მხატვრული ოსტატობის შესახებ“, თბილისი, 1978.

61. ტყებუჩავა დ. „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები“, თბილისი, 1994.

62. ტყებუჩავა დ. „ფიქრები ზნეობრივ ღირებულებებზე პუბლიცისტიკაში“, თბილისი, 1999.

63. Блажнов Е. П. "Публицистика и функции печати. Проблемы теории печати". Москва, 1973

64. Булацкий Г. В., Прилюк Ю.Д. "Социология общения". Минск, 1987.

65. Васильева А. Н. "Газетно-публицистический стиль речи". Москва 1982

66. "Введение в теорию журналистики". Москва, 1980

67. Ворошилов В.В. "Журналистика". Москва, 2000

68. Горбунов А. П. "Поетика публицистического текста". Москва, 1978

69. Горохов В.М. "Слагаемые творчества". Москва 1981

70. Двалишвили Р. В. "Визуальная публицистика". Москва,1972

71. Лазутина Г. В. "Профессиональная тики", Москва, 2000

72. "Основы творческой деятельности журналистики". Санк-Петербург, 2000

73. Прохоров Е. П. "искусство публицистики". Москва, 1988

74. "Тип газеты и стиль публицистики", Москва, 1985

75. Черепахов М. С. "Проблемы теории публицистики". Москва 1973